პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 5—48.

დ ღ ი უ რ ი

- ჩადგა გერმანიის რეიხსვერის მინისტრი ფონ-სექტი.
- სპარსეთის მთავრობის ჯარებმა დაამარცხა აჯანყებულ ქურთების რაზმები.
- მუსოლინს თათბირი ჰქონდა ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბუროვთან.
- ინდოეთში დიდი წყალდიდობაა.
- გერმანიის სახალხო პარტიის ყრილობამ მოითხოვა დაპყრობილ ოლქების დაუყოვნებლივ განთავისუფლება.
- გაიხსნა ინგლისელ კონსერვატორების ყრილობა.
- მოსკოვში ჩამოვიდა იტალიელ მუშათა დელეგაცია.
- წყალდიდობა ოზურგეთში.

პარასკევი, 8 ოქტომბერი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 229 (1774)

რატომ არის პარტია დისკუსიის წინააღმდეგი

(„პრავდა“-ს მოწინავე წერილი)

ოპოზიცია ყოველი ძალ-ღონით სცდილობს, რომ პარტიას თავზე მოახვიოს დისკუსია. ტროცკისა, ზინოვიევისა, პიატაკოვისა და სხ. „ავიოპრიბორის“ უჯრედში მისვლამ ნიშანი მისცა მეორე რანგის ოპოზიციონერებს გამოსვლების დასაწყებად.

არა მკითხე მომხსენებლები, რომელნიც ნდობით არ სარგებლობენ თავის უჯრედებში, გამოდიან რაიკომებისა და უჯრედების ბიუროების ნებადაურთველად უჯრედების კრებაზე, მოითხოვენ სიტყვას და სასტიკად ილაშქრებენ პარტიის წინააღმდეგ, მისი პოლიტიკური ხაზისა და მის ხელმძღვანელ ორგანოების წინააღმდეგ.

ფრაქციულობა და დისკუსია იმ ფორმით, როგორც ეს სურს ოპოზიციას მოახვიოს თავზე პარტიას, ერთმანეთთან არიან დაკავშირებული. ოპოზიცია ჰფიქრობს, რომ პარტია არ არსებობს, არამედ არის უმრავლესობა და უმცირესობა, რომ არ არსებობენ რაიკომები, და არის უმრავლესობის ფრაქციული ორგანოები და რომ ერთი მხრით „ჩვენ“ და მეორეს მხრივ „ისინი“: ე. ი. ის ძალები, რომელნიც ბრძოლას აწარმოებენ ახალი პოლიტიკური ხაზისათვის.

საკითხის ასე დაყენება აბსოლიუტურად მიუღებელია პარტიისათვის. ოპოზიციონერ ფრაქციონერებისათვის უფლების მინიჭება, რომ ისინი ყოველ კრებაზე და ყოველი საკითხის გამო გამოვიდნენ სათანადო პარტიული ინსტანციების ნებადაურთველად, ნიშნავს მათი თვალსაზრისის მიღებას, რომ არ არსებობს მთლიანი პარტია. დისკუსია ასეთ პირობებში იქნებოდა ფრაქციული ჯგუფების ლეგალიზაცია და ფრაქციის ჩამოყალიბება პარტიის შიგნით.

ოპოზიცია ეხლა დისკუსიის მოთხოვნილებას აყენებს, როგორც მორიგ მოთხოვნილებას. პარტიამ უნდა უარჰყოს ეს მოთხოვნილება. იგი გადაჭრით უარჰყოფს მას.

რატომ არის პარტია დისკუსიის წინააღმდეგი?

უპირველესად ყოვლისა იმიტომ, რომ დისკუსიის დაშვება იმ პოლიტიკის ძირითადი საკითხების გარშემო, რომელიც უკვე გადაწყვეტილია მე-14 ყრილობის მიერ, ნიშნავს ფრაქციის ლეგალიზაციას და მის ბრძოლას პარტიის წინააღმდეგ. პარტია ფრაქციის წინააღმდეგია. პარტია მთლიანობას იცავს. პარტია ვერ დაუშვებს მთლიანობის დაშლას.

მეორეც, იმიტომ, რომ პარტიის ნებისყოფა პარტიული ცხოვრებისა და პოლიტიკის ყველა ძირითად საკითხებში გამომჟღავნებულია ნორმალური. პარტიული წესდებით გათვალისწინებული გზებით და არ საჭიროებს არც გადასინჯვას, არც შემოწმებას ფრაქციული ბრძოლისა და დისკუსიის საშუალებით. შეიძლება არსებობდეს პარტიაში ისეთი მდგომარეობა, როცა იგი იძულებულია ჩაებას დისკუსიაში, და როცა დისკუსია აუცილებელია. ასეთი მდგომარეობა იყო, მაგალითად, 1921 წელში. უნდა აღინიშნოს, რომ ეხლანდელი პირობები არსებითად განსხვავდებიან 1921 წლის პირობებიდან.

1921 წელში ცეკა იყო გაყოფილი ორ თითქმის თანასწორ ნაწილად. ეხლა პარტიის ცენტრალურ ორგანოებში არის მტკიცე, დიდი უმრავლესობა, რომელიც ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის ყველა წევრთა 90 %-გან შესდგება. 1921 წ. გუბკომების ნაწილი მიემხრო ოპოზიციას. ეხლა კი პარტიის ყველა ხელმძღვანელი ორგანიზაციები ერთხმად ემხრობიან პარტიისა და მისი ცეკას ხაზს. ეხლა არ არსებობს არც ერთი ისეთი პარტიული ორგანიზაცია, რომელიც ემხრობოდეს ოპოზიციას. დისკუსიის აუცილებლობის დასაბუთება ეხლა 1921 წლის მაგალითის მოყვანით ნიშნავს იმას, რომ მათ არ ესმით შინაპარტიული პირობების განსხვავება.

ოპოზიცია სცდილობს არა პარტიის ნებისყოფის გამომჟღავნებას, არამედ არღვევს პარტიის ნებისყოფას უხეში გამოსვლებით.

მესამეც, დისკუსია დაუშვებელია იმიტომ, რომ ეხლანდელი ოპოზიცია კვლავ აყენებს როგორც ძირითადს, იმავე საკითხებს, რომლებსაც იგი აყენებდა დისკუსიებზე 1921 და 1923 წლებში. საკითხების გადაწყვეტა დისკუსიის გზით თვით ოპოზიციისათვის ვერ გამოდგა დამაჯერებელი. ოპოზიციამ ორჯერ-სამჯერ განიცადა მარცხი, ეხლა იგი აგროვებს თავის ძველ ავლა-დიდებას და ზურგს იმაგრებს ახლად მიმხრობილი ოპოზიციონური ჯგუფებით.

მან ცოტა რამ „ახალი“ შეიტანა პლატფორმებში და მოითხოვს ახალ დისკუსიას. პარტიას, რასაკვირველია, არ შეუძლია ოპოზიციას მიანიჭოს განუსაზღვრელად დისკუსიების გამართვის უფლება.

მეოთხე, მე-10 ყრილობის შემდეგ პარტიამ აღნიშნა, რომ დისკუსია მეტად ძვირი დაჯდა. პარტიის დეზორგანიზაცია ეხლა, როცა ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის ეკონომიური დაბრკოლებანი, ნიშნავს უდიდესი ზედნართი ხარჯების გამოწვევას, საბჭოთა სახელმწიფო აპარატის დეზორგანიზაციას და აგრეთვე ძალებისა და დროის უბრალო ხარჯვას.

მეხუთე, დისკუსია დაუშვებელია იმიტომ, რომ იგი არყევს თვით პროლეტარიატის დიქტატურის საფუძველს, ჩვენი პარტიის მთლიანობას და მის გაბატონებულ მდგომარეობას ჩვენს ქვეყანაში, და იმიტომ, რომ იგი წყალს ასხამს იმ ჯგუფების წისქვილზე, რომელნიც პოლიტიკური დემოკრატიის მოსურნენი არიან.

უკანასკნელ ხანებში გაიზარდა მოსახლეობის ყველა ფენების პოლიტიკური აქტივობა, მათ შორის პროლეტარიატის დიქტატურის მტრული ჯგუფების აქტივობაც. ჩვენი პარტია მჭიდროდ არის დაკავშირებული მთელ მუშათა კლასთან, რომელშიაც სოციალისტურად მოწინავე ფენებთან ერთად არიან პოლიტიკურად ჩამორჩენილი ფენებიც. პარტია და მუშათა კლასი მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ას მილიონიან გლეხობასთან. ამასთან ერთად პირობები ისეთია, რომ თვალსაჩინოა ქალაქის ბურჟუაზიისა და ბურჟუაზიული ინტელიგენციის პოლიტიკური აქტივობის ერთგვარი ზრდა.

დავის ხელოვნურად გამოწვევას პარტიის ხაზის შესახებ და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის კრიტიკას პარტიის უმნიშვნელო ნაწილის მიერ, შეუძლია თავი ააშვებინოს ჩვენდამი მტრულად განწყობილ პოლიტიკურ ჯგუფებს და ხელი შეუწყოს მათ გამოცოცხლებას. ამის არ გათვალისწინება შეუძლია მხოლოდ მას, ვისთვისაც ძვირფასი არაა ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარი და ვინც ჯეროვანად ვერ აფასებს ეხლანდელი პოლიტიკური პირობების სირთულეს.

სადისკუსიო ტრიბუნიდან ჩვენში შეიძლება შემოძვრეს პოლიტიკური დემოკრატიის ყლორტი.

ასეთი საშიშროების შესახებ გვაფრთხილებს ჩვენი კლასიური მტერი. მილიუკოვის „Последние Новости“ მოწინავე წერილში სწერს: „კრიტიკის თავისუფლებისათვის ბრძოლის პოლიტიკური მომენტი უფრო მნიშვნელოვანია ეხლანდელ ხანაში, ვიდრე ოპოზიციის სოციალურ პროგრამების განსხვავება.

მეორე წერილში იგივე გაზეთი სწერს: „რუსეთში ოპოზიციის გამოსვლებში გარკვეული სახით ხდება უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის ამბავი—აშკარა აგიტაცია და პროპაგანდა მთავრობის საწინააღმდეგოდ“.

ჩვენი მტერის ეს შეფასება არ უნდა იქმნას მხედველობიდან გაშვებული, როცა ლაპარაკი არის იმის შესახებ, რომ ოპოზიციას უნდა დისკუსია მოგვახვიოს თავზე.

პარტია სასტიკ ბოლშევიკურ პასუხს გასცემს იმათ, ვინც პროვოკაციას ქმნის დისკუსიისათვის. პარტიას უნდა საქმე და საქმიანი მუშაობა და არა კიდევ და კიდევ ლაყბობა გადაწყვეტილი საკითხების შესახებ. პარტიას არ სურს დისკუსია.

გადმოცემულია ტელეგრაფით.

მოსკოვი, 7 ოქტომბერი.

გლეხობის საშუალებათა მიზიდვა საკრედიტო ამხანაგობებში

სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის წინაშე ამჟამად წამოჭრილ ერთ-ერთ ძირითად ამოცანას, რომელიც მოითხოვს რეალურ, პრაქტიკულ გადაწყვეტას, წარმოადგენს გლეხური თავისუფალი თანხების დაგროვების საკითხი.

ამ აქტუალური საკითხის გადასაჭრელად დღემდე მიღებული ზომები სრულიად საკმარისნი არ არიან. რაში გამოიხატება ეს ზომები? ფართე აგიტაციაში წიგნებით, განცხადებებით, გლეხებთან ზეპირი საუბრებით, პლაკატებით და, აგრეთვე, მოხსენებებით კრებებზე. ამ აღნიშნულ ზომებზე სასოფლო-სამეურნეო ბანკები და საკრედიტო ამხანაგობები ძალიან დიდ დროსა, ენერგიასა და საშუალებებს ხარჯავენ, მაგრამ ჯერაც არ ემჩნევა ანაბარებისა და მიმდინარე ანგარიშების ზრდა საკრედიტო ამხანაგობებში.

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო კრედიტის მთელ სისტემაში ყველა მის ქვედა პუნქტებში, ანაბარების საერთო ჯამი ამა წლის 1-ლ იანვრამდე უდრიდა სულ 122.613 მან., თვითეულ საკრედიტო ამხანაგობაზე მოდიოდა — 488 მ. და 50 კაპ., ხოლო საკრედიტო ამხანაგობის თვითეულ წევრზე — 1 მან. და 24 კაპ.

მიმდინარე წლის 1-ლ ივლისისათვის ანაბარების ჯამი უდრიდა 268.276 მან. თვითეულ საკრედიტო ამხანაგობაზე მოდიოდა 965 მან. 02 კაპ., ხოლო თვითეულ წევრზე — 2 მან. და 07 კაპ. დაახლოვებით ასეთია ანაბარების რაოდენობა კავშირის დანარჩენ რესპუბლიკების სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებშიც.

ზედმეტია ანაბარების სიმცირეზე ლაპარაკი.

ამჟამად სესხის რაოდენობა ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ქვედა ქსელში შეადგენს 6.545.886 მან. თვითეულ საკრედიტო ამხანაგობაზე საშუალოდ მოდის — 23.546 მან. და 35 კაპ., ხოლო საკრედიტო ამხანაგობის თვითეულ წევრზე — 50 მან. 59 კაპ. ამნაირად ანაბარებისა და მიმდინარე ანგარიშების პროცენტი სესხის ოპერაციებთან შედარებით შეადგენს სულ 4,1 პროც.

როგორც ვიცით, რევოლიუციის წინადროინდელ ხანაში ანაბარებისა და მიმდინარე ანგარიშების პროცენტი საკრედიტო ამხანაგობებში უდრიდა 80 პროც-ს.

გააჩნია თუ არა გლეხურ მოსახლეობას ზედმეტი საშუალებები? არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ზედმეტი საშუალებები შეადგენდენ საკმაო თანხას. გრძელდება სასოფლო მეურნეობის აღორძინებითი პროცესი, სასოფლო მეურნეობის ძირითადი კაპიტალის — მუშა-საქონლის, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ინვენტარის და სხვ. — შევსება ჯერ არ არის დასრულებული, მაგრამ დარწმუნებით მაინც შეიძლება ითქვას, რომ, თუ მხედველობაში მივიღებთ სასოფლო მეურნეობის პროდუქციისა და საქონლოსნობის ზრდას (მებამბეობა, მეაბრეშუმეობა, მეღვინეობა, მეცხვარეობა, მეხილეობა, შინამრეწველობა და სხვ.), სოფლად მაინც ხდება ერთგვარი დაგროვება.

ამასთან ერთად ჩვენ სოფლად ვამჩნევთ უკიდურეს არანორმალურ მოვლენას. სოფლად კულაკური ელემენტები ანვითარებენ მევახშეობას.

ისინი გლეხებს სესხად აძლევენ ფულს მეტად მაღალ პროცენტებში, რითაც თითქმის განადგურებამდე მიჰყავთ გლეხობა.

ჩვენ საკმაო ცნობები მოგვეპოვება იმის შესახებ, თუ მევახშეები რა ადგილებში რა პროცენტებს ღებულობენ. ალებულ პროცენტების რაოდენობა ქანაობს 150—300-დე;

ამასთანავე ფულის გასესხების დროს სოფლად შემოღებულია წესი — პირდაპირ თუმნიდან 1 მან. 50 კაპ. ან 2 მან. გადახდა ყოველთვიურად.

იმის გარდა, რომ ეს გარემოება პირდაპირ ანიავებს გლეხურ მეურნეობას, მას სოფლის ელემენტებში შეაქვს ერთგვარი გახრწნილება. ზოგიერთი უფრო მოხერხებული ელემენტები, რამდენიმე თუმანს მოუყრიან თუ არა თავს, სესხად აძლევენ ამ ფულს თავის ნაცნობს ან მეზობელს — უღარიბეს გლეხს მისგან სავახშო პროცენტების აღების მიზნით.

ეს მოვლენა, გარდა იმისა, რომ ანადგურებს გაჭირვებული გლეხების მეურნეობებს, ძირს უთხრის ჩვენს ფინანსიურ პოლიტიკას და ფულის სისტემას, რადგან ფულის სიძვირის პირობებში ეცემა ჩვენი მანეთის ღირებულება და მისი მსყიდველობითი უნარიანობა, რაც ძლიერ ვნებს გლეხურ კეთილდღეობას.

გლეხობას ჯერ ვერ შეუგნია თავისი დოვლათის საკრედიტო ამხანაგობებში დაგროვების სარგებლიანობა. და ამას, ჩვენი აზრით, ვერ მივაღწევთ მარტო აგიტაციის საშუალებით. აქ საჭიროა ეკონომიური ხასიათის სულ სხვა ზომები, რომლებიც გლეხობას ჩააბამენ საკრედიტო ამხანაგობებში, დაარწმუნებენ მათ საკრედიტო ამხანაგობებში მათი დოვლათის შენახვის სარგებლიანობაში და უზრუნველყოფაში.

ეს ზომები შეიძლება გამოხატულ იქნან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციაში, წინასწარ სესხად გაცემულ ფულის ანგარიშზე.

გლეხობისაგან კოოპერატიული და სახელმწიფო დაწესებულებების მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის დროს აუცილებლათ საჭიროა, რომ შესასყიდი ფასები დააწესონ თვით საკრედიტო ამხანაგობებმა. ეს სრულებით არ შეაფერხებს დამამზადებელ ორგანიზაციების მუშაობას. აქ მნიშვნელოვანია ის, რომ საქონლის შემსყიდველებმა, იმის მაგიერ, რომ ფულით სავსე ჯიბე ატარონ სოფელ-სოფელ და გლეხებს უსწორებდენ ანგარიშს სამომხმარებლო კოოპერაციის საშუალებით, გლეხებისათვის პროდუქტების ღირებულების გაცემას აწარმოებდენ საკრედიტო ამხანაგობების საშუალებით.

ტექნიკურად ამის მოწყობა შეიძლება ასე: შემსყიდველი ორგანიზაციები გლეხობისგან ამა თუ იმ პროდუქტების ჩაბარების ან შესყიდვის დროს, გლეხებს აძლევენ ორდერებს ან ხელწერილს, რომლებიც შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა გაანაღდონ საკრედიტო ამხანაგობებმა, ხოლო უკანასკნელები სათანადო სახსრებით წინასწარ მომარაგებული არიან დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ სპეციალურ ხელშეკრულებების ნიადაგზე.

ეს გამოსავალი სრულიად შესაძლებელი, მოსახერხებელი და საჭიროც არის. საკრედიტო ამხანაგობაში ფულის მისაღებათ მოსული გლეხი ადვილად დასთანხმდება საკრედიტო ამხანაგობის წინადადებაზე მისი კუთვნილი თანხის ნაწილის დატოვების შესახებ განსაზღვრული ვადით ან და განუსაზღვრელად ანაბარის სახით.

ეს იქნება გლეხური დოვლათის დაგროვების პირველი რეალური შესაძლებლობა; შემდეგ როცა ის პირველად დარწმუნდება, რომ მისი ანაბარი, მისი ნაშომ ჭირნახული თანხა ინახება საკრედიტო ამხანაგობაში და შეუძლია ყოველ დროს მისი მიღება არა მარტო იმ რაოდენობით, როგორც მას შეტანილი ჰქონდა, არამედ დაგროვილი პროცენტების დარიცხვითაც, ის შემდეგშიც უფრო მეტი ხალისით დათანხმდება მისაღები თანხის ნაწილის დატოვებაზე.

ეს ღონისძიება განსაკუთრებით მიზანშეწონილი იქნება სასოფლო მეურნეობის პროდუქტების, როგორც, მაგალითად: აბრეშუმის პარკის, ბამბის, თამბაქოს, კაკლის, მატყლის და სხ. მასიური რეალიზაციის დროს.

ცხადია, ყველა ზომები მიმართული უნდა იქნას იქითკენ, რომ ამან არ შეაფერხოს ან არ გააძნელოს გლეხის მიერ თავის დროზე მისთვის საჭირო ფულის მიღება. რაც შეიძლება მაქსიმალურად უნდა გამარტივდეს ანაბარების მიმღებ-გამცემი აპარატი.

რომ ეს საშუალება, ყოველ პირობის გარეშე, გამოიღებს რეალურ დადებით შედეგებს—ამას მოწმობს მოსკოვში არსებული წესი შემნახველ-გამსესხებელ სალაროების მიერ ჯამაგირების გაცემისა სალაროები, რომლებიც გახსნილი არიან მსხვილ წარმოებებთან, სადაც რამდენიმე ათასი მუშა-მოსამსახურე მუშაობს, მუშა-მოსამსახურეების მთელი კუთვნილი სამუშაო ხელფასი შეაქვთ შემნახველ სალაროების საანგარიშო წიგნაკებში.

ჯამაგირების გაცემამდე რამდენიმე დღით ადრე, მუშა-მოსამსახურეები ფულის ნიშნების მაგიერ ღებულობენ ამ საანგარიშო წიგნაკებს და მათი საშუალებით სალაროდან გამოაქვთ ფული ყოველ დროს და საჭირო რაოდენობით.

ამ წესით ჯამაგირის გაცემამ ხელი შეუწყო სალაროში შეტანილი ანაბარის ყოველთვიურ გადიდებას.

ამასთან ერთად საჭიროა ანაბარების პროცენტების გადიდება, სესხის იმ პროცენტამდე მაინც, რომელსაც ღებულობენ საკრედიტო ამხანაგობები.

6—8 პროცენტი, რომელსაც აძლევენ დღეს ანაბარებზე საკრედიტო ამხანაგობები, საკმარისი არ არის. საჭიროა ეს პროცენტი აყვანილ იქნას 12-დე.

დღევანდელ მომენტში, როცა მეტად შეზღუდულია საკრედიტო ამხანაგობების საკრედიტო შესაძლებლობანი, ადგილობრივ თავისუფალ საშუალებათა მოზიდვას უნდა მიექცეს უაღრესად სერიოზული ყურადღება მთელი გლეხობისა და სასოფლო საზოგადოებრივობის მხრივ.

საკრედიტო ამხანაგობების გამოყენება ანგარიშის გამსწორებელ სალაროებად წარმოადგენს კოოპერატიულ დაგროვებაში გლეხობის მოზიდვის საუკეთესო რეალურ ფორმას. ეს მით უფრო [illegible] უნდა გახდეს გლეხობისათვის, რადგან ყოველი კაპეიკი, რომელსაც ღებულობს საკრედიტო ამხანაგობა, დაზღვეულია სასოფლო-სამეურნეო ბანკების მიერ, რომელნიც იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო ამხანაგობებს გაუჭირდებათ ანაბარებისა და მიმდინარე ანგარიშების სრულად განაღდება, ეხმარებიან მათ საჭირო ფულადი საშუალებებით; რაც შეეხება ორგანიზაციებს, რომლებიც ფულად ანგარიშებს აწარმოებენ საკრედიტო ამხანაგობების საშუალებით, მათაც შეუძლიათ სრულიად დამშვიდებულნი იყვნენ თავის თანხებზე, რადგან ეს უკანასკნელებიც უზრუნველყოფილია სასოფლო-სამეურნეო ბანკების მხრივ.

კ. ჩხენკელი.

საგადასახადო დისციპლინა

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი 1926—27 წლისათვის დამტკიცებული იყო 4 მილიარდ 40 მილიონ მანეთის რაოდენობით, რაც წინა წლის ბიუჯეტს აღემატება 1.163 მილიონ მანეთით.

ბიუჯეტის ასეთი ზრდა მეტად საგრძნობ მიღწევას წარმოადგენს და გამოხატავს ქვეყნის სახალხო მეურნეობის სწრაფ განვითარებას და ფინანსების გაჯანსაღებას.

თავის-თავად ეს ციფრიც, რა თქმა უნდა, მცირეა იმ უდიდეს საამშენებლო-კულტურულ ამოცანებთან შედარებით, რომლებიც წამოჭრილია ჩვენს წინაშე. ეს გარემოება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის მთლიანად და თავის დროზე შესრულებას. მაგრამ, როგორც გამოირკვა, ამ ამოცანის მთელი ასი პროცენტით განხორციელება შეუძლებელი გახდა. 11 თვის ცნობების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ნავარაუდევ სახელმწიფო შემოსავალს დააკლდება დაახლოვებით 200-დან 250 მილიონ მანეთამდე. ეს განსხვავება პროცენტულად მცირეა; თუ ჩვენ ავიღებთ მეფის დროის ან რომელიმე კაპიტალისტურ ქვეყნის ბიუჯეტს, გაცილებით მეტ დანაკლისს დავინახავთ მის შესრულებაში. მაგრამ ჩვენს პირობებში, როცა მუშურ-გლეხური მთავრობა ყოველ ზომას ხმარობს ახალი მშენებლობის გაშლისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა რაც შეიძლება ფართედ დაკმაყოფილებისათვის, ამ 200—250 მილიონს უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

რით აიხსნება შემოსავლის ხსენებული დანაკლისი? შესაძლებელია, რომ აქ ადგილი ჰქონდა მცირეოდენ გადაჭარბებას სახალხო მეურნეობის ცალკე დარგების შემოსავლის და საგადასახადო შესაძლებლობათა გამოანგარიშების დროს, რამაც მათ გაუძნელა შეწერილ გადასახადის სრული რაოდენობით შეტანა სახელმწიფოს სალაროში. მაგრამ უმთავრესი მიზეზები სულ სხვაგან უნდა ვეძიოთ. ყველაზე უფრო ხაზგასასმელია ამ შემთხვევაში სახელმწიფოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციათა საგადასახადო დისციპლინის სისუსტე.

მათ კიდევ ვერ შეუგნიათ სათანადოთ, თუ რა ზიანს აყენებს სახალხო მეურნეობას, თუ როგორი დეზორგანიზაცია შეაქვს ფინანსების საქმეში და გეგმიან მშენებლობაში მათ მიერ თავის საგადასახადო ვალდებულებისათვის გვერდის ახვევას.

ბევრ მუშაკს კიდევ ვერ დაუღწევია თავი იმ შეუწყნარებელ და შემცდარ შეხედულებისათვის, რომ სახელმწიფოებრივ საწარმოო დაწესებულების, აგრეთვე ნაწილობრივ კოოპერაციის საშუალებები იგივე სახელმწიფოს საშუალებები არის და ამიტომ თითქო გადასახადების გასტუმრების დაგვიანება, ან სრული გაუღებლობაც შესაძლებელი იყოს, ყოველ შემთხვევაში ეს მაინც და მაინც თითქო დიდ დანაშაულობას არ წარმოადგენდეს.

მაგრამ გაცილებით უფრო საგულისხმოა, რომ სახელმწიფოებრივ-კოოპერატიულ ორგანიზაციების საგადასახადო დავალიანებაში მოსჩანს მათი უყაირათობა, უმომჭირნეობა, მეურნეობის ცუდად წარმართვა. ასეთ პირობებში რასაკვირველია, მათ „თავისუფალი“, „ზედმეტი“, თანხები არ რჩებოდით სახელმწიფო გადასახადების გასასტუმრებლად, მაშინ, როცა ამ გადასახადის გაღება უნდა შეადგენდეს მათ ერთ უმთავრეს მოვალეობათაგანს.

საგადასახადო დავალიანებამ ქრონიკული ხასიათი მიიღო, მისი რაოდენობაც მეტად მნიშვნელოვანია. ამ მხრივ საინტერესოა შემდეგი ცნობები: 1923 წ. 1 ოქტომბრისათვის ეს დავალიანება უდრიდა 14 მილიონ მანეთს, 1924 წ. 1 ოქტომბრისათვის—54 მილ. მან., 1925 წ. 1 ოქტომბრისათვის—92 მილ. მან., 1926 წ. 1 აპრილისათვის—110 მილ. მან., ამავე წლის 1 აგვისტოსათვის—99 მილ. მან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დავალიანების ზრდა თითქმის სამჯერ აღემატება ბიუჯეტის საგადასახადო ნაწილის გადიდებას.

საყურადღებოა შემდეგი ცნობაც. ა. წ. პირველ აგვისტოს ცნობებით სახელმწიფოებრივ დაწესებულებებზე მოდის დავალიანება 51 მილიონ 23 ათას მანეთის რაოდენობით, კოოპერაციაზე—9 მილ. 616 ათ. მან., კერძო გადამხდელებზე—36 მილ. 722 ათ. მან. აქედან ა.-კავკასიის რესპუბლიკებზე ირიცხება: სახელმწიფოებრივ დაწესებულებებზე—4 მილ. 507 ათ. მან., კოოპერატიულ ორგანიზაციებზე—579 ათ. მან., კერძო გადამხდელებზე—3 მილ. 112 ათ. მან.

აღსანიშნავია, რომ კერძო კაპიტალის დავალიანება თანდათან მცირდება მიღებულ ღონისძიებათა წყალობით: თუ, მაგ., ა.-წ. 1 ივლისისათვის ის 52 მილიონ. მან. უდრიდა, 1 აგვისტოსათვის შემცირდა 36 მილიონამდე. რა თქმა უნდა, ეს დავალიანებაც დაუშვებელია და მის სწრაფი ლიკვიდაციისათვის უფრო გადამჭრელი ზომები უნდა იქნას მიღებული.

ამავე დროს სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა დავალიანება მატულობს: 1 ივლისისათვის ის შეადგენდა 32 მილ. მან., ხოლო 1 აგვისტოსათვის—51 მილ. მან. მეტს. ამ მხრივ კოოპერაციაც ბევრად არ ჩამორჩება სახ. წარმოებებს.

როგორ უნდა შევებრძოლოთ ამ დავალიანებას? წინედ სახელმწიფოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციების მიმართ ხელისუფლება დიდ სირბილეს იჩენდა, რომ მათთვის საშუალება მიეცა გადასახადის უმტკივნეულოდ გასტუმრებისათვის. ძალიან ხშირად ჰქონდა ადგილი გადასახადის ვადის გაგრძელებას. არა ნაკლებ ხშირი იყო შუამდგომლობები საგადასახადო ნორმის შემცირების შესახებ, რაც ბევრ შემთხვევაში კმაყოფილდებოდა. მაგრამ ამან საერთოდ შეასუსტა სახ. და კოოპ. ორგანიზაციების საგადასახადო დისციპლინა. ამიტომ ბოლო დროს ამ მხრივ გადაჭრილი გეზი იქნა აღებული. შრომისა და თავდაცვის საბჭოს ცნობილ დადგენილებაში სამეურნეო მდგომარეობის და პერსპექტივების შესახებ, სხვათაშორის, ვკითხულობთ: „წინადადება მიეცეს საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატს მიიღოს გადამწყვეტი ზომები საგადასახადო ნარჩენების ასაკრეფად სახელმწიფო შემოსავლის დარგში, და საჭირო შემთხვევებში ადმინისტრატიულ და სამოსამართლო პასუხისგებაში იქნენ მიცემული სახელმწიფოებრივ და კოოპერატიულ დაწესებულებათა ხელმძღვანელები, რომელთა წყალობით მოხდა დავალიანება“.

ამ საქმეში რაიმე სირბილის დაშვება შეუძლებელია. ბოლო უნდა მოეღოს უსაფუძვლო შუამდგომლობებს გადასახადების შემცირების ან მათი შეტანის ვადის გადადების შესახებ. ამასთან საჭიროა საგადასახადო აპარატის უფრო მოქნილი და რაციონალური ორგანიზაცია და მისი შემადგენლობის გაძლიერება მომზადებულ და ენერგიულ მუშაკებით. შემდეგისათვის მაინც ყველა ამას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. აგრეთვე მომავალ ბიუჯეტის შედგენის დროს საშემოსავლო ნაწილის გამოანგარიშება მეტი სიფრთხილით უნდა ჩატარდეს.

საგადასახადო დისციპლინა და ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის მთელი ასი პროცენტით განაღდება ამიერიდან უზრუნველყოფილ უნდა იქნეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ძალიან შეფერხდება ჩვენი გეგმიანი მშენებლობა, რომელიც მტკიცე და რეალურ ბიუჯეტში ჰპოულობს გამოხატულებას.

მ. ლ—ძე.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

კანტონის ჯარებისა და სახალხო არმიის შეტევა

ინგლისს განზრახვა აქვს ჩინეთის ინტერვენციის მიზნით შეადგინოს უცხოელთა ლეგიონი

პოლონეთში ძლიერდება მოძრაობა მეზობელ სახელმწიფოებთან მეგობრული ურთიერთობის დამყარების სასარგებლოდ

პრუსიის მთავრობამ ხელი მოაწერა შეთანხმებას ჰოჰენცოლერნებისათვის ჩამორთმეული ქონების ანაზღაურების შესახებ

კანტონის არმიის შეტევა

სიან-ფუ სახალხო არმიის ხელში

პეკინი, 7 ოქტომბერი. გენერალი ლიუ-ჩენ-ხუა, უ-პეი-ფუს მომხრე, რომელიც პროვინცია შენ-სიში მოქმედებს, ტელეგრაფით სთხოვს დახმარებას უ-პეი-ფუს და აღნიშნავს, რომ სახალხო **არმიის ჯგუფმა, რიცხვით 10.000 კაცმა, დაიკავა შენ-სის დედა ქალაქი სიან-ფუ და აიძულა იგი უკან დაეხია ამ რაიონიდან.**

ბრძოლა „რადიკალურ იდეებთან“

პეკინი, 7 ოქტომბერი. პეკინის გარნიზონის ახალმა უფროსმა გენერალმა იუ-ჩენმა (მუკდენელი) ბრძანება მისცა სასწავლებლების უფროსებს, რათა დააპატიმრონ ყველა ის პირნი, რომელნიც შენიშნულნი იქნებიან კანტონის სასარგებლო აგიტაციაში და დაითხოვონ მასწავლებლები, „რომელნიც ცნობილნი არიან რადიკალური აზრებით“. ამავე დროს იუ-ჩენმა გამოაცხადა, რომ მთავრობა კრძალავს ყოველგვარ გამოსვლებს ვან-სიანის ინციდენტის გამო და აგრეთვე ფურცლებისა და პლაკატების გავრცელებას ინგლისის წინააღმდეგ. უკანასკნელ დღეებში სტუდენტებს შორის 30-ზე მეტი კაცი დააპატიმრეს. მრავალ მათგანს ბრალად ედება გომინდანისა და წითელი არმიის მომხრეობა. პოლიცია ყოველ დღე ახდენს სასტუმროებისა და რესტორანების ჩხრეკას „წითელი ჯაშუშების“ აღმოჩენის მიზნით. სხვა ბრძანებებს შორის ყურადღებას იქცევს ბრძანება, რომელიც ქალებს უკრძალავს თმის გაკრეჭას, ვინაიდან „ეს ეწინააღმდეგება ჩინურ ჩვეულებებს, რომელნიც აუცილებლად უნდა იქნენ დაცულნი“.

მუკდენის ნებართვით

პეკინი, 7 ოქტომბერი. როგორც იუწყებიან, ჩინეთის ახალი პრემიერი და გარეშე საქმეთა მინისტრი ველინგტონ-კუ, სანამ მოვალეობის აღსრულებას შეუდგებოდა, შეეკითხა მუკდენს, თუ რა აზრისაა იგი მისი ამ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ. მას უპასუხეს, მუკდენი წინააღმდეგი არაა, რომ მან დაიჭიროს პრემიერ-მინისტრისა და გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობა, მაგრამ უარს აცხადებს აქტიური მონაწილეობა მიიღოს პეკინის მთავრობის პოლიტიკაში.

„ანტიბოლშევიკური“ აგიტატორები

პეკინი, 6 ოქტომბერი. ნანკინიდან მიღებული ცნობით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოაწყო ანტიბოლშევიკური აგიტატორების ჯგუფი, რომელნიც გაიგზავნებიან იმ ხუთი პროვინციის ყველა ქალაქებში, რომელნიც სუნ-ჩუან-ფანის მმართველობაში იმყოფებიან.

იმპერიალისტები და ჩინეთი

ლონდონი, 7 ოქტომბერი. „ჩინეთის საინფორმაციო ბიუროს ბიულეტენი“, რომელიც ლონდონში გამოდის, იუწყება, რომ ლონდონში იხილავენ უცხოელთა ლეგიონის შექმნის გეგმას. ლეგიონის დანიშნულებას შეადგენს ჩინეთში მოქმედება.

ბრძოლა ნან-ჩანთან

პეკინი, 6 ოქტომბერი. სუნ-ჩუან-ფანის ჯარები შეგროვდენ ნან-ჩანის (ცზიან-სის პროვინციის დედა-ქალაქი) სამხრეთ-დასავლეთით, იმ მიზნით, რომ კანტონის ჯარებს წაართვან დინ-დზიანი. **მაგრამ კანტონის ჯარების მარჯვენა ფრთის ჯგუფმა უეცარი შეტევით აღმოსავლეთის მიმართულებით აიძულა სუნ-ჩუან-ფანი დაიხიოს და შეიპყრა პროვინცია ცზიან-სის ჩრდილოეთ ნაწილში ნან-ჩანის რკინის გზის ხაზის ცენტრალურ უბანში. ეხლა იგივე ჯგუფი მიიწევს წინ ჩრდილოეთით ნან-ჩანის რკინის გზის გასწვრივ, იმ მიზნით, რომ ზურგში მოუარონ სუნ-ჩუან-ფანის ჯარებს, რომელნიც პროვინცია ცზიან-სის აღმოსავლეთ ნაწილში მოქმედებენ.** ამის გამო სუნ-ჩუან-ფანი იძულებული გახდა ბრძანება გაეცა თავისი ჯარების ჯგუფისათვის, (რომელიც ხუ-ბეისა და ცზიან-სის პროვინციების საზღვარზე მოქმედებს), რომ უკან დაიხიოს მდინარე სან-ხოს მიმართულებით, იმ მიზნით, რომ ხელი შეუშალოს კანტონის ჯარების ჩრდილოეთსაკენ წინსვლას რკინის გზის გასწვრივ.

როგორც იუწყებიან, სუნ-ჩუან-ფანის მარჯვენა ფრთის ჯგუფის ბანაკი პროვინცია ხუ-ბეიში კანტონის ჯარებმა 6 ოქტომბერს დაიპყრეს.

იოშიზავა ჩან-ძო-ლინთან

პეკინი, 7 ოქტომბერი. ტოკიოდან მიღებული ცნობით, იაპონიის ელჩი ჩინეთში იოშიზავა გაემგზავრა პეკინში. გზაში იოშიზავა ინახულებს ჩან-ძოლინს.

გადამწყვეტი ბრძოლა

პარიზი, 6 ოქტ. მოკლე დროში მოსალოდნელია გადამწყვეტი ბრძოლა კანტონისა და სუნ-ჩუან-ფანის ჯარებს შორის ხუან-ჩოუს რაიონში, ხანკოუდან 60 კილომეტრის ქვევით, მდინარე იანცე-ციანზე, სადაც ორივე მხარე აგროვებს ჯარებს.

პროვინცია ციან-სი დედა ქალაქის ნან-ჩანის მიმართულებით **ჩან-კაიშის მეთაურობით ხდება კანტონის ჯარების თავმოყრა ჩუი-ჩოუს რაიონში 60 კილომეტრის მანძილზე ნან-ჩანის სამხრეთ-დასავლეთით და მზადდება თავდასხმა ნან-ჩანზე.** ნან-ჩანის რაიონში თავმოყრილია სუნ-ჩუან-ფანის საუკეთესო ჯარები.

ჩინეთის მთელი უცხოეთის პრესა აღნიშნავს, რომ მოსახლეობა და განსაკუთრებით გლეხური მოსახლეობა იმ რაიონების, რომლებიც ჯერ კიდევ კანტონის ჯარებს არ დაუპყრია, მოუთმენლად მოელის მათ მოსვლას; კანტონის ჯარების პროპაგანდას აქვს უდიდესი წარმატება.

კანტონის ჯარი შეტევაზე გადადის

პეკინი, 6 ოქტ. **6 ოქტომბერს** მიღებული ცნობების თანახმად პროვინცია ციან-სიში კანტონის ჯარებმა დაიწყეს შეტევა 1 ოქტომბერს.

გაფიცვა ინგლისში

მთავრობა პასუხს მოითხოვს

ლონდონი, 6 ოქტ. ბოლდუინის მდივანმა წერილით მიმართა მემაღაროეთა ფედერაციას, რომელშიაც აღნიშნავს, რომ უკვე სამი კვირაა რაც მემაღაროეთა ფედერაციას განსახილველად გადაეცა მთავრობის წინადადება.

„მთავრობას არ შეუძლია, ნათქვამია წერილში, პასუხს კვლავ უცადოს და სთხოვს ფედერაციას, რომ 7 ოქტომბერს მისცეს საბოლოო პასუხი. წინააღმდეგ შემთხვევაში წინადადება უკან წაღებულად ჩაითვლება“.

მთავრობის წინადადებები უარყვეს

ლონდონი, 7 ოქტ. მემაღაროეთა ფედერაციაში შემავალ ყველა სარაიონო ორგანიზაციებმა გამოიტანეს გადაწყვეტილება მთავრობის წინადადებათა შესახებ. ოფიციალური ცნობა შედეგების შესახებ დაიგვიანებს შუადღემდე და გამოქვეყნდება მემაღაროეთა სადელეგატო კონფერენციაზე. თუმცა უკვე **გამორკვეულია, რომ მთავრობის წინადადებები გადაჭრით უარყოფილია.**

მდგომარეობა პოლონეთში

ზალესკის დანიშვნის გარშემო

ვარშავა, 6 ოქტ. ოფიციალური „ეპოქა“ (ყოფილი „ნოვი კურიერ პოლსკი“), აცხადებს, რომ ზალესკის დანიშვნა საგარეო საქმეთა მინისტრად მოწმობს იმას, რომ პილსუდსკი „მიუხედავათ მტრების მიერ მის წინააღმდეგ გავრცელებულ ხმებისა“ არ გადაუხვევს მეზობელ სახელმწიფოებთან მშვიდობიანობის პოლიტიკისა და მეგობრული დამოკიდებულების გზიდან.

მორიგი სკანდალი

ვარშავა, 6 ოქტ. სალაპარაკო საგნად არის გადაქცეული გაზ. „პორანნა ვარშავსკას“ მიერ გამოქვეყნებული ცნობა საიდუმლო სატელეფონო სადგურის აღმოჩენის შესახებ. ამ სადგურიდან ყურს ადევნებდენ ტელეფონით ლაპარაკს.

სადგური აღმოჩენილი იქნა ოფიცრების მიერ დეპუტატ ზდეხოვსკის ცემის დროს. როცა ოფიცრები თავს დაესხნენ ზდეხოვსკის, მისი ტელეფონი ამოხსნილი აღმოჩნდა ქსელიდან.

როგორც „გაზეტა პორანნა ვარშავსკა“ იუწყება, სატელეფონო ლაპარაკისათვის ყურისსაგდები სადგური მოწყობილი ყოფილა გერმანიის სამხედრო სარდლობის მიერ ჯერ კიდევ ვარშავის ოკუპაციის დროს. ვარშავიდან გერმანიის ჯარების ევაკუაციის შემდეგ სადგური მაინც განაგრძობდა მუშაობას. „გაზეტა პორანნა ვარშავსკა“ გამომჟღავნებას მით უფრო სკანდალური ხასიათი აქვს, რომ პოლონეთის კონსტიტუცია უზრუნველჰყოფს კორესპონდენციებისა და სატელეფონო საუბარის საიდუმლოებას.

ფაკვიანური სიტყვები

ვარშავა, 7 ოქტ. უკეთებს რა კომენტარიებს მდგომარეობას ევროპაში, ნაციონალ-დემოკრატების ორგანო გაზეთი „გაზეტა პორანნა ვარშავსკა“ სწერს:

„ევროპა პოლიტიკურად არა წონასწორ მდგომარეობაში იმყოფება და შეიძლება გახდეს ისეთ გართულებათა სარბიელად, რომელიც საფრთხეს განუმზადებს მშვიდობიანობას. სისწორით შეუძლებელია აფეთქების ადგილის აღნიშვნა, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ ევროპის აღმოსავლეთის წილად ხვდა გახდეს პლაცდარმად, რომელზედაც მოხდება პოლიტიკური ისტორიის ახალი აქტი“.

გაზეთი ფიქრობს, რომ პოლონეთი განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყოს.

„რუსეთის საწინააღმდეგო ომში მონაწილეობის მიღება, სწერს გაზეთი, არ შედის პოლონეთის ინტერესებში. გამარჯვების მომტანი ომიც კი კატასტროფა იქნებოდა პოლონეთისათვის. პოლონეთის საზოგადოებრივმა აზრმა გადაჭრით უნდა გაუწიოს წინააღმდეგობა პოლონეთის წაყვანას მოლიპული გზით“

არჩევნების ეშინიათ

ვარშავა, 7 ოქტ. პილსუდსკის ოფიციოზი „გლოს პრავდი“, რომელიც უკანასკნელ ხანებში სამრეწველო და აგრარული წრეების დაშინების პოლიტიკას აწარმოებს, ხაზს უსვამს, რომ ეხლანდელი სეიმი აგრარიებს იცავს რადიკალური მიწის რეფორმისაგან. „საჭიროა, სწერს გაზეთი, რომ მომავალმა სეიმმა აგრარული რეფორმის საკითხში იგივე პოზიცია დაიჭიროს. აგრარიების ბელადი სტრონსკი აგრარიების ინტერესების საწინააღმდეგო პოლიტიკას აწარმოებს“. გაზეთი აგრარიებს გადასახადების გადიდებით ემუქრება.

სტრონსკი „ვარშავიანკაში“ სწერს: „სეიმის დათხოვნას პოლონეთის საგარეო მდგომარეობისათვის უფრო მეტი მნიშვნელობა ექნება, ვიდრე შინაურ მდგომარეობისათვის. მთავრობა თავის თავს არ აძლევს ანგარიშს იმაში, რომ საზღვარ-გარეთ პოლონეთის შესახებ შეიქმნა ისეთი შეხედულება, რომ იგი მოუწესრიგებელი დიქტატურის ქვეყანას წარმოადგენს.

მთავრობამ რომ გადაათვალიეროს საზღვარ-გარეთის პოლიტიკური კარიკატურები, რომლებშიაც **პოლონეთის სახელმწიფოს სიმბოლოდ გახდა ჩექმები და მათრახი**, მაშინ იგი ალბად უფრო ფხიზლად შეაფასებდა შექმნილ მდგომარეობას. სეიმისა და სენატის დათხოვნა შექმნის ნიადაგს კონფლიქტისათვის, რომელიც ევროპისათვის უცხო პოლიტიკურ ბრძოლას გააჩაღებს და მოგვაგონებს ძველი პრუსიისა და მეფის სათათბიროს ურთიერთობებს“.

სტრონსკი, ლაპარაკობს რა მომავალ საპარლამენტო არჩევნების შესახებ, აცხადებს, რომ ამ არჩევნების შედეგად ეროვნულ უმცირესობათა საპარლამენტო მანდატების რიცხვი 40-დან 120-მდე მოიმატებს. „არჩევნები,—სწერს სტრონსკი,—სასარგებლოა პირველ რიგში ეროვნულ უმცირესობათა და კომუნისტებისათვის“.

ჩეხოვიჩის განცხადება

ვარშავა, 7 ოქტ. ფინანსთა მინისტრმა ჩეხოვიჩმა განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, რომ ის ეცდება უზრუნველყოს ბიუჯეტის წონასწორობა და თვალ-ყურს ადევნებს ზლოტის კურსის სიმტკიცეს.

ჩეხოვიჩმა განაცხადა, რომ ის მიიღებს საჭირო ზომებს საქონელზე ფასების მომატების წინააღმდეგ. ხელს შეუშლის ყოველგვარ უკანონო ფასების აწევას, გაამარტივებს გადასახადთა აკრეფის სისტემას, ეცდება მიიღოს უფრო დიდი მოგება მონოპოლიიდან, განსაკუთრებით არაყის მონოპოლიიდან, იბრძოლოს ყოველგვარ უნაყოფო ხარჯების წინააღმდეგ და შემცირებს ან გადასდებს მომავლისათვის ნაკლებად საჭირო საქმეების ხარჯებს.

ს პ ა რ ს ე თ შ ი

სიმკოს დამარცხება

თეირანი, 7 ოქტ. სპარსეთის ჯარებმა დალმანთან სერიოზულად დაამარცხეს ქურთების მეთაურის სიმკოს რაზმები. იუწყებიან, რომ სიმკო სერდეშტიდან გაიქცა ოსმალეთის საზღვრისაკენ. სექტემბერში სიმკო ფარულად ჩავიდა ირაქში და იქ ინგლისელებთან 6 დღის განმავლობაში თათბირი ჰქონდა.

საქმე რიზა-შახზე თავდასხმის შესახებ

თეირანი, 6 ოქტ. სამხედრო სასამართლოში დაიწყო იმ სამხედრო პირთა საქმე, რომელნიც მონაწილეობას იღებდენ რიზა-შახის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში.

საბჭოთა პრესა

სამრეწველო განვითარების ტემპი

1925—26 სამ. წელი იყო აღორძინებითი პერიოდის უკანასკნელი წელი, როდესაც საერთოდ ამოწურულ იქნა მრეწველობის განვითარების ძველი ტექნიკური შესაძლებლობანი. მრეწველობის შემდგომი ზრდა შესაძლებელია უმთავრესად ახალი მშენებლობის და რამოდენიმედ არსებულ ფაბრიკა-ქარხნების მოწყობილობის გადახალისების გზით. აქედან—მრეწველობის განვითარების ტემპი ვერ იქნება ისეთი სწრაფი, როგორც წინა წლებში. ამავე დროს სასოფლო მეურნეობას, მისი სპეციფიური ხასიათის გამო, ეხლანდელ ტექნიკურ საფუძველზედაც აქვს თავის პროდუქციის გადიდების საშუალება. რა დასკვნა გამომდინარეობს ასეთი მდგომარეობიდან, მრეწველობასა და სასოფლო მეურნეობას შორის არსებულ დისპროპორციიდან? ამაზე **„ეკონომიჩესკაია ჟიზნ“** უპასუხებს:

> „მთელი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და კიდევ ინდუსტრიალიზაცია. მრეწველობის, როგორც მეურნეობაში ხელმძღვანელ ფაქტორის, გაშლა. მრეწველობის გაშლა, რომელიც გაუსწრებს სასოფლო მეურნეობის განვითარებას. სავსებით ცხადი, სავსებით აუცილებელი დასკვნაა. და მხოლოდ დაბნეულ, სწორი გზიდან გადამდგარ ადამიანებს, პოლიტიკანებს და დემაგოგებს შეუძლიათ ეჭვი შეიტანონ იმაში, ნამდვილად ადგას თუ არა პარტია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გზას, ნამდვილად ანხორციელებს თუ არა მას თავის ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში, ნამდვილად აგროვებს თუ არა ყველა მატერიალურ საშუალებებს მრეწველობის რაც შეიძლება სწრაფი გაშლისათვის... პოლიტიკის მთავარი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ მრეწველობის მაქსიმალურ განვითარებას **მივაღწიოთ სოფლის მეურნეობასთან კავშირის ნიადაგზე** და მისი განმტკიცების პირობებში ამიტომ ბავშურ ტიტინს წარმოადგენენ სიტყვები, თითქო მარტო საგადასახადო და საკრედიტო ღონისძიებებით და ფასების სათანადო პოლიტიკით შესაძლებელი იყოს ქალაქისა და სოფლის ურთიერთობათა ურთულეს პრობლემის გადაჭრა“.

ქალაქსა და სოფელს შორის ისეთი ურთიერთობის გამაგრება, რომელიც ხელს შეუწყობს პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებას, მთავარი გამოსავალი წერტილია ჩვენი სამრეწველო მშენებლობისათვის. რომ ჩვენ მოვინდომოთ მრეწველობის განვითარების დაჩქარება გლეხობიდან საშუალებათა გადაჭარბებული ამოქაჩვის გზით (ფასების გადიდება სამრეწველო საქონელზე, გლეხობისათვის მეტი გადასახადების შეწერა და სხ.), როგორც ოპოზიცია მოითხოვს, ამით მშრომელ გლეხობას გადავიკიდებდით და შეირყეოდა საბჭოთა წყობილების სიმტკიცის მთავარი საფუძველი—მუშათა კლასის და გლეხობის კავშირი—და თვით მრეწველობის გაშლისათვის სერიოზული საფრთხე შეიქნებოდა, როგორც მრეწველობის პროდუქციის გასაღების, ისე ნედლი მასალით მისი მომარაგების მხრივ. ეს მომენტი განსაზღვრავს ჩვენს სამრეწველო განვითარების ტემპს 1926—27 წლისთვისაც. როგორია ეს ტემპი? **„ეკონომიჩესკაია ჟიზნ“** სწერს:

> „მრეწველობის განვითარების სავსებით რეალურ ტემპად 1926—27 წლისათვის უნდა ჩაითვალოს 15 პროცენტი. ეს სამჯერ ნაკლებია, ვინემ განვლილ წლების ტემპი, მაგრამ ეს უაღრესად დიდია ომის წინანდელ განვითარებასა და კაპიტალისტურ ქვეყნების ეხლანდელ განვითარებასთან შედარებით. ემუქრება თუ არა საბჭოთა კავშირს მრეწველობის განვითარების ომის წინანდელ, ან კაპიტალისტურ ქვეყნების ტემპამდე დაქვეითების საშიშროება. ამ მხრივ აქა-იქ პესიმისტური ხმები გაისმის. მაგრამ ის ერთად-ერთი სერიოზული მასალა, რომელსაც ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ,—სახელმწიფო საგეგმო კომისიის ხუთწლიანი გეგმა,—ლაპარაკობს მრეწველობის შემდგომ განვითარების ათ პროცენტზე წლის განმავლობაში. რა ჩვენ **საფუძველი გვაქვს ჩვენი ქვეყნის მრეწველობის განვითარების უფრო მაღალი ტემპი სავსებით რეალურად მივიჩნიოთ.** გეგმიანი მშენებლობის მომენტი, რომელიც საბჭოთა კავშირს კაპიტალიზმისაგან ანსხვავებს, სულ უფრო მეტი სიმძიმით ედება სასწორზე—სოციალიზმის სასარგებლოდ“,

ჰოჰენცოლერნები

საჩუქარი ჰოჰენცოლერნებს

ბერლინი, 6 ოქტ. პრუსიის ფინანსთა მინისტრმა მთავრობის პარტიების წარმომადგენლებს განუცხადა, რომ პრუსიის მთავრობას განზრახვა აქვს ამ მოკლე ხანში დასდოს შეთანხმება ჰოჰენცოლერნებთან ჩამორთმეული საგვარეულო ქონების ანაზღაურების შესახებ.

ბერლინი, 7 ოქტ. გუშინ გოგენცოლერნების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს იმ კომპრომისზე, რომელიც სწყვეტს მათი პრეტენზიების საკითხს პრუსიის მიმართ. კომპრომისი შეტანილი იქნება ლანდტაგში მომავალ კვირაში.

შეთანხმება ანაზღაურების შესახებ

ბერლინი, 7 ოქტომბერი. „ტელეგრაფ უნიონის“ სააგენტოს ცნობით, პრუსიის მთავრობასა და ჰოჰენცოლერნებს შორის დაიდო ხელშეკრულება, უკანასკნელთათვის ჩამორთმეულ ქონებაში ანაზღაურების მიცემის შესახებ: **ამ შეთანხმების ძალით ჰოჰენცოლერნები უკან მიიღებენ 60.000 დეს. მიწას; მთელ რიგ კოშკებს და 15 მილიონ მარკას.**

ლანდტაგის სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ დაადგინა, რომ ხელი არ შეუშალოს შეთანხმების განხორციელებას.

კომპარტიის ორგანო „როტე ფანე“ სწერს:

„მთლიანობის კომიტეტმა ხელი უნდა შეუშალოს იმას, რომ ჰოჰენცოლერნებს მიეცეთ მილიარდები მაშინ, როდესაც მუშები სიმშილით სიკვდილის საშინელი საფრთხის წინაშე დგანან“.

ვალების საკითხი

პუანკარე და მოკავშირეთა ვალები

პარიზი, 7 ოქტ. კაბინეტის საბჭოს გუშინდელ სხდომაზე მინისტრებმა ერთხმად მოიწონეს პუანკარეს პოზიცია მოკავშირეთა ვალების მოგვარების საკითხში.

უკანასკნელი ცნობები

მთავრობის წინადადება უარყოფილია

ლონდონი, 7 ოქტ. სანახშირო რაიონის კრებებზე მთავრობის წინადადება სანახშირო კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ უარყოფილ იქმნა 737.000 ხმით. ამის შემდეგ სადელეგატო კონფერენციამ დღეს დილით გამოიტანა გარდაწყვეტილება, რომ მთავრობის წინადადება ოფიციალურად უნდა იქმნას უარყოფილი. ამ გარდაწყვეტილებას მხარი დაუჭირა უმრავლესობამ და მოითხოვეს მაღაროების მცველების უკან გამოწვევა, ემბარგოს (აკრძალ.) დანიშვნა ნახშირის შეტანაზე და ბრძანების გაცემა მემაღაროებისადმი მუშაობის შეწყვეტის შესახებ. ტრედ-იუნიონების კონგრესმა ხვალ კავშირის წევრთა შორის უნდა მოაწყოს ფულის შეგროვება მემაღაროეთა სასარგებლოდ.

სამხედრო მდგომარეობა ქუ-ქიანში

პეკინი, 7 ოქტომბერი. ქუ-ქიანში მდგომარეობა მეტად სერიოზულია ქალაქში შემოღებულია სამხედრო წესები მეტად მკაცრი სახით. გამუდმებით სწარმოებს ჩხრეკა. დაპატიმრებულია 50 კაცი, რომელთაც ბრალი ედებათ გომინდანის წევრობაში და გომინდანის სასარგებლო აგიტაციაში. დაპატიმრებულთა უმრავლესობას თავები მოჰკვეთეს.

კიდევ ერთი გადატრიალება

ბერლინი, 7 ოქტომბერი. მადრიდის გაზეთები იუწყებიან, რომ სან-ტარემში (პორტუგალია) მოხდა სამხედრო გადატრიალება. რესპუბლიკური ჯარები ხმარობდენ დინამიტის ყუმბარებს. არეულობა გრძელდება.

ვახაბიტების თავდასხმა

ბერლინი, 7 ოქტომბერი. იერუსალიმიდან იუწყებიან, რომ 500 ვახაბიტი თავს დაესხა მუდანარუს, სამხრეთ იორდანიაში. მოკლულია 100 კაცი. მუდანარუში სასწრაფოდ გაიგზავნა ინგლისის ჯარი.

საფრანგეთ-რუმინიის ხელშეკრულების გამო

პარიზი, 7 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ საფრანგეთის მთავრობას გადასცა ნოტა, რომელშიაც გამოთქმულია საბჭოთა კავშირის თვალსაზრისი საფრანგეთ-რუმინიას შორის დადებული ხელშეკრულების შესახებ.

იტალია-რუმინიის ხელშეკრულების გამო

რომი, 7 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა იტალიაში კერჟენცევმა იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრს გაუგზავნა ნოტა იტალია-რუმინიის ხელშეკრულების გამო.

კონსერვატორების კონფერენცია

ლონდონი, 7 ოქტომბერი. დღეს სკარბოროში გაიხსნა კონსერვატორული პარტიის წლიური კონფერენცია, რომელშიაც 1500-ზე მეტი დელეგატი იღებს მონაწილეობას. ბალდუინი მონაწილეობას იღებს კონფერენციაში და დღეს წარმოსთქვამს სიტყვას.

ჰამბურგის ნავთსადგურში

ჰამბურგი, 7 ოქტომბერი. გუშინ საღამოს ნავთსადგურის მუშებმა განაახლეს მუშაობა. რეშედასმა მოაწყო გაფიცვაში მონაწილე დათხოვნილების მასიური კვება.

სირიის ბამბის დაღუპვა

ბერლინი, 7 ოქტომბერი. სირიის ბამბის თითქმის მთელი წლევანდელი მოსავალი განადგურა კალიამ.

ზევერინგის გადადგომა

პარიზი, 7 ოქტომბერი. პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრის ზევერინგის გადადგომა მიღებულია. მის მაგიერ დაინიშნა ბერლინის პოლიციის უფროსი გრჟეზინსკი.

ლიტვასთან შეთანხმების შემდეგ

საუბარი ამხ. რაკოვსკისთან

პარიზი, 7 ოქტ. ჰავასის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბარში ამხ. რაკოვსკიმ განაცხადა, რომ 28 სექტემბერს დადებული ლიტვა-საბჭოთა ხელშეკრულება სავსებით ეთანხმება 1920 წ. ლიტვა-საბჭოთა ხელშეკრულებას და აგრეთვე რიგის ხელშეკრულების მესამე მუხლს და საბჭოთა საპროტესტო ნოტას ჟელიგოვსკის მიერ ვილნოს ხელში ჩაგდების წინააღმდეგ.

ამხ. რაკოვსკიმ ხაზი გაუსვა საბჭოთა მთავრობის ცდას პოლონეთთან თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადების შესახებ და აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია დათანხმდეს ისეთი კოლექტიური ხელშეკრულების დადებაზე, რომელშიაც ერთ მხარეზე იქნება საბჭოთა კავშირი, მეორეზე—პოლონეთი ბალტიის დანარჩენ სახელმწიფოებთან ერთად, ვინაიდან ეს ნიშნავს საკუთარი ხელით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ კოალიციის შექმნას.

საფრანგეთ-საბჭოთა მოლაპარაკების შესახებ ამხ. რაკოვსკიმ განაცხადა, რომ მოლაპარაკება განახლდება პარლამენტის სესიის დაწყების შემდეგ.

ვალების შესახებ ორთავე დელეგაციის თვალსაზრისი იმდენად დაუახლოვდა ერთმანეთს, რომ შეიქმნა კრედიტების საკითხზე გადასვლის შესაძლებლობა.

ლიტვის პრესის გამოძახილი

კოვნო, 6 ოქტ. მთავრობის პარტიის ორგანო „ლეტუვოს ჟინიოსი" ლიტვა-საბჭოთა ხელშეკრულების გამო სწერს: „პირველი ადგილი ხელშეკრულების მოწინააღმდეგეთა შორის უჭირავს პოლონეთს, რომელიც მიხვდა, რომ რამდენადაც მეტია მშვიდობიანობის გარანტია, მით უფრო აუცილებელია მისი ავანტიურისტული პოლიტიკის დამარცხება. ლიტვამ ყურადღება არც კი უნდა მიაქციოს პოლონეთის ისტერიკას. მშვიდობიანობის დამრღვევთა ყოველი გამოსვლა ლიტვა-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების წინააღმდეგ, ზედმეტჯერ ამტკიცებს იმას, რომ ლიტვა მიდის სწორი გზით".

კოვნო, 6 ოქტ. ბალტიის სახელმწიფოების პრესაში ლიტვის წინააღმდეგ გალაშქრების გამო ოფიციოზი „ლიეტუვა" სწერს:

იმ განცხადების საპასუხოდ, რომ საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულობის დადებით ლიტვამ თითქოს ბალტიის სახელმწიფოთა ოჯახის გარეშე დააყენა თავისი თავი, ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ესტონია-საბჭოთა ასეთივე ხელშეკრულებამაც 1920 წ. გამოიწვია საერთო გაკიცხვა. მაგრამ ამ გარემოებამ არ შეუშალა ხელი ესტონიას იმაში, რომ კვლავ განეგრძო თანამშრომლობა ბალტიის სახელმწიფოებთან. 1920 წ. ესტონიამ, გამოდიოდა რა თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან, საჭიროდ სცნო არ დაეყოვნებია ხელშეკრულების დადება.

ეხლა ბალტიის სახელმწიფონი, ისწრაფვიან რა საბჭოთა კავშირთან საერთო ხელშეკრულების დადებისაკენ, სწორედ ამით ამტკიცებენ, რომ ნამდვილად მათ არ სურთ შეთანხმების მიღწევა.

ითვალისწინებდა რა თავის ინტერესებს, ლიტვა ცალკე გამოვიდა, როგორც ესტონია 1920 წ.

ბალტიის სახელმწიფოთა ბლოკის ეგრედ-წოდებული დარღვევა პოლონეთის საქმეა და არა ლიტვისა. ლიტვა ყოველთვის უწევდა წინააღმდეგობას პოლონეთის განზრახვებს, **რომელსაც ბალტიის სახელმწიფოთა ბლოკი პოლონეთის სათამაშო ბურთად უნდოდა გაეხადა. ლიტვა პირველი წავიდა ახალი სწორი გზით და დასდო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან.**

იტალია და ბულგარეთი

მუსოლინის შეხვედრა ბუროვთან

რომი. 7 ოქტ. სტეფანის სააგენტო იუწყება რომ 6 ოქტომბერს მუსოლინიმ მიიღო ბულგარეთის გარეშე საქმეთა მინისტრი ბუროვი და მასთან ერთად განიხილა ორთავე სახელმწიფოსათვის საინტერესო საკითხები. ფაშისტური პრესა ფიქრობს, რომ იტალია-ბულგარეთის დაახლოვება არ ეწინააღმდეგება ბალკანეთის სხვა სახელმწიფოებთან მეგობრულ ურთიერთობის შენარჩუნებას.

ფონ-სექტის გადადგომა

ლონდონი, 7 ოქტ. ბერლინიდან მიღებული ცნობით გენერალ ფონ-სექტმა, რეიხსვერის უფროსმა, შეიტანა განცხადება გადადგომის შესახებ. პრეზიდენტმა ჰინდენბურგმა გადასდო ამ საკითხის გადაწყვეტა კანცლერ მარქსთან მოლაპარაკებამდე.

გენერლის გადადგომამ პოლიტიკურ წრეებში გამოიწვია დიდი სენსაცია. იმავე ცნობების მიხედვით დღეს მინისტრთა კაბინეტი განიხილავს საკითხს გენ. ფონ-სექტის გადადგომის შესახებ. გენერ. ფონ-სექტს მაგივრად ასახელებენ გენ. გასსეს.

ბერლინი, 7 ოქტომბერი. პრეზიდენტი ჰინდენბურგი გენერალ ფონ-სექტის გადადგომის საკითხს საბოლოოდ გადასწყვეტს კანცლერ მარქსთან თათბირის შემდეგ. ფიქრობენ, რომ ჰინდენბურგი მიიღებს გადადგომას. „დეილი ტელეგრაფი"-ს აზრით გენერალ ფონ-სექტის გადადგომას საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს.

სექტის მოადგილე

პარიზი, 7 ოქტომბერი. ფონ-სექტის მოადგილედ რეიხსვერის უფროსის თანამდებობაზე იქნება გენერალი რეინგარდტი, რომელიც ამჟამად არის კასსელის ჯარის სარდალი.

გესლერის აზრს იზიარებენ

ბერლინი, 7 ოქტომბერი. გენერალ ფონ-სექტის გადადგომის საკითხი ჯერ კიდევ არ გამორკვეულა. ჰინდენბურგის გადაწყვეტილება ჯერ არ გამოქვეყნებულა. გადმოგვცემენ, რომ მთავრობა ერთსულოვნად იზიარებს სამხედრო მინისტრის გესლერის თვალსაზრისს.

პრესის გამოძახილი

ბერლინი, 7 ოქტ. პარიზის პრესა ფონ-სექტის გადადგომის შესახებ კმაყოფილებას გამოსთქვამს. ზაუერვეინი „მატენში" სწერს, რომ მას არ ჯერა, თითქოს ყოფილ კრონპრინცის მანევრებში მონაწილეობა იყო ფონ-სექტის გადადგომის ერთად-ერთი მიზეზი. ფიქრობენ, რომ ფონ-სექტი შტრეზემანის საფრანგეთთან შერიგების პოლიტიკის დაბრკოლებას წარმოადგენს. ზაუერვეინი კავშირს პოულობს სექტსა და ზევერინგის გადადგომის შორის.

ახალი ფაქტორი რუსეთის საკითხში

ლონდონი, 7 ოქტომბერი. კრასინმა ოფიციალურად განაცხადა, რომ მას სურვილი აქვს ჩემბერლენთან ბაასისა.

„მანჩესტერ გარდიენის" ლონდონელი კორესპონდენტის აზრით, შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ კრასინს „შეურიგებელი განწყობილებით შეხვდებიან".

კორესპონდენტი აცხადებს:

„ის ფაქტი, რომ კრესტინსკიმ მიაღწია შეთანხმებას შტრეზემანთან, რაკოვსკი კი ნიადაგს სინჯავს ბრიანთან შეთანხმებისათვის, ლონდონში აღიარებულია ახალ ფაქტორად რუსეთის საკითხში".

შემდეგ კორესპონდენტი აცხადებს:

„პირველი დახმარება ინგლისის მხრივ არაპირდაპირად აღმოჩენილი იქნება ხუთი დიდი ბანკის მიერ. პოლიტიკურ ხელშეკრულობის დადებისათვის ყოველი სერიოზული მოლაპარაკების პირობად კრასინისაგან ელიან უფრო რეალურ წინადადებებს რუსეთის ვალების შესახებ".

დაპყრობილი ოლქები

სახალხო პარტიის რეზოლიუცია

ბერლინი, 7 ოქტ. გერმანიის სახალხო პარტიის ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვს ოკუპაცია ქმნილ ოლქების დაუყოვნებლივ განთავისუფლებას.

შტრეზემანის მოხსენება

ბერლინი, 7 ოქტ. რეიხსტაგის საგარეო კომისიაში შტრეზემანმა მოხსენება გააკეთა ჟენევაში და ტუარში მომხდარ თათბირის შესახებ.

სხვადასხვა

ფრანკი თავის მოგზაურობის შესახებ. ბრიუსელიდან მიღებული ცნობით კაბინეტის საბჭოს სხდომაზე ფრანკიმ გააკეთა მოხსენება თავისი მოგზაურობის შესახებ ლონდონში. მან განაცხადა, რომ დადებულია წინასწარი ხელშეკრულება სხვადასხვა ქვეყნების საემისიო დაწესებულებებთან ფულის ტრიალის აღდგენის შესახებ.

გაზეთების ცნობით ფრანკიმ დაადასტურა თავისი განზრახვა გადადგომის შესახებ, რადგან მისი ამოცანა შესრულებულია.

წყალდიდობა ინდოეთში. ინდოეთის ცენტრალურ პროვინციებში გაფუჭდა საგუბარები, რამაც გამოიწვია დიდი წყალდიდობა; დაიხრჩო 200 კაცი.

ოსმალეთის ახალი სამოქალაქო კოდექსი. 4 ოქტომბერს ძალაში შევიდა ოსმალეთის ახალი სამოქალაქო კოდექსი, რომელიც შედგენილია შვეიცარიულ კოდექსის მსგავსად.

პოლონეთის ელჩი ანგორაში. ანგორაში ჩავიდა პოლონეთის ახალი ელჩი ოსმალეთში კოვალსკი.

ყალბი ფულის მჭრელთა საქმე. ბუდაპეშტში დაიწყო ყალბი ფულის მჭრელთა საქმის უკანასკნელი განხილვა.

საბოლოო განაჩენი გამოტანილი იქნება პარასკევს.

ჯაშუშების პროცესი. ანგორაში დაიწყო ჯაშუშების პროცესი. ბრალდებულთა შორის არის ახმედ გამიდი.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

საბიუჯეტო კომისიის პლენუმი

მოსკოვი, 7 ოქტ. საკავშირო ცაკის საბიუჯეტო კომისიის პლენუმი გადაიდო 27 ოქტომბრისათვის.

აღმოსავლეთ პრუსიის მრეწველთა დელეგაცია

მოსკოვი, 7 ოქტომბერი. მოსკოვში ჩავიდა აღმოსავლეთ პრუსიის ვაჭარ-მრეწველთა წრეების დელეგაცია, რომელიც შესდგება 12 კაცისაგან. დელეგაციის თავმჯდომარეა აღმოსავლეთ პრუსის მრეწველთა კავშირის დირექტორი ბოოკე.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში დელეგაციის წევრებმა განაცხადეს, რომ მათი ჩამოსვლის მიზანი, უწინარეს ყოვლისა, არის გაეცნონ საბჭოთა კავშირის ეხლანდელ ეკონომიურ მდგომარეობას, შემდეგ მთელ რიგ კონკრეტულ საკითხების ირგვლივ უშუალოდ მოლაპარაკება, რომელიც მიზნად ისახავს საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ პრუსიის შორის სავაჭრო ოპერაციებისა და ეკონომიურ ურთიერთობის განვითარებას.

კოზლოვის დაბრუნება

მოსკოვი, 7 ოქტომბერი. მონღოლეთიდან დაბრუნდა ცნობილი მოგზაური კოზლოვი, რომელმაც თან ჩამოიტანა ძველი მონღოლურ კულტურის ნიმუშების მდიდარი კოლექცია.

სამუშაო ხელფასის მინიმუმი

მოსკოვი, 7 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატმა დააწესა სამუშაო ხელფასის მინიმუმი 1926 წ. ოქტომბერ-დეკემბრისათვის და 1927 წლის იანვარ-მარტისათვის, ასეთი რაოდენობით: საბჭოთა კავშირის პირველი სარტყლისათვის—10 მან., მეორე—9 მან., მესამე—8 მან., მეოთხე—7 მან. 50 კაპ. და მეხუთე—7 მანეთი.

სესხის გავრცელების დამხმარე კომიტეტი

მოსკოვი, 7 ოქტომბერი. სესხის გავრცელების დამხმარე კერძო მრეწველთა კომიტეტმა მიმართვა დაუგზავნა პროვინციის ურთიერთდამხმარე-საკრედიტო საზოგადოებებს, რომ აღნიშნულმა საზოგადოებებმა აუცილებლად აქტიური მონაწილეობა მიიღონ სესხის გავრცელების საქმეში.

რუსეთის ბიუჯეტი 1926—27 წლისთვის

მოსკოვი, 7 ოქტომბერი. რუსეთის სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა რუსეთის ბიუჯეტი 1926—27 წლისთვის: შემოსავალი 805.940.358 მანეთი, გასავალი—805.940.558 მანეთი.

იტალიელ მუშათა დელეგაცია მოსკოვში

მოსკოვი, 7 ოქტომბერი. მოსკოვში ჩამოვიდა იტალიელ მუშათა დელეგაცია 27 კაცის შემადგენლობით. დელეგაციის წევრებს შორის არის ახალგაზრდათა ჯგუფი—13 კაცი. სადგურზე დელეგაციას შეხვდენ მეგობრული მისალმებით. სადგურიდან გამომგზავრებისას დელეგატებმა იტალიურ ენაზე იმღერეს „წითელი დროშა" და „ინტერნაციონალი".

დელეგაციის თავმჯდომარემ საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

„ჩვენი დელეგაცია საბჭოთა კავშირში არალეგალურად ჩამოვიდა. ჩვენ ჯგუფ-ჯგუფად ტყეებითა და მთებით გადავედით შვეიცარიაში, საიდანაც ჩავედით კენში. **დელეგატები—მუშებია დაზგიდან, რომელნიც უშუალოდ არჩეულნი არიან საფაბრიკო-საქარხნო წარმოებათა მუშებისაგან.** დელეგაციის შემადგენლობაში შედიან სოციალისტები, მაქსიმალისტები, ანარქისტები, რესპუბლიკანელები, ხალხოსნურ-კათოლიკური პარტიის წევრები, კომუნისტები და უპარტიოები. **იტალიის პროლეტარიატი უდიდესი სიხარულითა და აღფრთოვანებით შეჰყურებს საბჭოთა კავშირს.** ყველა ქალაქებში შენობების კედლებზე შეიძლება ნახოთ ლოზუნგები საბჭოთა კავშირის საპატივსაცემოდ. **ჩვენი ამოცანაა—ხელი შეუწყოთ მთლიანობის განმტკიცებას.** ჩვენ განზრახვა გვაქვს კეთილსინდისიერად შევისწავლოთ მსოფლიოში პირველი სოციალისტური რევოლიუციის გამოცდილება".

ახალგაზრდათა ჯგუფის წარმომადგენელმა საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

„იტალიის ახალგაზრდობაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა იტალიის ხალხოსნურ-კათოლიკური პარტიის წევრის მილლონის წერილებმა და მოხსენებებმა; მილლონი გამორიცხეს პარტიიდან იმის გამო, რომ მან საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ ინტერვიუ მისცა პრესის წარმომადგენლებს. უკანასკნელ **წუთამდე დელეგაციის მრავალ წევრს განუცხადეს, რომ საბჭოთა კავშირში წასვლისათვის მათ გამორიცხავენ პარტიიდან.** გერმანიის მუშათა დელეგაციის ანგარიშმა დიდი ინტერესი გამოიწვია საბჭოთა კავშირისადმი. ახალგაზრდათა დელეგაციის შემადგენლობაში შედიან იტალიის ყველა მუშათა პარტიების წარმომადგენელნი".

სათბობი მასალის მარაგი

მოსკოვი, 7 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის საგეგმო კომისიის სათბობი სექციის ცნობების მიხედვით გასული სამეურნეო წელიწადი ხასიათდება სათბობი მასალის დიდი რაოდენობის ხარჯვით.

ამან გამოიწვია სახელმწიფოს სათბობი მასალის კრიზისი, როგორც საწარმოო შესაძლებლობათა, ისე არსებული მარაგის მხრივ.

მიუხედავათ იმისა, რომ ამოღებული იქნა სათბობი მასალის დიდი რაოდენობა, ჩვენ გვაქვს ახალი სამეურნეო წლის დასაწყისისათვის საწვავი მასალის მარაგი შემცირებულია 55 მილიონი ფუთით, ამიტომ 1926-27 წლის განმავლობაში გატარებული უნდა იქნეს სათბობი მარაგის სავალდებულო დაგროვება. ამიტომ საჭირო იქნება საწვავი მასალის ამოღების გაფართოება 3 მილიარდ ფუთამდე, გასული წლის 2.670 მილიონი ფუთის ნაცვლად, რაც გვაძლევს მომატებას 23,5% რაოდენობით.

შეშა დამზადებული იქნება 7 მილ. კუბ. საჟ., ქვა-ნახშირის დამზადება 2 მილიარდ ფუთამდე ავა, ე. ი. მოიმატებს 26%.

სათბობი მასალის მინიმალური დაგროვების დროს მარაგი გადიდებული უნდა იქნეს მომავალი წლიდან—1 მილიარდი ფუთიდან 1,27 მილიონ ფუთამდე. საჭიროა აგრეთვე მოხმარების განსაზღვრული ციფრების შემუშავება, როგორც მრეწველობაში, ისე ტრანსპორტზე. სათბობი მასალის სამრეწველო ტექნიკური მოხმარება შესაძლებელია უზრუნველყოფილი იქნეს შინაური რესურსების საშუალებით დაახლოვებით 2½ მილიარდი ფუთის რაოდენობით გასული წლის 2.260 მილიონი ფუთის ნაცვლად. ე. ი. 9% მეტი. ასეთ პირობებში არსებობს საფრთხე, რომ სათბობი მასალა იქნება ერთი იმ ფაქტორთაგანი, რომელიც დააბრკოლებს მრეწველობის გაფართოებასა და ტრანსპორტის საქმეს 1926-27 წლის განმავლობაში. სათბობი მასალის მიწოდების გეგმა ითვალისწინებს შეშის მოხმარების გაზრდას 2,3%-ით, ტორფისას—28%, ნახშირისას—22% და ნავთის მოხმარების შემცირებას 17,3%-ით.

სათბობი მასალის მრეწველობის გარდა, სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს სათბობი მასალის გამოყენების საკითხს. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა სათბობი სექციის მიერ 1926-27 წლისათვის შემუშავებული სათბობი მასალის საორიენტაციო გეგმა განსახორციელებელ მაქსიმუმად სცნო.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმი აუცილებლად სთვლის საერთო სამრეწველო გეგმის შედგენის დროს ყურადღება მიექცეს სათბობი მასალის მრეწველობის მაქსიმალურად განვითარებას მიმდინარე წელში და აგრეთვე მოსამზადებელი სამუშაოების შესრულებას მომავალში სათბობი მასალის ამოღების გასაძლიერებლად.

მისაღებია მხედველობაში მიმდინარე წლის დასაწყისში საკმაო მარაგის უქონლობა და პირველი ნახევარი წლის პერიოდში სათბობი მასალის გადიდებული ხარჯვა, ამიტომ მრეწველობის გაფართოების საქმისადმი პირველი ნახევარი წლის განმავლობაში საჭიროა დიდი სიფრთხილით მიდგომა.

თამბაქოს მარაგი

მოსკოვი, 7 ოქტ. საბჭ. კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა თამბაქოს ნედლეულის მარაგი 1926-27 წლისათვ. განსაზღვრა 1.980.000 ფუთით. თამბაქოს მიმდინარე წლის მოსავალი უდრის 1.930.000 ფუთს, ხოლო შარშანდელი ნარჩენი 150.000 ფუთს.

სახელმწიფო თამბაქოს მრეწველობის მოთხოვნილება ნედლეულზე გამოიხატება 1.600.000 ფ., ხოლო კოოპერატიულ და კერძო თამბაქოს მრეწველობისათვის საჭიროა 180.000 ფ.

თამბაქოს მთავარ დამამზადებლებად დამტკიცებული არიან ნედლი თამბაქოს სამმართველო და მეთამბაქოეთა ცენტრალური კავშირი, ამ უკანასკნელის რიცხვში, აფხაზეთის მეთამბაქოეთა კავშირიც.

კოლეგიამ წინადადება შემოიტანა „ტაბაკსირიო"-ს და „ცენტროტაბაკსოიუზი"-ს ზედნადები ხარჯების გადათვალიერების შესახებ, მათი შემცირების მიზნით, და, აგრეთვე, დამზადებულ თამბაქოს ფასების დამუშავების შესახებ ისე, რომ ამ უკანასკნელმა წაახალისოს მეთამბაქოეობა და არ მისცეს ზარალი მრეწველობას.

კოლეგიამ აუცილებელ საჭიროდ სცნო, რომ შემდეგში ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ აწარმოოს ტექნიკური კულტურის მოსავლის აღრიცხვა თამბაქოს მოსავლის თავის დროზე გამორკვევის მიზნით.

დანგრეული ბუდეების ნაშთი

(წერილი მოსკოვიდან)

ჭაღარით მოსილი მოსკოვი თავისი სიძველით განთქმულია მთელ მსოფლიოში.

აზნაურთა ოჯახები, რომელნიც უმთავრესად არისტოკრატიულ არბატის ქუჩის ირგვლივ სცხოვრობდენ, საუკუნოებით აგროვებდენ საგვარეულო განძეულობას. სწრაფი გამდიდრების გზაზე მდგარი მოსკოველი ვაჭრები, რომელთაც თავის ძირითად რეზიდენციად ქონდათ ვრცელი, მაგრამ სამაგიეროდ წყნარი ზამოსკვორეჩიე*), აუარებელ ფულს აძლევდენ სხვადასხვაგვარ „უნიკუმებში", ისე, რომ არც კი ესმოდათ რიგიანად ამ სიტყვის მნიშვნელობა.

მოხელეთა ზედაფენებს საშუალო მდგომარეობა ეჭირათ. ისინი აგროვებდენ ძვირფას განძეულობას და უნიკუმების კოლექციებს ადგენდენ „რიცხვით რაც შეიძლება მეტს, ფასით კი რაც შეიძლება იაფს". აზნაურთა ბუდე დანგრეულია. ზამოსკვორეჩიეს ვაჭართა ნაწილი სტკეპნის საზღვარ-გარეთის ტროტუარებს, ნაწილმა კი დაჰკარგა რა „თავისი" ავლა-დიდება, მშვიდობიანად მიაჩანჩალებს თავის დღეებს თანამედროვე ვაჭრობაში.

ამოწყდენ ბრწყინვალე გენერლები, გადაშენდენ „დეისტვიტელნი ტაინი" და „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკები". სადღა არის ის საუნჯე, რომელიც ჩამოტანილ იქმნა მოსკოვში მაშინდელი რუსეთის ყოველი კუთხიდან და მთელ მსოფლიოდანაც კი? ნაწილობრივ მუზეუმებში. ყოველივე ის, რასაც ნამდვილი სამუზეუმო ღირებულება ქონდა, იმყოფება იქ.

მაგრამ ეს ხომ უმნიშვნელო პროცენტია ძველი მოსკოვის მთელი უმდიდრესი მემკვიდრეობის.

სადღაა დანარჩენი?

რომ თქვენ, მაგალითად, გუშინ ყოფილიყავით სრ. რუს. ცაკის ბავშთა კომისიის აუქციონზე და დასწრებოდით მთელ რიგ სხვა აუქციონებს, რომელნიც მუდამ ეწყობა მოსკოვში, თქვენ მიიღებდით პასუხს ამ კითხვაზე.

ეს განსაკუთრებული სამყაროა, მკვდარი მოსკოვის სამყარო.

სურათები ოქროთი მოვარაყებულ ჩარჩოებში ლერბებით, არწივებითა და გვირგვინებით, ბროლი, რომელიც მთელი რიგი საუკუნოების განმავლობაში ბრჭყვიალებს იმავე სიბრწყინვალით, ვერცხლი, ბრინჯაოს სტატუეტკები, რომელთაც სიძველის ფერი გადაჰკრავთ, მინიატიურები, ძველი ნიღაბები, საგვარეულო ბაკკარა, დამტვრეული ფორტეპიანო, რომლის ბგერებს უსმენდენ ჯერ კიდევ ლ. ტოლსტოის რომანის „ომისა და ზავის" („Война и мир") გმირები, ეკატერინე „დიდის" დროის ტუალეტი, ძველი სერვის ნახევრად დამსხვრეული ფინჯანები, სახარების იშვიათი ეკზემპლიარი ქართულ ენაზე დაკლაკნილი ორნამენტებით, რომელიც იმ ხანის ნაშთს წარმოადგენს, როცა მოსკოვის ეხლანდელი „ცენტრალური აბანოების" ადგილას აღმართული იყო საქართველოს უკანასკნელი მფლობელის სასახლე.

აუარებელი ნამსხვრევები დანგრეული წარსულისა! მრავალ ამ „ნამსხვრევთაგანს" უეჭველია აქვს მხატვრული ღირებულება და ზოგჯერ შეუძლია დაამშვენოს ჩვენი ეხლანდელი ბინაც. ამიტომ ყველა აუქციონებზე წარღვნის დროინდელ ფიგურებთან ერთად და ძველი მოსკოვის მოყვარულთა ოჯახის წარმომადგენელთა გვერდით, თქვენ შეხვდებით მუშებსაც და ჩვეულებრივ მოსამსახურეებსაც.

განსაკუთრებით ბევრნი არიან ჩამოსულები. და მართლაც, რატომ არ უნდა იყიდონ იაფად ლამაზი სურათები, რატომ არ უნდა იყიდონ საწერი მაგიდა, რომელიც ასი წლისაა, მაგრამ მშვენივრად არის შენახული და გაცილებით იაფი ღირს, ვიდრე ეხლანდელი გაკეთებული მაგიდა.

დიახ, მრავალი ამ „ნამსხვრევთაგანი" შეიძლება გამოგვადგეს ჩვენი საჭიროებისათვის! ამ ნივთების გაყიდვისაგან შემოსული თანხები მიდის ბავშვთა უპატრონობასთან ბრძოლის ფონდში. მაგრამ, რასაკვირველია, წარსულის სურნელება იზიდავს იმათაც, ვისთვისაც ეს წარსული არ განსხვავდება აწმყოსაგან.

ჩვენ ვლაპარაკობთ უცხოელებზე. აქ ყოველთვის შეიძლება შეხვდეთ ტიტულოვან ფიგურას გერმანიიდან, რომელიც ძველი ვერცხლის კოლექციას აგროვებს, შვედებს, რომელნიც დაინტერესებულნი არიან აღმოსავლური ხალიჩებით, პოლონელს, რომელიც ეძებს თავის სამშობლოსათვის საინტერესო ნივთებს.

უცხოელების გაძლიერებულმა ყურადღებამ რამდენადმე მძიმე ატმოსფერა შექმნა ამ საქმის ირგვლივ: აქ ისარგებლეს ბნელმა პირებმა, რომელნიც გაძვრენ საუქციონო საქმეების ადმინისტრატიულ თანამდებობებზე და საზღვარ-გარეთ საარაკო ფასებში გაჰყიდეს მთელი რიგი სურათებისა, რომელთაც სამუზეუმო მნიშვნელობა აქვს.

მალე დაიწყება იმათი გასამართლება, რომელნიც სცდილობდენ სპეკულიაცია გაეწიათ ამ განძეულით, ნამსხვრევებად ქცეული წარსულის განძეულით.

ლ. შავერდაშვილი.

მოსკოვი, 1 ოქტომბერი.

---

*) ზამოსკვორეჩიე- ვაჭართა ცნობილი უბანი იყო მოსკოვში.

ა.-კ. ფედერაციაში

აზერბეიჯანი

მუშა-ქალთა დელეგაცია

ბაქო, 7 ოქტომბერი. დღეს ჩამოვიდა გერმანელ მუშა-ქალთა დელეგაცია 12 კაცის შემადგენლობით. დელეგაციას სადგურზე შეხვდენ ქალთა განყოფილების წარმომადგენლები და სხვ.

მემაღაროეთა დელეგაცია

ბაქო, 7 ოქტომბერი. ინგლისის სამთომადნო მუშების დელეგაცია, ორ ჯგუფად გაყოფილი, განაგრძობს ბაქოს სხვადასხვა რაიონების გაცნობას. დელეგაციამ დაათვალიერა მუშათა უბნები. დელეგაცია აგრეთვე გაეცნო ბურღვის და ნავთის ექსპლოატაციის ძველ და ახალ წესებს.

საკრედიტო ამხ-ბები ბაქოს მაზრაში

აზერბეიჯანის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა ბაქოს საბჭოს სააღგილ-მამულო განყოფილებასთან ერთად დაიწყო მუშაობა სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობების მოსაწყობათ ბაქოს მაზრაში.

ამხანაგობები პირველ რიგში მოწყობილი იქნება ბაქოს მაზრის შემდეგ ხუთ სოფელში: ბალაჯარაში, კურდახანში, ზანგეზურში, ჩორჰიშლალში და აზიზბლიიში.

გაერთიანებული კოოპერატივი

ბაქო, 7 ოქტ. კოოპერატივები „ბაკსოიუზ" და „გორნიაკ"-ის გაერთიანების შემდეგ გადაიქცენ სავაჭრო ოპერაციების მხრივ ერთ უდიდეს მუშათა ცენტრალურ კოოპერატივად ამიერ-კავკასიაში. გაერთიანებული კოოპერატივის ბრუნვა ამიერ-კავკასიაში მუშათა კოოპერაციის ბრუნვის 56 პროც. შეადგენს.

გაერთიანებულ კოოპერატივის სავაჭრო წარმოებების საერთო რიცხვი უდრის 228. წარმოებებიდან გაერთიანებულია 16 ფურნე და 18 სასადილო, 2,5 მილიონი მანეთის ქონებით.

სომხეთი

მალარია

ერევანი, 7 ოქტომბერი. ტროპიკულ ინსტიტუტის ცნობებით, აგვისტოს განმავლობაში მთელს სომხეთში ზანგეზურის გამოკლებით, ათ ტროპიკულ სადგურში გაიარა 31.000 მალარიით ავადმყოფმა, ამავე დროს დაავადებულთა რიცხვი აღწევს 6.000 კაცამდე. უმეტესი რიცხვი დაავადებულთა ეჩმიაძინის და ერევნის მაზრებზე მოდის.

აგარაკი არზნი

ერევანი, 7 ოქტ. საზაფხულო სეზონის განმავლობაში არზნის კურორტზე იყო 152 ავადმყოფი.

სეზონი უნდა დაიხუროს 14 ოქტომბერს. მიღებულია ზომები შენობის გასაფართოებლად.

დახმარება ინგლისელ მემაღაროებს

ლენინაკანი, 7 ოქტ. ლენინაკანის ყველა პროფკავშირებმა დაადგინეს 1 სექტემბრიდან მაღაროს მუშების სასარგებლოდ შეაგროვონ 1 პროცენტი ანარიცხი.

1-ლ სექტემბრამდე შეკრებილი 2.716 მ. 14 კაპ. გადაგზავნილი იქნა დანიშნულებისამებრ.

თაფლის მოსავალი

ლენინაკანი, 7 ოქტ. ლენინაკანის მაზრაში წლევანდელი თაფლის მოსავალი საშუალოზე მეტი არის. ზოგიერთ ადგილებში მოსავალი ძალიან კარგია.

ბაზარზე

ლენინაკანი, 7 ოქტ. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ვაჭრობის მოსაწესრიგებლად გამოყოფილმა განსაკუთრებულმა კომისიამ, ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ლენინაკანის მაზრის დამზადებული ყველი ერევანში იყიდება ფუთი 17 მან. 30 კაპ. და თვით ლენინაკანში კი—18 მანეთად.

ბრძოლა ხულიგნობასთან

ერევანი, 7 ოქტომბერი. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა დურგარიანმა, სომხეთში ხულიგნობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ რესპუბლიკის ფარგლებში ხულიგნობა გავრცელებულია უმთავრესად ერევანში და მის მაზრაში. ხულიგნობას უმთავრესად ეწევა ახალგაზრდობა, რომელთა რიცხვში არიან სტუდენტები და სხვა მოსწავლენიც. ივნისში ქალაქში და მაზრაში აღრიცხულ იქნა ხულიგნობის 100 შემთხვევა, ივლისში—106, აგვისტოში 114.

ობლები

ლენინაკანი, 7 ოქტ. ამერიკულ კომიტეტის ყველა დაწესებულებანი, სტეფანავანში მოთავსებულ ობლებით გადაყვანილ იქნა ლენინაკანში.

ლენინაკანშივე იქნებიან გადაყვანილი სევერაკის ყაზარმებში და ლუკაშინის პოსტზე მოთავსებული ობლები.

[illegible]

ლენინაკანი, 7 ოქტ. 9 თვის განმავლობაში (1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე) ლენინაკანის მაზრაში აღრიცხულ იქნა დაბადების 1591 შემთხვევა, სიკვდილის 682 ქორწინების 331 განქორწინების 60 შემთხვევა.

თეატრი და კინო

ლენინაკანი, 7 ოქტ. ქალაქის აღმასკომმა კინოს და თეატრის შენობების დასამთავრებლად გადასდო 40 ათასი მანეთი. თეატრი დამთავრებული იქნება არა უგვიანეს ამა წლის დეკემბრისა. კინო კი 1927 წლის მარტში.

ინგლისის დელეგაცია ბაქოში

სამთამადნო მუშათა კავშირის ცენტრალური გამგეობის პლენუმი ინგლისის დელეგაციასთან ერთად

ბაქო, 6 ოქტომბერი. გაიმართა სამთამადნო მუშათა კავშირის ცენტრალური გამგეობის პლენუმი ინგლისის დელეგაციასთან ერთად.

ბარინოვის მოხსენების შემდეგ აზერბაიჯანში სანავთო მრეწველობის მდგომარეობის შესახებ, საინფორმაციო მოხსენებით ინგლისის მემაღაროეთა გაფიცვის მსვლელობის შესახებ გამოვიდა ლეისენი.

აღნიშნა რა ის დიდი დახმარება, როგორსაც უწევენ აზერბეიჯანის მუშები ინგლისის გაფიცულ მემაღაროებს, ლეისენმა დასძინა:

„ჩვენი სურვილია მჭიდროთ კავშირის გაბმა ინგლისისა და საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს შორის და მათი გაერთიანება".

შემდეგ გამოვიდა დელეგატ-ქალი გრინი, რომელმაც ინგლისის მუშების სახელით სალამი უძღვნა ბაქოელ მუშებს.

„უკანასკნელ წლებში—ამბობს დელეგატი-ქალი—სამთამადნო მუშათა ფედერაციას გაუჩნდა ახალი მოკავშირე მათი ცოლების სახით, რომლებიც ეუბნებიან თავის ქმრებს: „ნუ შეშინდები, მეც შენთან ვარ".

პლენუმმა გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია:

„მოისმინა რა ინგლისის სამთამადნო მუშათა დელეგაციის წარმომადგენლების მოხსენებები, აზერბეიჯანის სამთამადნო მუშათა კავშირის ცენტრალური გამგეობის პლენუმი აუცილებელ საჭიროებათ სთვლის თავის მოძმე—ინგლისელ მემაღაროეთათვის დახმარების უფრო გაძლიერებას.

აზერბაიჯანის სამთამადნო მუშები, საბჭოთა კავშირის სხვა პროლეტარიატთან ერთად, მუდამ მზად არიან გაიზიარონ ინგლისელ მემაღაროეთა ავ-კარგი. გაუმარჯოს მსოფლიო პროფმოძრაობის მთლიანობას კაპიტალთან ბრძოლაში".

ახალი თურქული ანბანი

ბაქო, 7 ოქტომბერი. ახალი თურქული ანბანის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც დაარსდა 1922 წ., ამა წლის 1 ოქტომბრამდე გამოსცა 108 სახელწოდების წიგნები, სახელმძღვანელოები და საბავშო ლიტერატურა.

მიმდინარე სასწავლო წელს ამ.-კავკასიის ყველა რესპუბლიკებში პირველი საფეხურის თურქულ სკოლებში და მუშფაკის მეორე ჯგუფებში მეცადინეობა იწარმოებს ახალი ანბანით.

აზერბეიჯანის ბევრი მუშა და გლეხი წერაკითხვას სწავლობენ ახალი ანბანით.

ახალი ანბანის ცენტრალური კომიტეტის ორგანოს, ყოველდღიური გაზეთი „ენი იოლ"-ის (ახალი გზა) ტირაჟი განუწყვეტლივ იზრდება და ამ ჟამად ის უდრის 6.000 ცალს. გაზეთს დიდძალი ხელის მომწერი ჰყავს ოსმალეთსა, გერმანიასა და საფრანგეთში.

ზეთისა და საპნის ქარხანა

განჯაში

ბაქო, 6 ოქტომბერი. ამიერ-კავკასიის საბამბო კომიტეტმა დაასრულა განჯაში ზეთისა და საპნის ქარხნის აშენება, რომელიც უდიდესია საბჭოთა კავშირში არსებულ ქარხნებზე. ქარხნის შენება დაიწყეს 1925 წლის გაზაფხულზე, აშენებდენ წელიწად ნახევარი და დაჯდა 4 მილ. ნახ. მანეთი. ქარხანას აქვს რამოდენიმე განყოფილება. ქარხანა დაამუშავებს წლის განმავლობაში 4 მილ. ფუთ ბამბის თესლს ზეთის გამოსახდელად და საპნის დასამზადებლად. გამოხდილი ზეთის რაოდენობა იქნება 680.000 ფუთი, საპნისა-კი 70.000 ფუთი. ქარხნის გახსნა დანიშნულია ოქტომბრის რევოლიუციის 9 წლის თავზე.

პარტიული ცხოვრება

ფრაქციულობისა და ოპოზიციის წინააღმდეგ

ოპოზიციის გალაშქრება

მოსკოვი, 7 ოქტ. ამ ერთი კვირის წინედ რიაზან-ურალის რკინის-გზების უჯრედთა კრებაზე გამოცხადდა ოპოზიციონერთა ჯგუფი საპრონოვის მეთაურობით და უჯრედის ყოფილი მდივნის (პარტიიდან გამორიცხული) ყოველმხრივი დახმარებით სცდილობდა გამთიშავი რეზოლიუციის გატარებას. ვინაიდან საპრონოვმა თავისი სიტყვის წარმოთქმისას ისარგებლა დაწესებული დროით, უჯრედმა ლაპარაკის ხანი არ გაუგრძელა. ამის საპასუხოდ საპრონოვმა შეურაცხყოფა მიაყენა კრებას, რომელმაც გამოიწვია სასტიკი აღშფოთება. კრება ჩაიშალა.

6 ოქტომბერს შესდგა ამ კრების გაგრძელება. კრებაზე მოვიდა 40 კაცისგან შემდგარი ოპოზიციონერთა ჯგუფი მოსკოვის ყველა რაიონებიდან, მაგრამ უჯრედმა განსაკუთრებული სიმტკიცე გამოიჩინა. კრებამ არ შეუშვა ოპოზიციონერები. ყველა დანარჩენი ორატორები ოპოზიციის წინააღმდეგ გამოვიდენ. დაბოლოს, 192 ხმის უმრავლესობით, 4 თავი შეიკავა, მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია:

„რიაზან - ურალის რკინისგზელების უჯრედთა საზოგადო კრება სავსებით და მთლიანად უერთდება მოსკოვის კომიტეტის პლენუმის გარდაწყვეტილებებს, მოსკოვის კომიტეტისა და ზამოსკვორეჩიეს რაიკომის პლენუმის დადგენილებებს ოპოზიციის დეზორგანიზატორული მოქმედების შეწყვეტის შესახებ. კრება გადაჭრით ჰკიცხავს ამ მოქმედებას და იგი იბრძოლებს ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ, რომ პარტიას თავზე მოახვიოს მისთვის უსარგებლო დისკუსია და ამით მოსწყვიტონ მისი ყურადღება საქმიან და პრაქტიკულ მუშაობიდან, რომელიც სწარმოებს ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობის განმტკიცებისათვის.

გაუმარჯოს პარტიის მთლიანობას და ლენინურ ცეკას!

მოსკოვის ორგანიზაციაში

მოსკოვი, 6 ოქტომბერი. პარტიულ ორგანიზაციაში გრძელდება ახსნა-განმარტებითი კამპანია მოსკოვის კომიტეტის პლენუმის შედეგებისა და ოპოზიციის გამოსვლების შესახებ. ყველა კრებებზე ღებულობენ რეზოლიუციებს, რომლებშიც იწონებენ პლენუმის გადაწყვეტილებას და რომლებიც საჭიროდ სთვლიან წესიერებისაკენ მოუწოდონ იმ ამხანაგებს, ვინც აწარმოებს ფრაქციულ ბრძოლას.

ბალტიის ფლოტის რეზოლიუცია

ლენინგრადი, 6 ოქტომბერი. 5 და 6 ოქტომბერს ბალტიის ფლოტის კოლექტივებმა, ელექტრო ნაღმოსნის სკოლამ, ნაღმოსნათა ბრიგადამ, მთავარი სამხედრო ნავთსადგურის სანაპირო დაცვის შტაბმა, სამხედრო-საზღვაო სასწავლებელმა, საზღვაო აკადემიამ და სამხედრო გემების სამოსწავლო რაზმმა: „წითელი დროშა", „პიონერი", „პროვოდნიკი" კრონშტადის საავადმყოფომ ერთხმად გამოიტანა რეზოლიუცია, რომელიც სასტიკ პროტესტს გამოსთქვამს ოპოზიციის ცდის გამო თავზე მოახვიონ პარტიას ახალი დისკუსია და აგრეთვე მიმართონ სასტიკ ზომებს ოპოზიციის წარმომადგენლების წინააღმდეგ.

მოსკოვის უმაღლეს სასწავლებელში

მოსკოვი, 7 ოქტომბერი. უმაღლეს ტექნიკური სასწავლებლის უჯრედის სხდომამ არ მისცა სიტყვის ნება ოპოზიციის წარმომადგენელს პრეობრაჟენსკის.

სტალინოში

სტალინო, 6 ოქტომბერი. სტალინოს საოლქო კომიტეტის და საოლქო საკონტროლო კომისიის გაერთიანებულმა პლენუმმა გადაჭრით დაგმო ოპოზიციის გამთიშავი მუშაობა და გამოსთქვა აზრი ყოველგვარი დისკუსიის წინააღმდეგ.

ნიჟნინოვგოროდში

ნიჟნინოვგოროდი, 6 ოქტომბერი. სორმოვის, კანავის და ნიჟეგოროდის ორგანიზაციებმა ერთხმად გამოიტანეს რეზოლიუცია ოპოზიციის პოლიტიკისა და დისკუსიის წინააღმდეგ და მოითხოვეს სასტიკი ზომების მიღება გამთიშავი მოქმედების წინააღმდეგ.

ჩერქასში

ჩერკასი, 6 ოქტომბერი. საოლქო პარტიული კომიტეტის პლენუმი აღუთქვამს პარტიის ცენტ. კომიტეტს, რომ ჩერკასის ორგანიზაცია მხარს დაუჭერს ცენ. კომიტეტს ოპოზიციის საწინააღმდეგო ბრძოლაში.

პოლტარაცკის ორგანიზაციაში

პოლტარაცკი, 7 ოქტ. ქალაქის საერთო პარტიული კრება აღიარებს, რომ ბრძოლა პარტიის მთლიანობისათვის და იმ ოპოზიციონური ბლოკის ანტი-ლენინური პოზიციის გარკვევა, რომელსაც მეთაურობს ტროცკი და გუშინდელი ანტი-ტროცკისტები—ზინოვიევი, კამენევი და სხ. პარტიის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს. კრებამ გადაჭრით დაჰგმო ოპოზიციის გამთიშავი მუშაობა და დაადგინა მოითხოვოს ცეკას, რათა მან გაბედული ბრძოლა აწარმოოს ოპოზიციის წინააღმდეგ და არ შეჩერდეს ოპოზიციის ბელადების მიმართ აუცილებელ ორგანიზაციულ ღონისძიებათა წინაშე.

უზბეკისტანის კომპარტიის ცეკას პლენუმი

სამარყანდი, 7 ოქტომბერი. უზბეკისტანის კომპარტიის პლენუმზე ამხანაგები მკაცრად ილაშქრებდენ ოპოზიციის მოქმედების წინააღმდეგ, ვინაიდან ოპოზიცია ძირს უთხრის პარტიის მთლიანობას და აფერხებს საქმიან მუშაობას.

„[illegible] ძაფის" [illegible]

[illegible], 7 ოქტომბერი. „წითელი ძაფის" უჯრედის კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს ცენტრალურ კომიტეტისაგან გადაჭრით წინააღუდგეს ოპოზიციის ყოველგვარ ცდას პარტიული მთლიანობის დასარღვევად.

„უორკერს პარტი" გმობს ოპოზიციას

მოსკოვი, 7 ოქტომბერი. ამერიკის კომუნისტური „უორკერს პარტი"-ს წარმომადგენელმა კომინტერნში ედვარდ დუნკანმა შემდეგი დეპეშა მიიღო:

„ამერიკის კომუნისტურ უორკერს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოსცა დეკლარაცია, რომელშიაც გმობს ტროცკისა და ზინოვიევის ოპოზიციის მიერ პარტიულ დისციპლინის დარღვევას, რაც საფრთხეს უმზადებს პროლეტარული რევოლიუციის მოწაპოვართ საბჭოთა კავშირში, რომელიც ჯერ კიდევ გარემოცულია იმპერიალისტური მტრებით და რაც აფერხებს პროლეტარული რევოლიუციის კაპიტალისტურ ქვეყნებში გავრცელებას.

ცენტრალური კომიტეტი ესალმება საკავშირო კომპარტიის ორგანიზაციების გამოსვლას, რომელიც გმობს ოპოზიციის მოქმედებას და ისიც ეურთდება ამ დაგმობას.

ცეკა მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს [illegible] საკავშირო კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის ბრძოლას რომელსაც ის აწარმოებს დისციპლინისთვის, მთლიანობისთვის და პარტიის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებისთვის".

საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან

მოსკოვი, 7 ოქტომბერი. პოლტარაცკიდან, სამარყანდიდან, დნეპრო-პეტროვსკიდან, ბალტიდან, სუმიდან, ნიკოლაევიდან, ვინნიციდან, ოდესიდან, რომენიდან, ტაშკენტიდან და სხ. მთელი რიგ ადგილებიდან მიღებულია ცნობები ადგილობრივ პარტორგანიზაციების მიერ ოპოზიციის ფრაქციული გამოსვლების დაგმობის შესახებ. პარტორგანიზაციები მოითხოვენ ცენტრალური კომიტეტისაგან ოპოზიციის წინააღმდეგ გადამჭრელ ბრძოლას. ასეთი ხასიათის დირექტივები ეძლევათ დელეგატებს პარტკონფერენციაზე.

საქართველოს კომორგანიზაციების ხმა

სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ქართული მუშფაკის უჯრედში

გუშინ შესდგა სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ქართულ მუშფაკის გაერთიანებული კომუჯრედების კრება, რომელზეც ვრცელი მოხსენებით ცეკასა და ც. ს. კომისიის ივლისის პლენუმის შესახებ გამოვიდა ამხ. მ. კახიანი. კრებას დაესწრო სამასამდე კაცი. დასასრულ ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა მოხსენება ამხ. მიშა კახიანისა საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის გაერთიანებული პლენუმის შედეგების შესახებ, სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ქართულ მუშათა ფაკულტეტის უჯრედების გაერთიანებული კრება სავსებით და მთლიანად უერთდება პლენუმის დადგენილებებს.

კრება სავსებით იწონებს პლენუმის მიერ აღებულ ხაზს ქვეყნის ეკონომიურად აღორძინების და პარტიის მთლიანობის განმტკიცების საქმეში. კრება გადაჭრით ჰკიცხავს ოპოზიციის გამხრწნელ ფრაქციონურ არალეგალურ ბრძოლას და მის მეთოდებს. კრება აღნიშნავს, რომ ახალი ოპოზიციონური ბლოკი თავისი იდეოლოგიით არის აშკარად ლიკვიდატორული მოვლენა ჩვენს პარტიაში, რომელიც მიდის პარტიის მთლიანობის უარყოფამდე და ემუქრება მის და პროლეტარიატის დიქტატურის არსებობას. ამის მაჩვენებელია „ახალი ოპოზიციის" ბლოკი ამხ. ზინოვიევის, კამენევის და სხვების მეთაურობით, ტროცკიზმთან, რომელიც არსებითად არის ლენინის მოწინააღმდეგე იდეოლოგია.

კრება აღნიშნავს, რომ ოპოზიციამ გამოააშკარავა, რომ მას არ სწამს სოციალიზმის გამარჯვება საბჭოთა კავშირში, უარჰყოფს ჩვენი მრეწველობის სოციალისტურ ხასიათს და, აგრეთვე, საბჭოთა სახელმწიფოს პროლეტარულ ბუნებას. ჩვენი კავშირის ინდუსტრიალიზაციის საკითხში ოპოზიცია იძლევა ისეთ წინადადებებს (ქალაქის ნაწარმოებზე ფასების აწევა, გლეხობაზე საგადასახადო დაწოლა), რაც ძირს უთხრის პროლეტარული დიქტატურის საფუძველს—მუშათა კლასის კავშირს გლეხობასთან. ოპოზიციამ და მისმა ლიდერებმა—ზინოვიევმა, ტროცკიმ, კამენევმა და სხვებმა—გამოიჩინეს შიში და არალენინური სიმტკიცე კულაკის აქტივობის ზრდის წინაშე, და მოითხოვენ ისეთ მეთოდებს მათ წინააღმდეგ, რომელიც დააბრუნებს პარტიას უკან—სამხედრო კომუნიზმისაკენ.

გლეხურ საკითხში ოპოზიცია მხედველობიდან უშვებს საშუალო გლეხობას, სოფლის ამ ცენტრალურ ფიგურას. კრება აღნიშნავს, რომ ცეკას უმრავლესობისათვის ოპოზიციის მიერ ბრალის დადება მასში, რომ უპარტიო გლეხობის ჩაყოლა საბჭოთა აღმშენებლობაში საბჭოების გამოცოცხლების გზით—არის სახელმწიფო მართვა-გამგეობის პროლეტარული ლიანდაგიდან გადასვლა, მაჩვენებელია მუშებისა და გლეხების კავშირის ამ ოპოზიციის მიერ უარ—ყოფისა, ოპოზიციის მტკიცება, რომ მუშათა კლასი სცილდება სახელმწიფო აპარატს და ღებულობს ბიუროკრატიულ სახეს—არის მხოლოდ პანიკა და აშენებული სიყალბეზე. ოპოზიცია მხოლოდ აზვიადებს ბიუროკრატიზმის ზრდას, პარტია-კი ლენინური სიმტკიცით იბრძვის ყოველგვარ ბიუროკრატიზმს და ბიუროკრატიულ დამახინჯებას სახელმწიფო აპარატში.

კრება აღნიშნავს, რომ ოპოზიციის მიერ წამოყენებული დებულება ფრაქციების, ჯგუფების თავისუფლების შესახებ ჩვენს პარტიაში—არის უარყოფა ბოლშევიკური პარტიის მშენებლობის ლენინური პრინციპებისა.

ჩვენი პარტია არის ერთი მთლიანი ლენინის პარტია, რომლის სტრუქტურა უარყოფს და სასტიკად ჰკიცხავს ყოველგვარ ფრაქციულობას, ჯგუფობრიობას და სხვა გადახრებს თავის შიგნით. კრება აღნიშნავს, რომ მე-14 პარტყრილობის დადგენილებების დარღვევა უმცირესობის მიერ და ფრაქციული ბრძოლის წარმოება საკავშირო კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ არის დაუშვებელი და გაუგონარი მოვლენა ლენინურ პარტიაში.

კრება მოითხოვს ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებისაგან, რომ გადაჭრით იქნას აღმოფხვრილი ოპოზიციის გამთიშავი დამღუპველი პოლიტიკა, კრება გადაჭრით წინააღმდეგია ყოველგვარი დისკუსიისა და ჰკიცხავს ოპოზიციის ცდას, რომ პარტია ჩააბას დისკუსიაში.

კრება საჭიროდ სთვლის მომავლისათვის წარმოებული იქნას დაუზოგველი ბრძოლა ბოლშევიკური გამჭედაობით ყოველგვარ ჯგუფობრიობის და ფრაქციულობის წინააღმდეგ ლენინური პარტიის მთლიანობის შესანარჩუნებლად.

მუშათა ფაკულტეტის პარტიული ორგანიზაცია მთელი თავისი წევრებით ცენტრალურ კომიტეტთან ერთად იბრძოლებს მევირალებისა და გამთიშველების წინააღმდეგ, იგი ლენინის ცეკასა და მოსკოვის კომიტეტს გადაჭრით ემხრობა ოპოზიციის წინააღმდეგ.

კრება მოუწოდებს პარტიის თბილისის ორგანიზაციის ყველა წევრებს მჭიდროდ შეკავშირდენ ლენინურ ცეკას ირგვლივ, მთლიანობის დამრღვევთა წინააღმდეგ და შეერთებული ძალით იბრძოლონ სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

ძირს ახალი შეერთებული ოპოზიცია, რომელიც აფერხებს ჩვენს მუშაობას!

გაუმარჯოს პარტიის წარმატებით ბრძოლას სიძნელეთა წინააღმდეგ სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის!

გაუმარჯოს საკავშირო ბოლშევიკურ პარტიას და მის მთლიანობას!

გაუმარჯოს ლენინურ ცეკას!

ქუთაისის ორგანიზაციაში

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციის უჯრედთა გაერთიანებულმა კრებამ, სამხედრო ორგანიზაციებთან ერთად, მოისმინა ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენება პარტიისა და ოპოზიციის შესახებ. კრება გაკვირვებულია ანტილენინური გამოსვლებით, და აღშფოთებული ზინოვიევისა, კამენევისა და სხვა ამხანაგების კავშირით ტროცკიზმთან, რომელთა გაერთიანებული მუშაობა შლის რევოლიუციონურ მოძრავ ძალებს და ღალატობს რევოლიუციის არსებობის საქმეს. კრება, როგორც ერთი კაცი, ცენტრალურ კომიტეტთან ერთად, იბრძოლებს პარტიის მთლიანობისა და სიმტკიცისათვის და ძირშივე აღმოფხვრის ოპოზიციის ყოველგვარ გამოსვლებს. გაერთიანებული კრება მხურვალედ მიესალმება ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს და მოითხოვს უკიდურესი ზომების მიღებას პარტიის მთლიანობისა და სიმტკიცის დასაცავად.

ხიდისთავი

(ოზურგეთის მაზრა)

29 სექტემბერს ხიდისთავის და ახკანის თემების კომუჯრედების გაერთიანებულ კრებამ, კომკავშირის აქტივთან ერთად, რომელსაც დაესწრო 150 წევრი და კანდიდატი, მოისმინა ამხ. ხიდ. თოდრიას და ჟუჟიკაშვილის მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) ცეკას და საქ. საკონტროლო კომისიის ივლისის პლენუმის შედეგებზე.

მრავალ შეკითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ ერთხმად მიღებული იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „მთლიანად უერთდებით ს. კ. პ. (ბ) ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებებს და ვაღიარებთ, რომ ოპოზიციის ხაზი: გლეხობის ეკონომიურ პოლიტიკის, საბჭოების გადარჩევისა, კომპარტიის ფასების საკითხში, აშკარა ანტილენინურია.

ოპოზიციის გადასვლა არალეგალურ ფრაქციულ მუშაობაზე წარმოადგენს პარტიის ისტორიაში არნახულ ფაქტს.

ზინოვიევის მოხსნას ს. კ. პ. (ბ) პოლიტბიუროდან, და ლაშევიჩის გამორიცხვას ს. კ. პ. (ბ) ცეკას კანდიდატობიდან და პლენუმის სხვა დადგენილებებს კრება სთვლის სავსებით მიზანშეწონილად.

ხიდისთავის და ახკანის თემის კომუჯრედების გაერთიანებული კრება კომკავშირის აქტივთან ერთად საჭიროთ სთვლის გადამწყვეტი ზომების მიღებას ყოველგვარ გადახრა-ფრაქციულობის წინააღმდეგ. ხიდისთავის და ახკანის კომუჯრედების გაერთიანებული კრება, ა. ლ. კ. აქტივთან ერთად, აცხადებს, რომ ის თავის რიგებში არ დაუშვებს არავითარ გადახრებს და ჯგუფობრიობას და ლენინურ ცეკასთან ერთად დაიცავს პარტიის ფოლადისებურ დისციპლინას, რაც საწინდარია ჩვენი პარტიის საბოლოო გამარჯვებისა.

გაუმარჯოს საქ. კომ. პარტიის კოლექტიურ ბელადს—ლენინურ ცეკას.

გ. შ—ძე

ა. ლ. კომკავშირის გორის ორგანიზაციაში

მოისმინა რა მოხსენება საქ. კ. (ბ) ცეკას და ცენტრ. საკ. კომისიის ივლისის გაერთიანებული პლენუმის შედეგების შესახებ, ა. ლ. ლ. კ. გორის საქალაქო ორგანიზაციის სათემო გაერთიანებული კრება აქტივთან ერთად, სავსებით იწონებს ცეკას ხაზს და უერთდება საკავშირო კომ. (ბ) ცეკას და ცენტრალური საკ. კომისიის ივლისის გაერთიანებული პლენუმის დადგენილებებს და უერთდება გორის კ. პ. (ბ) სამაზრო პლენუმის რეზოლიუციას.

კრება აღნიშნავს მნიშვნელოვან მიღწევებს ჩვენი აღმშენებლობის საქმეში, მრეწველობის სწრაფ განვითარებას და ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ სიმტკიცეს. კრება სასტიკად ჰკიცხავს ოპოზიციის უმსგავსო მოქმედებას, არალეგალური მუშაობის წარმოებას, რომელიც ძირს უთხრის კომუნისტური პარტიის მთლიანობას; ოპოზიცია აშკარა ანტილენინურია, იგი არღვევს პარტიის მე-14-ტე ყრილობის დადგენილებებს. ოპოზიციის გამოსვლა იმ დროს, როცა პარტია და ხელისუფლება აწარმოებს სოციალისტურ მშენებლობას, რომლის დროსაც მას უხდება მრავალ გვარ დაბრკოლებათა გადალახვა, დამღუპველია პროლეტარიატის დიქტატურისათვის.

გაერთიანებული ოპოზიცია ზინოვიევის და კამენევის მეთაურობით ილაშქრებს ლენინური ცეკას წინააღმდეგ, რითაც ეხმარება ანტიკომუნისტურ პარტიებს, პროლეტარიატის დიქტატურის შერყევაში.

ლენინური კომკავშირის გორის საქალაქო ორგანიზაცია ურყევ ფიცს სდებს, რომ ის პარტიასთან ერთად იბრძოლებს ყოველგვარი ფრაქციულობის და ჯგუფობრიობის წინააღმდეგ და არავის არ მისცემს უფლებას დაარღვიოს ლენინის პარტიის მთლიანობა. ლენინური კომკავშირი ყოველთვის იქნება პარტიის გვერდით ლენინიზმის გაყალბების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ძირს ახალი შეერთებული ოპოზიცია!

ძირს ფრაქციულობა და ჯგუფობრიობა.

გაუმარჯოს კოლექტიურ ბელადს, საკავშირო კომუნისტური პარტიის ბოლშევიკების მებრძოლ შტაბს ცეკას!

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

საზეიმო ხარჯების წინააღმდეგ

მომჭირნეობის რეჟიმი, სხვათა შორის, შეურიგებელი მტერია ყოველგვარ გადაჭარბებულ საზეიმო ხარჯების. ჩვენს პირობებში კი, როგორც ვიცით, ზეიმი ძალიან დიდ პატივშია. ხშირად ზეიმობენ ყოველ უმნიშვნელო შემთხვევის გამო, იხდიან იუბილეებს, წლის თავს, დაწესებულების ან ნაშენების გახსნას, ან ახალი წამოწყების საძირკვლის ჩაყრას და სხვა.

რასაკვირველია, ზეიმის წინააღმდეგ არსებითად არაფერი ითქმის, მით უფრო, თუ ის ხელს უწყობს მასის პოლიტიკურ გათვითცნობიერებას ან საბჭოთა მშენებლობის პროპაგანდას და თუ ის ამავე დროს წარმოადგენს მშრომელთა კულტურულ გასართობს. მაგრამ ყოველივეს ზომა და საზღვარი აქვს და ამ საზღვარის ერთ კონკრეტულ მაგალითზე გვინდა ჩვენ აქ შეჩერება.

ჩვენ ვლაპარაკობთ საარჩევნო კამპანიაზე და ამასთან დაკავშირებულ უთავბოლო ხარჯებზე. კოოპერაცია, პროფკავშირი და საბჭოები, ყველა ესენი მშრომელთა მასის თვითმოქმედებაზე აგებული ორგანიზაციებია. აქ პერიოდულად ხდება ხელმძღვანელ ორგანოების არჩევნები. ის ზედმეტი ხარჯები, რომელნიც ხშირად თან ახლავს არჩევნებს, მძიმე ტვირთად აწვება ამ ორგანიზაციათა სალაროებს.

ზედმეტი ხარჯები არჩევნების კამპანიაში გამოიხატება: კრებებისათვის ბინის დაქირავებაში, როცა არის საშუალება, რომ დაუქირავებელ ბინაშიაც გატარდეს კრება, ორკესტრის მოწვევაში, კონცერტების და წარმოდგენების გამართვაში, დაბეჭდილ სქელტანიან ანგარიშების გამოცემაში, შენობების მორთვა-გალამაზებაში, კრებაზე დამსწრეთა „პურ-მარილით" გამასპინძლებაში და სხვა. მართალია, ყოველივე ეს საჭიროა, მაგრამ არც იმდენად, როგორც ამას ადგილი აქვს ჩვენს ზოგიერთ დაწესებულება-ორგანიზაციებში. ეს მით უფრო, რომ ხშირად გადაჭარბებული ზეიმი ჩრდილავს კრებებისა და კონფერენციების საქმიან მუშაობას.

განსაკუთრებული მომჭირნეობა მართებთ საარჩევნო კამპანიაში იმ სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს, რომელნიც დეფიციტით მუშაობენ. სინამდვილეში კი ამას ანგარიში არ ეწევა, ზეიმობს ყველა, თუ კი ეს შემთხვევამ მოიტანა. ერთნაირად იხარჯება ღარიბი და ეკონომიურად მაგარი ორგანიზაცია. ასეთი მდგომარეობა ყოვლად დაუშვებელია.

რაც შეიძლება ნაკლები ზეიმი, რაც შეიძლება მეტი პრაქტიკული მუშაობა. ასეთია ჩვენი სადღეისო ლოზუნგი. და უნდა გვახსოვდეს, რომ ის ლოზუნგი სავალდებულოა საარჩევნო კამპანიების, კრებებისა და კონფერენციების გატარების დროსაც.

მ. ბ—ლი.

ვისი ხელი აფერხებს წარმოებას

რკინისგზის მთავარ სახელოსნოში ითვლება 12 საამქრო. ამ საამქროებში ზოგჯერ მასალის უქონლობისა და ან გაფუჭების გამო (როგორც ეს ხდება სალითონო ჩამომსხმელ საამქროში) წყდება მუშაობა და რომელიმე ბრიგადერს შემოაკლდება საქმე ან და ვერ ასწრებს მუშაობას დამხმარე საამქრო.

ასეთი შემთხვევები დიდ დაბრკოლებად უნდა ჩაითვალოს წარმოებაში. მაგრამ ის, რაც ხდება სახარატო საამქროს განყოფილებაში, მიმდუღებელ მალოვის ბრიგადაში, ყოვლად დაუშვებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. აქ ხან მჟავბადი არ არის და ხან კარბიტი, ხან კი ორივე ერთად გამოილევა ხოლმე. ეს ორივე საგანი კი ჩვენ რესპუბლიკებში ბლომად მოიპოვება. აქ აშკარაა გულგრილობა და დაუდევრობა. 11 კაცი დღეში საშუალო ხელთასს იღებს. განყოფილება კი 22 სექტემბრიდან 25-მდის დიდი კლიტით იყო გამოკეტილი.

ამ განყოფილებას შეუჩერებია თითქმის მთელი მთავარი სახელოსნოს ყველა საამქროები. რას ფიქრობს ან წევის უფროსი ლიონტიევი, ან და ამხანაგი ივანოვი ამის შესახებ?

უნდა გამოირკვეს, თუ ვისი ხელი აფერხებს ჩვენს წარმოებას.

ვ. ნ. ბ.

ავტომობილი № 222

17 სექტემბერს ვილაც სამი მოქალაქე, ავტომობილით № 222 გაემგზავრა სასეირნოთ ს. ლაგოდეხში. ლაგოდეხში მათ უნდა დახვედროდათ მოქეიფე ამხანაგები. ესენი კი მათ არ დახვედათ და ამის გამო შოფერს შეუხვდა ავტომობილის დაუსრულებელი ტრიალი ლაგოდეხის რაიონში მდებარე სოფლებში.

ავტომობილმა ასეთი—„ჯაფა-წვალება" ვერ აიტანა და გზაზე გატყდა. მგზავრებმა ავტომობილი შოფერიანად სოფელში დასტოვეს და თვითონ კი გამოემგზავრენ თბილისში.

ვინ იცის, თუ რამდენი ზარალი მიაყენეს ამ ვაჟბატონებმა იმ დაწესებულებას, რომელსაც ეს ავტომობილი ეკუთვნის?

საქმის მცოდნე.

პრესა მომჭირნეობის შესახებ

მუშაკების შერჩევა და ნამუშევარის შემოწმება

სოციალისტური აღმშენებლობის წარმატებით განვითარება და საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაცია, ბევრათაა დამოკიდებული იმაზე, რამდენად მტკიცეთ გავატარებთ ჩვენ მომჭირნეობის რეჟიმს. ეს კი სხვათა შორის დაჟინებით მოითხოვს ჩვენგან საჭირო მუშაკთა შერჩევას და შესრულებულ საქმის სისტემატიურად შემოწმებას.

გაზ. „პრავდა" ვრცელ წერილს უთმობს ამ საკითხს. წერილში მოყვანილია ლენინის ცნობილი სიტყვები: „**მუშაობის მთელი საიდუმლოება მდგომარეობს მუშაკთა შერჩევაში და გაკეთებულის შემოწმებაში**"... „შექმნილ მდგომარეობის მთავარი აზრი, განაგრძობს ლენინი, არც პოლიტიკაშია, ამ სიტყვის ვიწრო გაგებით, არც რეზოლიუციებში, არც დაწესებულებებში და არც რეორგანიზაციაში. რამდენადაც ყველაფერი ეს საჭიროა, ჩვენ ამას გავაკეთებთ, მაგრამ ნუ აჰრით ამას ხალხს, არამედ შეარჩიეთ საჭირო მუშაკები და შეამოწმეთ საქმის პრაქტიკული შესრულება".

„სიტყვაში, რომელიც ლითონზე მომუშავეთა ყრილობის ფრაქციაზე წარმოსთქვა ლენინმა, ამბობს გაზ. „პრავდა". ის დაუზოგავად ესხმოდა თავს ისეთ მუშაკებს, რომელნიც მხოლოდ სხდომებს აწყობენ, ირჩევენ კომისიებს, მასლაათობენ, „თხზავენ რაიმე განსაკუთრებულ და ბრძნულ" გეგმებს და არავითარ პრაქტიკულ მუშაობას არ აწარმოებენ ან ვერ აწარმოებენ. ლენინის სიტყვით, ეს ხალხი „არ ცდილობს, რომ გადაანარჩუნოს ზედმეტი კაპეიკი, რომელიც მათ აქვთ მიბარებული, არ იწუხებს თავს, რომ ერთი კაპეიკი ორ კაპეიკათ გადააქციოს".

ოთხ წელზე მეტმა განვლო, რაც ითქვა ეს, მაგრამ შემოწმებისა და მუშაკების შერჩევის ამოცანას არა თუ არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, არამედ ის სწორედ ეხლა გადაიქცა განსაკუთრებით საჭირბოროტო და პრაქტიკულად მოუცილებელ საქმეთ".

თავისთავად ცხადია, რომ მუშაკების შერჩევის და ნამუშევარის შემოწმების საკითხი ჩვენს სინამდვილეშიაც მწვავედ სდგას. სხვას რომ, თავი დავანებოთ, ამის საუკეთესო მაჩვენებელია მასიური მფლანგველობა. **ჩვენი დაწესებულება-წარმოების ეს მძაფრი სენი სწორეთ მუშაკთა ცუდი შერჩევით და მუშაობის სისტემატიური შეუმოწმებლობითაა გამოწვეული.**

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

კოოპერაციის მუშაკთა გადასამზადებელი კურსები

ქუთაისი, 7 ოქტომბერი. ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა დაადგინა ქუთაისში 1927 წლის იანვარში გახსნას ექვსთვიანი კურსები კოოპერატიული ქვედა აპარატის მუშაკთა გადასამზადებლად.

ავანსი მეთამბაქოეებს

ქუთაისი, 7 ოქტომბერი. სასოფლო-სამეურნეო ბანკის ქუთაისის განყოფილებამ დაამთავრა ზუგდიდის მაზრის მეთამბაქოე-გლეხებზე ავანსების გაცემა. სულ გაცემულია 100.000 მანეთი. მიმდინარე სეზონში თამბაქოს მოსავალი საშუალოზე მეტი იქნება.

წითელი ჯვრის სამდღიური

ქუთაისი, 7 ოქტომბერი. წითელი ჯვრის სამდღიური ქუთაისში წარმატებით ჩატარდა. წითელი ჯვრის მოწოდებამ მოსახლეობაში ფართო გამოძახილი ჰპოვა. 3 დღის განმავლობაში შეკრებილი იქნა 2.672 მან. 25 კაპ. ამავე სამი დღის განმავლობაში წითელი ჯვარში წევრებათ ჩაეწერა 359 კაცი.

მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსები

ფოთი, 7 ოქტომბერი. სახ. განათ. განყოფილებამ გახსნა მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსები, განსაკუთრებით პირველი საფეხურის სკოლებისათვის. კურსებზე მეცადინეობა გაგრძელდება სამოსწავლო წლის ბოლომდე.

ფოთი, 7 ოქტომბერი. გაიხსნა ქალთა პროფესიონალური სკოლა 60 შეგირდისათვის.

აჭარისტანი

თევზის ჭერის საშემოსავლო სეზონი

ბათომი, 7 ოქტომბერი. თევზის ჭერის საშემოსავლო სეზონი წარმატებით მიმდინარეობს. თევზს იჭერენ უმთავრესად ქობულეთის და ბათომის რაიონებში.

მეორე საგლეხო სესხის რეალიზაცია

ბათომი, 7 ოქტომბერი. სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ განყოფილებაში მეორე საგლეხო სესხის ობლიგაციის რეალიზაცია წარმატებით მიმდინარეობს. მცხოვრებლების მხრივ სესხი დიდ ინტერესს იწვევს.

გაზეთებში სესხის რეალიზაციის შესახებ სახელმწიფო ბანკი შეუთანხმდა აჭარისტანის ცეკავშირს, რომელიც ობლიგაციების გაყიდვას აწარმოებს, თავის სამაზრო განყოფილებების საშუალებით.

პანსიონი ღარიბ-ღატაკთა ბავშვებისათვის

ბათომი, 7 ოქტომბერი. ქედაში დამთავრდა პანსიონის შენობის აგება სკოლასთან. პანსიონში ჯერ-ჯერობით მოთავსდება 40—50 ბავშვი, ღარიბ-ღატაკთა ოჯახებიდან და ობლები.

პანსიონერები, გარდა ჩვეულებრივ სასკოლო კურსისა, შეისწავლიან აგრეთვე სხვადასხვა ხელობას.

ქურთების დაბრუნება იალაღებიდან

ბათომი, 7 ოქტომბერი. არტაანის და ართანუჯის რაიონების საზაფხულო საძოვრებიდან დაიწყო ქურთ-მეჯოგეების დაბრუნება. მომთაბარეები ზამთრის გასატარებლად გაემართნენ ქობულეთის და ქოროხის მაზრებში (ციხის-ძირი, ჩაქვი, ბუკნარი, კახაბერი და სხ.).

ფოსტა-ტელეგრაფის პუნქტები

ბათომი, 7 ოქტომბერი. ფოსტა-ტელეგრაფის ახალი დამხმარე პუნქტები გახსნილ იქნა და უკვე მუშაობენ ქოროხის მაზრის სოფლებში: ელიონია და აჭარის ალმართში, ქობულეთის მაზრის სოფ. მახინჯაურში და ბათომის ქალაქ გარეთ ადგილებში—ბარცხანასა და გოროდოკში.

აფხაზეთი

ტყვარჩელის ქვა-ნახშირი

სოხუმი, 7 ოქტომბერი. სათბობის მთავარ სამმართველომ 15.000 მანეთი გაიღო ტყვარჩელის ქვა-ნახშირის შესამოწმებლად. განზრახულია 16.000 ფუთი ნახშირის ამოღება და დონის ოლქში გაგზავნა.

წერილები

ვექილების ოჯახი
(წერილი კახეთიდან)

ვექილობა საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაშვებულია იმ მიზნით, რომ სასამართლოებს გაუადვილდეთ მუშაობა და რთულ კითხვებში გარკვევა.

უკანასკნელ დროს ვექილობას ბევრი ეტანება. ეს იმით აიხსნება, რომ ვექილების ბოროტად გამოყენებით შესაძლებელი ხდება ბევრი ფულის მოხვეჭა. მოვიყვან რამოდენიმე მაგალითს.

1923 წელს გურჯაანის და ველისციხის ვაჭრებს და მემამულეებს მიწის რევოლიუციონური რეფორმის გატარების დროს ჩამოერთვათ მამულები. გურჯაანის ვექილი ბეგლარ ბაწელაშვილი შეპირდა 10 მემამულეს ჩამორთმეული მამულის დაბრუნებას. აღძრა საქმე ადგილობრივ სასამართლოში, ხსენებულ ვაჭრებიდან აიღო 1.200 მანეთი, საქმე კი წააგებინა მომჩივნებს, როგორც ადგილობრივ ისე საოლქო სასამართლოში. ბოროტმოქმედება ბაწელაშვილის მდგომარეობს იმაში, რომ ბაწელაშვილმა იცოდა ხსენებულ საჩივრის უშედეგობა და მომჩივნები დააიმედა საქმის მოგებით.

სიღნაღში არის ვექილი ლევან ქართველიშვილი, ეს კაცი პირდაპირ პროფესიონალური თაღლითი და კომბინატორი ვექილია. სიღნაღის ვექილთა სამაზრო ბიუროში არის ცნობა იმის შესახებ, რომ ქართველიშვილს კერძო მოქალაქეებიდან ჰყავს აგენტები კლიენტების საძებრად. ამბობენ: ქართველიშვილს თავის ქალად ზოგიერთი ზედამხედველებიც ყავს სიღნაღის გამსახლში. კლიენტების ძებნა ვექილებისათვის არ არის სათაკილო, მაგრამ ამ მიზნით, რომ გამსახლში აგენტები იყოლიო, ის ეწინააღმდეგება ყოველგვარ ზომიერებას კანონის და ზნეობის ფარგლებში.

ბევრ პირებს ხშირად საქართველოს ვექილთა პრეზიდიუმი შეჰყავთ შეცდომაში, რის გამოც ეს უკანასკნელი ვექილად ამტკიცებს ყოვლად უმსგავსო და უზნეო პირებს. კონორატე ნინიკაშვილი აღმოსავლეთ საქართველოს ვექილთა პრეზიდიუმის მიმართ განცხადებებში სწერს, რომ მან (ნინიკაშვილმა) ღვდლობას თავი დაანება 1918 წელს და შეიქნა მშრომელი მოქალაქე—თავისი აგიტაციით 1918 წლიდან ბევრ ღვდელს აღებინა ხელი ღვდლობაზე და სხვა. სიღნაღის უბნის სასამართლოში კი არის საქმე იმის შესახებ, რომ ნინიკაშვილი ღვდელი იყო 1922 წელსაც და ის ამ წელს იძიებდა სასამართლოს საშუალებით რვა-რვა ლიტრა კოდის პურს სოფ. ტიბაანში მცხოვრებთა იასე გურაშვილი, სანდრო ზურიაშვილი და სხვებისაგან (იხილეთ საქმე № 346—1922 წ.).

საჭიროა საქართველოს ვექილთა კოლეგიის პრეზიდიუმმა მიაქციოს ამ მოვლენას განსაკუთრებული ყურადღება. გლეხკაცობა ენდობა საბჭოთა სასამართლოებს, დარწმუნებულია იმაში, რომ მუშურ-გლეხური სასამართლო არის მისი ინტერესების უაღრესი დამცველი.

ჩვენს სასამართლოებს კი გაუჩნდათ მავნე მეტლი უმსგავსო ვექილების სახით, რომლებიც ცდილობენ სასამართლოები ფულის მოხვეჭის მიზნით სპეკულიაციის ასპარეზად გადააქციონ. საჭიროა დაუყოვნებლივ გადასინჯულ იქნას ვექილების პირადი შემადგენლობის სია. ხსენებულ გადასინჯვამ სათანადოთ უნდა გადაახალისოს სასამართლოებთან ვექილების კადრი. მომავალში იმ ორგანოებმა, რომელნიც ვექილების რწმუნების მინდობას აძლევენ ამა თუ იმ მოქალაქეს, კარგად უნდა გასინჯონ უკანასკნელის ზნეობრივი მხარე, პირდაპირი მოვალეობის ცოდნა და პოლიტიკურად კეთილსაიმედობა. ამასთანავე საჭიროა ცენტრალური ორგანოები, რომელიმე პირის ვექილად დამტკიცების დროს ეცნობოდნენ მის პიროვნებას, ესე მაზრის ხელისუფლების და განსაკუთრებით ადგილობრივი ვექილთა ბიუროსადმი შეკითხვის საშუალებით.

დევინი.

წერილებიდან

ს. არაშენდა (სიღ. მ.)

უწყლობამ დაგვღუპა. ამას წინათ ჩვენს სოფელში ერთ საბძელს წაეკიდა ცეცხლი. მთელი სოფელი შეგროვდა, მაგრამ ცეცხლი ვერ ჩააქრეს, რადგან წყალი ოთხი ვერსის მანძილზეა და ისიც დაღმართში. ცეცხლი იმდენად გაიზარდა, რომ დასწვა ბზითა და თივით დატენილი რამოდენიმე საბძელი. საჭიროა ჩვენს სოფელში გამოყვანილი იქნას წყალი.

მეცეცხლური.

ყაზბეგი (დუშ. მ.)

გამკითხავი არავინაა. ჩვენს სოფელში არსებობს თეატრი, მაგრამ მის არსებობას არავითარი აზრი არა აქვს. პიესებს სრულიად შეუფერებელს სდგამენ, შემოსავალი უაზროთ იხარჯება და ზოგჯერ კიდეც იფლანგება. თეატრის გამგეობა ქაღალდზე არსებობს. ვისაც მოეპრიანება, ის მართავს წარმოდგენებს. გამკითხავი არავინაა.

სალამური.

ს. ხიდისთავი (გორ. მ.)

„ბატმა ჩაყლაპა“. აქ ხშირად იდგმება წარმოდგენები და ეწყობა საღამოები. შემოსავალს კი ხალხი ვერ ხედავს. ამას წინად დაიდგა პიესა „ქოროღლი“. შემოსავალი დიდი არ იყო, სულ 12 მან., მაგრამ ისიც უგზო-უკვლოდ გაქრა. გლეხები გაიძახიან: „შემოსავალი ბატმა ჩაყლაპაო“.

ტანელიშვილი.

კოკისი (ზუგდ. მ.)

ყოფ. მემატრონეები გათამამდნენ. ალმასკომმა წელს ვერ მოუარა სათანადოთ საფონდო მამულების ხილს. ბევრგან ალმასკომმა ხილის მესამედი მოკრიფა, დანარჩენ შემთხვევებში კი სრულიად ხელუხლებელი დასტოვებილი. ამით ისარგებლეს ყოფ. პატრონებმა და დაკრიფეს ხილი თავიანთ ყოფილ მამულებში. გლეხებში ათასგვარი ჭორები არის გავრცელებული, მემამულეებს მიწებს უბრუნებენო.

ვან კოკელი.

სოფლის ქრონიკა

— **შორაპნის ალმასკომმა** აირჩია კომისია თუზის, თავისის და ზედასაზანოს თემების გაერთიანებლად.

— **გზა.** შორაპნის მაზრაში შეუდგენ რგანის გზატკეცილის შეკეთებას.

— **ახალქალაქის ალმასკომმა** გამოიმუშავა გეგმა მაზრაში საექიმო საქმის გასაუმჯობესებლად.

— **ვაჭრობა.** შორაპნის ალმასკომმა დაარსა შინავაჭრობის მომწესრიგებელი კომისია.

— **ექიმბაშები.** ახალ-ქალაქის ალმასკომმა ექიმბაშების წინააღმდეგ გამოსცა სავალდებულო დადგენილება.

— **სათიბები.** სოფ. კარძახს ახალ-ქალაქის ალმასკომმა გადასცა 1.500 დესეტინა სათიბი.

— **ათაშანგი.** ახალ-ქალაქის ალმასკომმა გადასდო განსაკუთრებული თანხა მაზრაში გავრცელებულ ათაშანგის წინააღმდეგ საბრძოლველად.

— **აგროდახმარება.** ხერთვისის თემისათვის ახალ-ქალაქის ალმასკომი იწვევს აგრონომს.

— **ჯანმრთელობა.** ქუთაისის ალმასკომმა დაადგინა ყოველ სამ თვეში ერთხელ შემოწმოს მილიციელთა ჯანმრთელობა.

— **ქუთაისის ალმასკომი** ხსნის [illegible] მილიციელთა მოსამზადებელ კურსებს.

„ინდო“

ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტის და „ინდო“-ს მთავარი რწმუნებულის—კენიგსმის მოლაპარაკება მოსკოვში დამთავრდა შეთანხმებით ტელეგრაფისტების სამუშაო დროის საკითხზე.

ოფიციალურად გადაუწყვეტელი დარჩა სამი მუხლი: რევოლიუციონური და უქმე დღეების გასამრჯელო, ხელფასის გადიდება 1926 წლის პირველ ოქტომბრიდან და გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება.

მოლაპარაკება ამ საკითხების შესახებ დანიშნული იყო 6 ოქტომბრისათვის, გუშინ ამიერ-კავკასიის საგაფიცვო კომიტეტში არავითარი ცნობა არ იყო მიღებული მოლაპარაკების მსვლელობის შესახებ. ამ ცნობების მიღება მოსალოდნელია დღეს.

საქ. კომისართა საბჭოში

მემინდვრეობა ლეჩხუმის მაზრაში

სახკომსაბჭომ დააკმაყოფილა საქართველოს ფინსახკომის შუამდგომლობა, რომ ლეჩხუმის მაზრაში მემინდვრეობას დაედოს სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ნათესების მიხედვით.

საექსპორტო საბჭოს დაარსება

სახკომსაბჭომ დააკმაყოფილა საქართველოს სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს შუამდგომლობა, საქართველოს სტატისტიკის ცენტრ. სამმართველოსთან პურის და ფურაჟის წარმოების შემფასებელი და მათი ბალანსის განმსაზღვრელი საექსპორტო საბჭოს დაარსების შესახებ.

აღნიშნული საექსპორტო საბჭო დამტკიცებულ იქნა შემდეგი სახით: თავმჯდომარე ს. ს. ც. სამმართველოს მმართველი—ა. რუხაძე, წევრები: საგეგმო კომისიიდან—გ. რცხილაძე, მიწა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოდან—ვ. თევზაია, მიწსახკომიდან—ლ. მაჩაბელი, „ხლებოპროდუქტიდან“—იაციშინი, ცეკავშირიდან—ჯანელიძე, ფინსახკომიდან—ორჯონიკიძე, მ.-გ. ინსპექციიდან—კალანდაძე, ს. ც. სამმართველოდან—ვ. ჩიგოგიძე და გ. ფერაძე და სახელმწიფო უნივერსიტეტიდან—პროფ. გოგიჩაიშვილი, პროფ. ჯანდიერი და პროფ. ბირიტაშვილი.

მიწსახკომის შუამდგომლობა

სახკომსაბჭომ დააკმაყოფილა მიწსახკომის შუამდგომლობა სავეტერინარო-ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიის განკარგულებაში 1925—26 საოპერაციო წლის შემოსავლის 1.740 მან. 25 კაპ. დატოვების შესახებ.

დუშეთის მაზრალმასკომის შუამდგომლობა

დუშეთის მაზრის მცხოვრებნი განთავისუფლებულ იქნენ სარწყავი არხებით სარგებლობისათვის 1924—25 წელს შეწერილ გადასახადისაგან და აგრეთვე აღნიშნული არხებით სარგებლობის წესების დარღვევისათვის 1925—26 წელს დადებულ ჯარიმისაგან.

წყალდიდობა ოზურგეთში

6 ოქტომბერს დილით დაიწყო დიდი წვიმა. მდინარე ბჟუჟი გადმოვიდა ნაპირებიდან და ქალაქის ცენტრალურ ნაწილს წალეკით ემუქრებოდა. პატარა ხიდები, რომლებიც მგზავრებისათვის იყო გადებული მდინარეზე, ადიდებულმა წყალმა წაიღო. დიდი ხიდი, რომელიც აერთიანებს ქალაქს გურიის აღმოსავლეთ რაიონებთან, დაიფარა წყლით. გადიდებულ მდინარეს მოჰქონდა დამსხვრეული საქონელი. 12 საათზე წყალი შემოვიდა მთავარ ქუჩაზე (1905 წლის რევოლიუციის ქუჩა) და პირველ საათზე წყლის სიღრმე უდრიდა ერთ არშინს. ამ ცხოვრებთათვის დახმარების აღმოსაჩენათ, რომლებიც ყველაზე მეტად სახიფათო ნაწილებში ცხოვრობენ, გამოვიდა სამაზრო მილიციის ცხენოსანი ნაწილი. 2 საათზე წვიმა შეწყდა და წყალმა იწყო დაკლება. ცნობები ზარალის შესახებ, რომელიც მიაყენა წყალდიდობამ გლეხების მინდვრებს, ბაღებს და ბოსტნებს, ჯერ მიღებული არ არის.

ალიუმინის გამოკვლევა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა ალიუმინის წარმოების ამერიკული კამპანიის მთავარი ინჟინერი ფურლოდი, რომელიც ამერიკელ გეოლოგების ერთ ჯგუფთან ერთად დღეს დილით გაემგზავრა განჯის რაიონში მადნების გეოლოგიური გამოკვლევის ჩასატარებლად.

გეოლოგების მეორე ჯგუფი გეოლოგ მალიავკინის მეთაურობით გუშინწინ გაემგზავრა ამავე მიზნით ბათომის რაიონში.

კრედიტები
ამიერ-კავკასიისათვის

კრედიტი კომუნალურ მეურნეობისათვის

საკავშირო სახელმწიფო საგეგმო კომისიის საამშენებლო სექციის მიერ დამტკიცებულია ცენტრალურ კომუნალურ ბანკის საფინანსო გეგმა 1926-27 სამეურნეო წლისათვის, რომლის მიხედვით კრედიტი ამიერ-კავკასიის კომუნალურ მეურნეობისათვის განსაზღვრულია 1 მილ. მან., რომლიდანაც 700.000 მან. მოხმარდება წყალსადენს და კანალიზაციას, ხოლო 150.000 მან. ელექტროფიკაციას და სხ.

ამიერ-კავკასიის კომუნალურ მეურნეობაზე გაღებული კრედიტი 150.000 მან. აღემატება შარშანდელს.

კრედიტი საბინაო მშენებლობას

ამიერ-კავკასიის საბინაო მშენებლობის კრედიტი განსაზღვრულია 5.200.000 მან., აქედან ინდივიდუალური კერძო მშენებლობისათვის—4 მილ. მან., კოოპერატიულისათვის—700.000 და ტრანსპორტისათვის 500.000 მანეთი.

ახალი მოგებიანი სესხი

1926 წ. სახელმწიფო შინაური მოგებიანი სესხი ჯამით 30 მილიონი მანეთისა, გამოვიდა 5 წლის ვადით (1926 წლის 1 ოქტომბრიდან 1931 წლის 1 ოქტომბრამდე) 100 მანეთიან ობლიგაციების სახით. თითო ობლიგაცია იყოფა 4 თანასწორ ნაწილად; თითო ასეთი ნაწილი ღირს 25 მანეთი, ტირაჟებს დამოუკიდებლივ და აქვს უფლება მიიღოს ობლიგაციის მთელი მოგების ერთი მეოთხედი ნაწილი.

აღნიშნულ სესხის ყველა ობლიგაციები წელიწადში გათამაშდება ოთხჯერ; 5 წელიწადში კი 20 ჯერ. პირველ წელს თითო გათამაშების (ტირაჟის) დროს იქნება 9.000 მოგება ჯამით 1.479.000 მანეთის, მეორე წელს თითო გათამაშების დროს—11.000 მოგება ჯამით—1.679.000 მანეთის, მესამე წელს თითო გათამაშების დროს — 14.000 მოგება ჯამით — 1.979.000 მ. მეოთხე წელს თითო გათამაშების დროს—18.000 მოგება ჯამით — 2.379.000 მ. და მეხუთე წელს თითო გათამაშების დროს 23.000 მოგება ჯამით —2.879.000 მანეთისა. ამრიგად ხუთივე წელს 20-ჯერ გათამაშებული იქნება სულ—300.000 მოგება საერთო ჯამით 41.580.000 მანეთისა.

უფრო გარკვევით რომ ვსთქვათ, გამოდის, რომ ამ ხუთ წელიწადში ოცჯერ გათამაშებული იქნება 300.000 მოგება, ე. ი. იმდენი, რამდენ რაოდენობითაც გამოშვებულია ამ სესხის ობლიგაციები; ამ რიგად არც ერთი ობლიგაცია არ დარჩება მოუგებელი და ამ ობლიგაციების საერთო მოგება უდრის 41.580.000 მანეთს, მაშინ როდესაც მთელი სესხის საერთო ჯამია მხოლოდ 30 მილიონი მანეთი, მაშ მთელი მოგება ფარავს ამ ჯამს და ობლიგაციების შემძენთა ჯიბეში ჩადის კიდევ ზედმეტად 11.580.000 მანეთი.

ამ რიგად მთავრობა ყოველ წლიურად ოთხივე გათამაშების დროს მოგებათა სახით იძლევა საშუალოდ — 8.316.000 მანეთს, ანუ მთელი სესხის 28 პროც.-დე, რაც მეტად საგრძნობია და სამნიშვნელო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთჯერ მოგებული ობლიგაცია გადის სავსებით დაფარვის ტირაჟში და კარგავს უფლებას მიიღოს მონაწილეობა დანარჩენ გათამაშებებში. ამ რიგად მოგების ტირაჟი იმავე დროს დაფარვის ტირაჟიცაა.

თითო გათამაშების დროს ობლიგაციებს ხვდებათ შემდეგი მსხვილი მოგებანი:

1 მოგება ჯამით — — — — 100.000 მ.
2 „ „ თითო — 50.000 მ.
3 „ „ „ — 25.000 მ.
5 „ „ „ — 10.000 მ.
10 „ „ „ — 5.000 მ.
79 „ „ „ — 1.000 მ.

ამ ახლად გამოცემულ სესხს აქვს ყველა ის შეღავათები, რაც წინად გამოშვებულ სახ. სესხებს. ობლიგაციების მოგებანი თავისუფალია ყოველგვარ გადასახადებიდან და არ ირიცხება შემოსავლის იმ საერთო ჯამში, რომელზედაც დადებულია შემოსავლის მიხედვით გადასახადი.

ყოველივე ზემოხსენებულიდან ნათლად ჩანს, რომ ამ ახალ სესხის ობლიგაციების ან მათი ნაწილების შეძენა დიდათ სასარგებლოა მოქალაქეთათვის. ობლიგაცია ამჟამად ღირს 100 მანეთის ნაცვლად მხოლოდ 96 მანეთი; ძლიერ მალე კი მისი ფასი აიწევა მეტად შესამჩნევათ.

გ. რ.

კოოპერატიული ტრესტი

ახლო ხანში მუშაობას შეუდგება თბილისის გაერთიანებულ კოოპერატიულ წარმოებათა ტრესტი, რომლის მოსაწყობათ უკვე დასრულდა წინასწარი საორგანიზაციო მუშაობა.

გაერთიანებაში შევლენ შემდეგი კოოპერატივები: მუშკოოპი, ა.-კ. რკინისგზელთა სატრანსპორტო-სამომხმარებლო საზოგადოება. „ზაკხლიუზი“, ცეკავშირი, „ბოეც“ და „მწყემსი“.

გაერთიანების ძირითადი კაპიტალი შესდგება საქციო გადასახადისაგან. გაერთიანებაში შემავალი ყოველი ორგანიზაცია შეიძენს აქციებს, რომელთა საერთო თანხა განსაზღვრულია 200.00.

ამ დღეებში გაერთიანება სხვადასხვა კოოპერატივებისაგან ჩაიბარებს გადაცემულ ფაბრიკა-ქარხნებს. გაერთიანებას ექნება საკუთარი სამჭედლო, ხეგალეტი, საკონდიტრო და სამაკარონო ფაბრიკები.

წინასწარ საორგანიზაციო მუშაობის ჩასატარებლათ არჩეულ იყო ცალკე კომისია, რომელმაც გამოიმუშავა გაერთიანების წესდება და მუშაობის გეგმა.

გუშინ საღამოს მუშკოოპში შესდგა აქციონერთა საერთო კრება, რომელმაც მიიღო გამომუშავებული წესდება და აირჩია კომისია ფაბრიკების მისაღებათ და ჩასაბარებლად.

მომავალ სამუშაო გეგმაში განზრახულია ახალი ფაბრიკების აგება და კოოპერატიული წარმოების უფრო გაფართოება.

პროფესორი ვასილიევი
თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოს კომისია, რომელიც გამოყოფილია ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს შუამდგომლობით ამიერ-კავკასიის მებამბეობის რაიონების, კერძოთ მუღანლის და შირვანის ველების გამოსაკვლევად. კომისიაში შედიან: პროფ. ვასილიევი (თავმჯდომარე), ინჟ. მასლოვი (თავმჯდომარის მოადგილე), გეოლოგი პროფ. სავალენსკი და ეკონომისტი—პრედტეჩენსკი.

აღნიშნული კომისიის მიერ რამოდენიმე თვის წინათ შემუშავებული იქნა მუღანლოს ველის მორწყვის პროექტი.

მუღანლოს ველის მორწყვის პროექტი ითვალისწინებს 44.000.000 მანეთის დახარჯვას სამელიორაციო სამუშაოებზე.

პროფ. ვასილევმა ჩვენს თანამშრომელს გამოუცხადა, რომ ამჟამად კომისიას დავალებული აქვს შეადგინოს აგრეთვე შირვანის ველის მორწყვის პროექტი.

კომისიის ჩამოსვლის მიზანია მუშაობის შეთანხმება ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიასთან, უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან და სახალხო კომისართა საბჭოსთან.

კომისიის ცალკე წევრები უკვე მუშაობენ ადგილობრივ.

დღეს კომისიას სხდომა ექნება ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიაში, ხვალ კი უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსი.

მუშათა ცხოვრება

ჩვენ მუშკორებში

6 ოქტომბერს „კომუნისტი“-ს რედაქციის ბინაზე შესდგა გაზეთ „კომუნისტი“-ს მუშკორთა საერთო კრება. კრებას მრავალი მუშკორები დაესწრო. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) ბინის ქირის მომატების შესახებ, 2) ამხ. ხიზანაშვილის განცხადება, 3) ბრძოლა ხულიგნობასთან, 4) მუშკორთა ახალი ბიუროს არჩევნები და „ზაჰეს“-ში ექსკურსიის მოწყობა.

ბინის ქირის ახალი ტარიფის ირგვლივ მსჯელობაში მუშკორებმა მიიღეს მხურვალე მონაწილეობა. ორატორებმა დაახასიათეს გაზეთებში გამოქვეყნებული ახალი საბინაო ტარიფის პროექტის დადებითი და უარყოფითი მხარეები. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი დადგენილება: „გაზეთ „კომუნისტი“-ს მუშკორთა საერთო კრება, გაეცნო რა ბინის ახალ ტარიფის პროექტს, მიზანშეწონილად სცნობს ქალაქის საბჭოს უკანასკნელ პლენუმის დადგენილებას ბინის ქირის საერთოდ გადიდების შესახებ. ბინის ქირის მომატება აუცილებელია, რადგან სახლები ინგრევა დიდი ხნის შეუკეთებლობის გამო. და მათ კაპიტალური შეკეთება სჭირდებათ, მაგრამ აღნიშნული მომატება უნდა იქნეს შეფარდებული მუშების შრომის ხელფასის უკანასკნელ მომატებებთან. ამას გარდა მუშკორთა კრება საჭიროდ სცნობს, რათა მუშისთვის გასაგებათ და გამარტივებული იქნას ბინის ქირის ახალი ტარიფის ტექსტი, მოისპოს ცხრილებში ათწილადები ქირისა და მოედნის ანგარიშიანობაში, რათა მუშას ჰქონდეს საშუალება საფუძვლიანად ადვილად გაიგოს და შეითვისოს ახალი ტარიფი და ქირის რაოდენობის გამოანგარიშება თვითონვე შესძლოს.

ბინის ტარიფი განაწილებულ უნდა იქნეს ბინის ხარისხთან და ბინის სანიტარულ-ტეხნიკურ მდგომარეობასთან შეფარდებით. მასთან უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში ბინის მდებარეობა როგორც თვით სახლკარში, აგრეთვე განაპირა უბანში და ცენტრში. მუშკორთა საერთო კრება მიზანშეწონილად სთვლის იმ შეღავათებს (10-300 პროცენტამდე), რომელსაც პროექტი აძლევს იმ მუშას, რომელიც დატვირთულია ოჯახის წევრებით 5 დან—8 სულამდე.

საერთო კრება ფრიად სასურველად სცნობს ორმაგ ფასის გადახდას ბინის ზედმეტ (საცხოვრებელ) მოედნისთვის ზედმეტი მოედნის განთავისუფლების მიზნით უბინაო მუშა-მოსამსახურეთა ჩასახლებით განთავისუფლებულ ოთახებში.

ყველა სარდაფებში მოთავსებული ბინები უნდა გათანასწორებულ იქნეს საბინაო ტარიფის ნორმით. სარდაფების სხვადასხვა ხარისხოვნობის მოსპობით, რადგანაც სარდაფებში ცხოვრების პირობები ერთი და იგივეა და მასთან იგი ბინის ქირის გამოანგარიშების დროს, იწვევს საქმის ჩართულებას, რაც მუშისთვის დიდ სიძნელეს წარმოადგენს. [illegible] ქალ. ალმასკომს იქნეს მიღებული [illegible] ახალი საბინაო ტარიფის პროექტის ზოგიერთ დეფექტების შესასწორებლად.

ამის შემდეგ მუშკორთა საერთო კრებამ მოისმინა მთავარ სახელოსნოს მუშის ამხ. ხიზანაშვილის შემდეგი განცხადება: იგი სცხოვრობს სოფელ „კავთისხევში“ (გორის მაზრა).

მას გაუხდა ავად თავისი და, რომელმაც მიმართა ცნობილ „ექიმბაშს“ ბებია-ქალს (მცხოვრები სოფელ კასპში) ვინმე ცხადაძეს. ცხადაძემ ქალი მოსწამლა. მან მრავალი გლეხის ცოლებიც იმსხვერპლა. მოქ. ცხადაძე ამჟამად დაპატიმრებულია და ზის ციხეში.

ხიზანაშვილის დის მოწამლის გამო მუშკორები გამოსთქვამენ აღშფოთებას და კატეგორიულად მოითხოვენ მიღებულ იქნეს „ექიმბაშ“ ცხადაძის და მის მსგავსთა წინააღმდეგ სასტიკი ზომები, რათა ეს ზედმეტი ხორცი („ექიმბაშები“)—რკინის შანთით ამოიწვას ჩვენი გლეხობის სხეულიდან.

მუშკორები შეეხენ აგრეთვე ქალ. თბილისში ხულიგნების თავგასულობას. მართალია, ქალაქის მილიცია საკადრის ზომებს იღებს მათ წინააღმდეგ, რის გამო ჩვენი მილიცია დიდი მადლობის ღირსია, მაგრამ ჯერ მაინც ხულიგნობა აქა-იქ მძვინვარებს.

ამიტომ კრება ერთხმად ადგენს ხულიგნების ასალაგმავად მიღებულ იქნეს უსასტიკესი ზომები. მასთან 13 ოქტომბრისთვის მოწვეულ იქნას გაზეთ „კომუნისტი“-ს მუშკორთა მასიური კრება, რომელზედაც ეთხოვოს მილიციის უფროსს ამხ. ხმალაძეს გააკეთოს მოხსენება ხულიგნობასთან ბრძოლის ირგვლივ.

ამის შემდეგ მუშკორთა კრება გადადის არჩევნებზე. მუშკორთა ბიუროში არჩეულ იქნენ შემდეგი მუშკორები. დ. გორდაძე, ალ. ნიკოლაიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ალ. ბაჯიაშვილი, უშანგი ჯაში, ხებრიელაშვილი, ნ. იტრიევი, შ. ნავთლუღელი, ვ. ბარბაქაძე, გ. ხერუაშვილი, ვ. მთვრალიშვილი, წამლაძე, კოტე გოგიბერიძე, ნ ასლამაზაშვილი, და ჯაბაური. აქედან გამოყოფილ იქნა მუშკორთა ბიუროს თავმჯდომარედ ამხ. დ. გორდაძე, ხოლო მდივნად ამხ. ალ. ნიკოლაიშვილი, ხაზინადრად ამხ ნიკო იტრიევი.

კრება ადგენს ბიუროდან გამოიყოს საქმიანი კომისია შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით: გორდაძე, ნიკოლაიშვილი, უ. ჯაში, ივ. ჯავახიშვილი, ხებრიელაშვილი, იტრიევი და ალ. ბაჯიაშვილი.

ამის შემდეგ კრება ადგენს კვირას 10 ოქტომბერს, მოეწყოს მუშკორთა მასიური ექსკურსია „ზაჰეს“-ს დასათვალიერებლად. ექსკურსიაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე კედლის გაზეთის კედკორები და სხვა მსურველი მუშები.

მუშკორი ივ. ჯავახიშვილი.

ჩვენი ვეხმარებით ინგლისის მუშებს

ამ დღეებში მუშათა ცენტრალურ კლუბში შესდგა მეღითონეთა კავშირის გაერთიანებულ ქარხკომში შეყვანილ (კერძო ქარხნებში მომუშავე) მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება.

კრებას თავმჯდომარეობდა ამავე ქარხკომის მდივანი ამხ. ანტარ დავიდოვი. მდივნობდა ამხ. მანიევი.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება ინგლისის გაფიცულ მუშების შესახებ და 2) კავშირში წევრების მიღება.

ინგლისის გაფიცულ მუშების შესახებ მოხსენება გააკეთა მეღითონეთა კავშირიდან ამხ. შაქრო ფარიაშვილმა, რომელმაც გაიშუქა გაფიცულ მუშების ძალზე მძიმე მდგომარეობა და მოუწოდა მუშებს, რათა მათ გაიღონ თავის ხელფასიდან შესაძლებელი დახმარება.

ამხ. ფარიაშვილის მოხსენების გამო მიღებულ რეზოლიუციაში მეღითონეები აღნიშნავენ, რომ ისინი დარწმუნებულნი არიან ინგლისის მემაღაროენი არც ერთ წუთით არ დაიხევენ უკან თავიანთ დაწყებულ დიდი ბრძოლის გამარჯვებით ჩასატარებლად.

„ჩვენ ყოველთვის მზად ვართ დავეხმაროთ ინგლისის გაფიცულ მემაღაროელებს დაწყებულ საქმის უკანასკნელ დაგვირგვინებამდის“. ამბობენ მუშები.

მეღითონეთა კავშირის გაერთიანებული ქარხკომი ადგენს გაეგზავნოს ძმური სალამი ინგლისის მუშებს და 1-ლ სექტემბრიდან ყოველ თვე გადაიდოს მემაღაროელთა სასარგებლოდ ერთი პროცენტი ყველა სახის ხელფასიდან მთელ გაფიცვების განმავლობაში.

ამის შემდეგ კავშირში წევრებად ჩარიცხულ იქნა 19 მუშა.

შ. ილ—ვი.

ჩვენი ვეხმარებით ინგლისის გაფიცულ მუშებს
(წერილი ს. კოკიდან)

ინგლისის გაფიცულ მუშა-მემაღაროების სასარგებლოდ ს. კოკი თემის დრამწრემ ლ. დარჩელში (ზუგ. მ.) გამართა საღამო-წარმოდგენა. დაიდგა პიესა „რევოლიუციის მოლოდინში“ ა. მაზაშვილის. საღამო-წარმოდგენა კარგად ჩატარდა. შემოსული თანხა გადაეგზავნა სამაზრო პარტკომს ინგლისის გაფიცულ მუშების სასარგებლოდ.

სასურველია ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეების დრამ-საზოგადოებებმაც მიბაძონ კოკელებს.

ვანო კოკ—ელი.

ორთაჭალის საბჭოთა აფთიაქი არ უნდა დაიკეტოს

ორთაჭალაში არის ერთად-ერთი საბჭოთა აფთიაქი. ორთაჭალა მუშათა რაიონია. აქ არის ტყავტრესტის ქარხანა, საფეიქრო ქარხანა, ბამბის ქარხანა, ზეთისა და საპნის სადუღებელი ქარხანა, ძაფის სართავის და შალის საქსოვი ქარხანა და „დაბაზანაც“.

თითქმის ყველა ამ ქარხნების მუშები სცხოვრობენ ორთაჭალაში. მათი და მათი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის ბედ-იღბალი დამოკიდებულია ამ საბჭოთა აფთიაქზე და თუ ეს აფთიაქი დაიხურა, მუშებისათვის მიუწვდომელი იქნება ქალაქის აფთიაქებიდან წამლების მიღება. ჩვენ, მუშები, ისედაც ყურადღებას ვერ ვაქცევთ ჩვენ ავადმყოფობას და როდესაც სამი ვერსის მანძილზე აფთიაქი არ გვექნება, ექიმების რეცეპტები ვერას გვიშველის. სამი ვერსის მანძილზე მუშა წამლის მისაღებად არ წავა. ამ გარამოებას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება და ორთაჭალის აფთიაქი არ უნდა დაიკეტოს, როგორც ეს განზრახული აქვს ჯანმრთელობის სახკომატს.

მუშა ვარდენ.

მუშათა ქრონიკა

— **ინტერნატი მუშებისათვის.** რკ. გზ. საუბნო დამზღვევ სალაროს ცნობით იხსნება ახალი „ინტერნატი“ მუშებისათვის.

— **კედლის გაზეთი.** სადგურ თბილისის კულტკომისია უშვებს ყოველთვიურ კედლის გაზეთს, „ალმასკომის თვალი“-ს სახელწოდებით. გაზეთში მოთავსებულია შინაარსიანი წერილების კლუბში იგება ახალი ცემენტის საპირფარეშო.

— **რონოდაა დუქანი.** თბილისის საუბნო პროფკავშირი შუამდგომლობს საგზაო კომიტეტის წინაშე, რათა ხაზზე იაროს „ზაკტპოს“ რონოდა—დუქანმა ხაზზე მომუშავე მუშებისათვის საჭირო სურსათ-სანოვაგის მისაწოდებლად.

— **იგება საპირფარეშო.** პლეხანოვის სახელობის კლუბში იგება ახალი ცემენტის საპირფარეშო.

— **ჩამოყალიბდა წრე.** რკინისგზის მთავარ სახელოსნოს კედგაზეთის სარედაქციო კოლეგიამ უკვე ჩამოაყალიბა მუშკორთა წრე. წრეში შედის 40 კედკორი—მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს.

— **სოც-დაზღვევის საბჭოს სხდომა.** 16 სექტემბერს შესდგა ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის დისპანსერის სოც-დაზღვევის საბჭოს სხდომა. დისპანსერის მუშაობა სხდომამ დამაკმაყოფილებლად სცნო.

— **გამგეობის გადარჩევა.** 25 სექტემბერს მოხდა ტრამვაის მუშათა კლუბის გამგეობის გადარჩევა. წევრთა საერთო კრებამ გამგეობის მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად.

— **კლუბის 300 წევრი.** ნავთლუღის რკინისგზის მუშათა კლუბის წევრებად ითვლება 300 კაცი. სწარმოებს კიდევ ჩაწერა.

— **ექსკურსია.** 29 აგვისტოს სად. ზესტაფონის მუშა-მოსამსახურეებმა მოაწყვეს ექსკურსია „ზაჰეს“-ში. მუშები ექსკურსიით კმაყოფილნი დარჩენ.

— **საღამო.** ამ დღეებში რკინისგზის საშემოსავლო ნაწილის კარტოგრაფიულ განყოფილების თანამშრომლებმა ამხ. ქარუმიძეს უხდიან 25 წლის მოღვაწეობის საღამოს.

— **კურსების გახსნა.** ა.-კ. საგზაო პროფგანათლების განყოფილება ხსნის კონდუქტორთა კურსებს. აქ იმეცადინებს 35 კაცი, საქართველოდან აზერბეიჯანიდან და სომხეთიდან.

— **პრეზიდიუმის მუშაობა.** 20 აგვისტოს ხაშურის საუბკომის პლენუმმა მოისმინა პრეზიდიუმის მოხსენება თავის მუშაობის შესახებ და სცნო იგი დამაკმაყოფილებლად.

— **თათბირი.** ხაშურის საუბკომის პლენუმმა დაავალა პრეზიდიუმს, რათა ახლო ხანებში მოწვეულ იქნეს საორგანიზაციო-საგანმანათლებლო და „შ. ს. კ“-ს წარმომადგენელთა თათბირი.

— **თბილისის რკინისგზის საუბნო დამზღვევ** სალაროში ამჟამად ითვლება 1034 პენსიონერი და 549 ინვალიდი.

წითელ ჯარში
1904 წელში დაბადებულთა გაწვევა

გაწვევა ქართლში

გორის სამხედრო კომისარიატი ადრევე შეუდგა მზადებას გაწვევის სათანადოთ ჩასატარებლად. შედგენილ და გამოქვეყნებულ იქნა სიები გასაწვევ ახალგაზრდების, რათა მათ ჰქონოდათ შეძლება ეზრუნათ შეღავათების მიღებაზე.

ტარდებოდა საუბრები გაწვევის ირგვლივ. მოსახლეობას ესხნებოდა კანონი სამხედრო სავალდებულო სამსახურის შესახებ. ასეთი მუშაობა ჩატარებულ იქნა თითქმის მთელ გორის მაზრაში.

გაწვევისათვის სამზადისში ჩაბმულ იქნენ აგრეთვე სამხედრო კუთხეები.

ადგილობრივი № ქართ. ლეგიონი თავის მხრივ აწარმოებდა დიდ მუშაობას გაწვევის ირგვლივ.

მთელი გორის მაზრა დაყოფილ იქნა რამოდენიმე გასაწვევ უბნად, რათა გაეადვილებინათ ახალგაზრდებისათვის გაწვევაზე გამოცხადება.

გასაწვევ წერტებზე მოწყობილ იქნა საგვიტაციო პუნქტები, რომლებიც აწარმოებდენ მუშაობას ახალწვეულებს შორის. მთავარი ყურადღება მიქცეული აქვს საცნობო მუშაობის წარმოებას. ახალწვეულები ეცნობოდენ წითელ ჯარს, მომავალ ცხოვრების პირობებს.

გაცილება ახალწვეულების ეწყობოდა სოფლებში ზეიმით. მხურვალე მონაწილეობას ახალწვეულთა გაცილებაში ღებულობდა ახკომკავშირის ორგანიზაციები.

გაწვევა მიმდინარეობს სრული წესრიგით. ახალწვეულები მოდიან სრული შეგნებით: გლეხობა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ამისთანა ჯარში გაწვევა მათ არ უნახავთ არას დროს.

ი—ა.

გაწვევა ზურგის ლაშქარში

ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევის დამთავრების შემდეგ გამწვევი კომისიები შეუდგებიან გაწვევას ზურგის ლაშქარში.

ამ უკანასკნელში ჩაირიცხებიან ის მოქალაქენი, რომლებიც მოკლებული არიან საარჩევნო უფლებას. ზურგის ლაშქარში ყოფნის ვადათ დაწესებულია 19 წელი 21 წლიდან 40 წლამდე ჩათვლით.

ზურგის ლაშქარში ჩაირიცხებიან აგრეთვე მოქალაქენი, რომელთაც ახდილი აქვთ უფლება სასამართლოს მიერ და აგრეთვე ადმინისტრატიული წესით გადასახლებულნი, უფლება ახდილობისა და გადასახლების ხნის განმავლობაში.

ზურგის ლაშქარში ჩასარიცხავ მოქალაქეთა გაწვევა სწარმოებს მათი ჰასაკის ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევასთან ერთად, აღნიშნული მოქალაქეები არ სარგებლობენ არავითარი გაწვევის ვადის გაგრძელებით და შეღავათების უფლებით ოჯახურ - ქონებრივ მდგომარეობის მიხედვით.

ზურგის ლაშქარში ჩაირიცხებიან კანონის აღოულებლივ ყველა მოქალაქენი, რომელნიც შეტანილნი არიან გასაწვევთა სიებში და რომელნიც საექიმო კომისიების მიერ ცნობილ იქნებიან ვარგისად სამხედრო სამსახურისათვის.

უმაღლესი გამწვევი კომისია

საქართველოს ტერიტორიალურ სამმართველოსთან დაარსებულია უმაღლესი გამწვევი კომისია.

კომისიის ფუნქციებში შედის განხილვა გამწვევი კომისიების უკანონო მოქმედების გაწვევის ირგვლივ.

კომისია იღებს ყოველივე საჩივრებს გაწვეულებისაგან საექიმო შემოწმების, შეღავათების უკანონო განაწილებაზე და სხვა.

კომისია მოთავსებულია საქართველოს ტერიტორიალურ სამმართველოს ბინაზე თბილისში. კომისიაში შედიან წარმომადგენელნი პოლიტგანყოფილების, პროფკავშირების და შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის.

გერმანელ თავისუფალ მოაზროვნეთა დელეგაცია
მეტეხში

გუშინ, დილის 9 საათზე, გერმანელ თავისუფალ მოაზროვნეთა დელეგაცია მთელი შემადგენლობით და პროფსაბ. წარმომადგენლების თანხლებით გაემგზავრა მეორე გამასწორებელ სახლის დასათვალიერებლად.

მეტეხში მისვლისას დელეგატებს მისალმა ურწმუნო ტუსაღთა წრის წარმომადგენელი, რომელმაც სახსოვრად გადასცა მათ ტუსაღების მიერ გაკეთებული სურათი.

დელეგატებმა დაათვალიერეს ციხის ყველა განყოფილებები, რომლებმაც მათზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

სტუმრები გაეცნენ რეჟიმს, რომელიც შემოღებულია პატიმართათვის და აღნიშნეს, რომ ეს რეჟიმი არაფრით არ წააგავს გერმანიის ციხეებში გამეფებულ რეჟიმს.

ციხის დათვალიერების შემდეგ დელეგატებმა სტუმართა წიგნში ჩასწერეს თავისი შთაბეჭდილებები; მათ აღნიშნეს, რომ ისინი მეტად კმაყოფილი არიან იმ რბილი და ჰუმანიური რეჟიმით, რომელიც შემოღებულია საბჭოთა ციხეებში.

საღამოს მუშათა ცენტრალურ კლუბში შესდგა დელეგატების და ადგილობრივ ურწმუნოთა კავშირის გაერთიანებული სხდომა, რომელზედაც მოხსენებით გამოვიდენ დელეგატები.

დღეს

დელეგაცია დაათვალიერებს ამიერ - კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტს, გერმანულ სკოლას, ბოტანიკურ ბაღს და ქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებს.

დღის პირველ საათზე დელეგატებს საუბარი ექნებათ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე—ამხ. ელიავასთან.

ხვალ დილით დელეგაცია საქართველოს სამხედრო გზით მიემგზავრება კავკავში.

ექვსასი ვერსი ავტო-მანქანით
(შთაბეჭდილებანი მოტო-გადარბენიდან თბილისი—გროზნო—თბილისი)

I

მთა

თითქოს მთებში ვარ დაბადებული. თითქოს აღვზრდილვარ მთების კალთებზე და ფეხის გული გადამიცვეთია წვეტიან ქვებზე, მაგრამ არ ვიცნობ თურმე მთის სილამაზეს და ცის კამარაზე მიბჯენილ გოლიათის სევდიან ფიქრებს არ ჩავსწვდომივარ გულის სიღრმეში.

თურმე მის ფერდებს სიყრმის დღიდან შეჩვეული და მასთან შეზრდილი მე არ ვიცნობდი თვალწარმტაცი მშვენიერებით და ფერად ხალიჩას, რომელიც შემოდგომის მკრთალ მზიან დღეში გამოუფენია მთას დაფენილ თავის ფერდებზე—ცნობის მოყვარე თვალის ეკრანზე ვერ უპოვია გამოძახილი.

ხშირად მინახავს მთა მაღალი, ტანზე რომ წიწვის ტყეები წამოუსხამს და თავშიშველი რომ გადმოსდგომია დარაჯად მინდვრებს.

მინახავს მთა ალერსიანი, მზის მოსაუბრე და პირმცინარე გაზაფხულსავით და შემივლია თვალი მაშინაც, დაღვრემილი, რომ მდგარა იგი, მაჭმადიანი თითქოს უერთგულესი, შუბლზე ნისლის ჩალმა შემოხვეული...

მაგრამ თურმე არ მიგვრძნია ამ გიგანტის ღონიერობა და ძლიერება მისი სიმაღლის.

მთაო, მაღალო! თავი, რომ ლურჯ თაღზე მიგიტანია,—რა საიდუმლოს გამოგცემს იგი?

ხშირად მინატრია შენს კეფაზე ფეხის დაბჯენა, ალმძვრია სულში ნატვრა-სურვილი:

— ერთხელ მაინც, ერთხელ მაინც დამეძლია შენი სიმაღლე და შენს წვეროზე ამაყად დამდგარს გადამეძახა მთელი ქვეყნისთვის: აბა მითხარით ვინლაა ჩემზე მაღალი. გოლიათი მთაც კი ვერ მიტოლდება წვეტიან წვერით...

მინატრია და მთებიც მრავალი გადამიქელავს. მრავალ მათგანის თავის კეფზე აღბეჭდილია ჩემი ნაკვალევი, მაგრამ როდესაც ქშენით და ღრენით ამირღვევია ტყვიასავით მძიმე აღმართი, დაუცინია ქედს თითქოს ჩემთვის და ცხვირის წინვე ამოშტუზვია მთა კვლავ მაღალი, ძნელად სავალი, ქედმოუხრელი.

მთაო, მაღალო! გარინდული, რომ სდგეხარ მარად, ჩაფიქრებული და დატვირთული საუკუნეებით, ერთხელ მაინც დამეძლია შენი სიმაღლე. არწივი მაინც ვიყო, რომ მძლავრი ფრთებით შენი სიმაღლე გადავლახო.

იქნებ მაშინ მომესმინა პაექრობა შენი და ცისა. იქნებ მაშინ მეხილა ქვეყანა სრულად და შენს ფიქრებსაც, შენს ტვირთს საუკუნეებად რომ დაგწოლია გამძლე ბეჭებზე, ჩავწვდომოდი იქნებ ერთხელაც.

სად თავდება შენი სიმაღლე?

სად არის მთაო ზღუდე შენსა და, ხან მოლურჯულ, ხან ლაჟვარდოვან, ცის კამარას შუა?

ადამიანი ყოვლის შემძლეა. როცა იქნება დაგჭამს წერაქვი, როცა იქნება შენს ზურგს შემოეხვევა ირგვლივ ბილიკი და შეგკრავს თოკსავით.

როცა იქნება ადამიანი იპოვის შენს სიმაღლეს და გამარჯვებული დაგასობს ზეიმის დროშას.

რა უყოთ, რომ მე არ ვიქნები ის ბედნიერი.

სხვა ხომ იქნება.

ან იქნებ იყო უკვე ვინმე შენს მწვერვალზე და გამარჯვებულმა ყიჟინა დაგცა შენ,—მთას დაძლეულს.

აკი მყინვარი, გულზვიადი და ამპარტავანი იდგა რამდენ ხანს.

დღეს რაღას იტყვის ის?

მე არ ვეცდები შენს წვერზე ასვლას. შორიდან გიცქერ და სილამაზეს, აგრე უხვად რომ დაუფრქვევია ბუნებას შენს დანაოჭებულ მკერდზე, იმ სილამაზეს ვიკმარებ ჩემთვის, ხან კი თვალებს ოცნებით შიშველ კართხლოვან წვეროზეც აგაყოლებ.

ამას ხომ ვერ დამიშლის მაინც შენი სიმაღლე. შენს სილამაზეს ვერ მოიტაცებს შენი ჯინი.

ბევრჯერ შემივლია მე თვალი შენთვის, მაგრამ სიდიადე, სიდინჯე და სილამაზე მაშინ შევიგრძნე, არაგვის ხეობას რომ ავედევნე შორეულ მგზავრად, ჯვარის ტეხილებს გადავეკიდე და დარიალის ვიწრო ვაკკაც კლდეებში გავსრიალდი დატვირთული მისი სიდიდით.

არაგვის ხეობა

მე მიყვარს შემოდგომა. მსუყია ის და მსუქანია სურვილებით? ალბად იმიტომაც მიყვარს. რომ დინჯია შემოდგომა და გაზაფხულსავით ქინიანი ატაცებისათვის აღარ სცალიან ყვითელ ფეროვან ფოთლებს.

თუმცა მაჭარი იბადება შემოდგომაზე და ცოფიან დუღილს შემოდგომის მკრთალ მზიან დღეებში იკლავს ის ქინიანად. ყვითელ ყანებს ეჩქარებათ დასვენებისთვის, სიმინდის ტაროს ხანდასმულ ვაჟკაცსავით დაბერებული და ჩამოწოლილი ულვაშები ულიტინებს და გამხმარ ფოთლებსაც შრიალი გააქვს მოუსვენარი...

მაგრამ ვენახი შემოდგომაზე მძიმდება ქარვა-მტევნებით და მოსავლით დატვირთული ურმები ჭრიალით ახარებს სმენას.

ლამაზია შემოდგომა ბარში. მაგრამ გული მთისაკენ მიიწევს. მთაც ხომ ირთვება და იკაზმება, მთაც ხომ შემოდგომის მანტიაშია გახვეული, და ისევე ლამაზია, ან იქნებ უფრო მეტად, როგორც ბარი მოქარგული და ჭირნახულით დამსუყებული...

საქართველოს სამხედრო გზით ვეწვიე წელს შემოდგომას მთებში. კავკასიონის ქედს ამ გზით პირველად ვაბიჯებ ფეხს და წინასწარ ვგრძნობ მის მშვენიერ სანახაობას.

თითქოს არა ვართ ქართველები ზანტი ბუნებით?

მაშ რატომ. არის, რომ თითქმის ცხოვრების ნახევარი სავალი გზა გამივლია, დედა-ქალაქში მეათედი საუკუნე გამიტარებია და სამხედრო გზაზე, ბუნების იშვიათ სანახაობას ვერ მიევწვდომივარ?

და განა მარტო მე?

სამხედრო გზა ხომ თბილისს გვერდით ამოტუზვია, კავკასიონის მაღალი ქედი, ხომ ზედ დაჰყურებს თითქმის მას, ასიოდ ვერსი, ან ცოტა მეტი ხომ არ აშორებს თმა გათეთრებულ მყინვარს ან დარიალის ხეობას თბილისს?

მაშ რატომ არის, რომ მრავალ ჩვენთაგანს, მრავალ თბილისელს ცხოვრების თასი ისე ამოუწურავს, რომ ფეხი ერთხელაც არ დაუდგამს ულელტეხილზე?

მის სანახავად, ხომ ასეულ ვერსებს გადიან, ათას დაბრკოლებებს სძლევს ბევრი უცხო?

ნუ თუ სიზარმაცით გვემართება?

ეხლაც შემთხვევით მიხდება გავლა. მოტო-გადარბენას მივყვები გროზნოში, თორემ მრავალი გაივლიდა ალბად ჯერ ხანი, სანამ დარიალს ვნახავდი თვალით.

დილა ადრიან უნდა გავიდეთ თბილისიდან, მაგრამ, როგორც ყოველთვის ვუგვიანდება დღესაც. „შორს“ ლიგა არსებობს თუმცა, მაგრამ ოთხ კედელს ვერ გასცილებია მისი გავლენა. და გადარბენას, სადაც წუთები ანგარიშშია, აგვიანდება საათზე მეტი.

ისიც კარგია, რომ მეტი არა...

აგუგუნდენ მოტორები, მოაჯდენ ფოლადის ორ გოგრიან რაშებს მხედრები და მცხეთის გზაზე, მტვერთან ერთად, ადგა ხმაური.

თბილისიდან ხუთმეტი მოტოციკლეტი უნდა გავიდეს, მაგრამ ერთს მოედანზე წყდება წელი და რჩება იქვე.

წინ კამანდორი ახმეტელი მიქრის „დეიჩი“-თ მას კი, ხბოები, რომ აედევნებიან დედას შარაზე, ჩახჩახით მისდევენ მოტოციკლეტები.

ჩვენ მათ მივყვებით „ფორდის“ მანქანით. გავცილდით ქალაქს გავშორდით ზაჰესს, მოუარეთ ჯვარის მონასტერს და დუშეთის აღმართს ავკარით თავი.

ავცილდით წითელ ყაზარმებიან დუშეთს. სამხედრო გზას არ უკადრებია ქალაქში გავლა.

უკან დაგვრჩა წილკანის ველი ბევრის მომსწრე და ბევრის მოწამე, ბაზალეთის ტბა, ილიამ რომ ლექსით უკვდავჰყო. გვრჩება არაგვიც, ჟინვალში, რომ პირს იბრუნებს ანანურისკენ და დაკლაკნილ გზით ანანურთან კვლავ უბრუნდებით არაგვის რაკრაკს. უბრუნდებით და აქ მაგონდება ბარათაშვილის მადლიანი ლექსი ხმოვანი:

„მორბის არაგვი. არაგვიანი,
თან მოსძახიან მთანი ტყიანი,
და შეუპოვრად მოუთამაშებს
გარემო თვისსა ატეხილ ჰალებს...

„მორბის არაგვი“ და „მოსძახიან მთანი ტყიანი“.

კავკასიონის დაცემულ ქედზე გაუკაფია მას კალაპოტი და ორივე მხრივ. ორივე ნაპირზე მისდევენ ტყით დაფარული მთების კალთები.

შემოდგომა სწვევია უკვე მას და მორთულობა გამოუცვლია. სადარბაზოთ მოკაზმულა ის და აჭრელებულა ათასი ფერით. ყვითელ ფარჩებში, ნარინჯ ატლასებში გამოწყობილია ტყე მთის ფერდებზე. მზე დასდგომია თბილი ალერსით ოქროსავით ყვითელს ფოთლებს და ტყეს აჭრელებულს, აფერადებულს თვალწარმტაცი საღებავებით.

და ამ ფერად ხალიჩის შუაზე, არაგვის პირას ზევით და ზევით მიიკლაკნება მთის გამძლე ზურგზე გზა ხვეული—საქართველოს სამხედრო გზა.

მიდიხარ გზაზე მიჰყვები არაგვს ნაპირ ნაპირ და გეკარგება წელთ ალრიცხვა. დრო და მანძილი. მსუნაგი თვალი ველარ ძღება ფერთა სიამით.

ან რას უყუროს? რომელს შეხედოს, არაგვს, ტყეს ფერადოვანს, მთას მაღალს, ჯეირანსავით ყელ მოღერილს და ცათამდე აწვდილს. თუ ცის კამარას ლაჟვარდოვან მთის ზურგის უკან რომ იმალება მორცხვ მთიულსავით. რომელს უცქიროს, რომელით დასტკბეს?!

ფასანაურსაც ვსტოვებთ და ჯვარის აღმართს უდგებით უკვე.

მიჰქროლავს ავტო, მიარღვევს აღმართს. უკან კი ბავშვები ცეკვით მისდევენ მას და სიცილ კისკისით გაიძახიან:

— კაპეიკ დავაი, კაპეიკ დავაი,

— სპიჩკა დავაი, კარანდაშ დავაი...

მათხოვრობენ თითქოს. მაგრამ მთაში მათხოვრობაც, სჩანს, სხვაგვარია.

ცელქობენ ბავშვები მთის ჰაერით ლოყებ ბროწეულები. მთის ბელები მისდევენ ავტოს ცეკვა-თამაშით. მაღლა კი, მთის ფერდებზე მათი „ბუდეები“ გამოკიდულა...

არც გზაა... კვალიც არა სჩანს ახლოს. ოთხიოდ სახლი აუგიათ ალპიურ მწვანით დაფარულ ფერდზე და ამ სახლებში მთის შვილები სცხოვრობენ შრომით.

ალბად უყვართ მთა ბარზე ძლიერად. მთასაც შვილებათ [illegible] ალბად ისინი, თორემ რა გასძლებს იქ. იმ მაღლობზე უგზო-უკვლოდ, მარტოდ მარტო მთის ქართან ერთად მთელ წლის მანძილზე?!

მარტონი?

არც მთლად მარტოა მთის მკვიდრი კაცი.

არც მთლად მარტოა...

ქოხების გარშემო რომ ხავერდოვანი მწვანე გადაშლილა ის ცხვრის წყაროა, ცხვრის საკვები. და აკი შორით მოსჩანან კიდეც თეთრ წერტილებათ მწვანე ფარდაგზე გაბნეული ცხვარის ფარები!

სამხედრო გზა ჯვარის ულელტეხილის აღმართს მიარღვევს. მრავალ ხვეულად იკლაკნება იგი აღმართში, იგრიხება. მთას ეკვრება. უჭირს ზევით სვლა. უმძიმს მთის ტეხილზე ქვა-ფენილით დატენილ ზურგის ატანა, გველსავით იმტვრევა, მაგრამ მიდის, მაინც მიდის ზევით და ზევით და არაგვის ხევს რომ მთა დაჰყურებს წვერ აღერილი, ცის თაღისათვის რომ თავი მიუხუტებია იმ მთას შეუტევს გამბედაობით.

ვ. ბერაძე.

ქრონიკა

ამხ. ა. ენუქიძის გამგზავრება

6 ოქტომბერს ღამით თბილისიდან მოსკოვში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის ცაკის მდივანი ამხ. აბელ ენუქიძე.

სათემო საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის წესი

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა ადგილებს დაუგზავნა შინაგან საქმეთა და იუსტიციის სახალხო კომისარიატების მიერ გამომუშავებული ინსტრუქცია სათემო საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის და ამ დადგენილებების დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით ჯარიმის დადების შესახებ.

ეს ინსტრუქცია გამოცემულია საქართველოს ცენტრალურ ალმასკომის მიერ დამტკიცებულ დებულების მე-16 მუხლის თანახმად.

ინსტრუქციაში გარკვევით არის აღნიშნული წესები, რომელთა მიხედვით სათემო საბჭოები სცემენ სავალდებულო დადგენილებებს და თვალყურს ადევნებენ ამ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას.

თბილისის ალმასკომში

— **კომუნალურ ქონებიდან** წელს ალმასკომს შემოუვა 4.023,045 მან.

— **საექიმო საქმე.** ჯანმრთელობის განყოფილებამ გადასწყვიტა გააფართოოს მაზრაში საექიმო საქმე.

— **წყალსაზომები.** კომუნალური განყოფილებამ მოსკოვის ქარხნებს დაუკვეთა ახალი წყალსაზომები.

— **ახალი ხაზი.** თავისუფლების მოედნიდან აბანოებამდე ტრამვაის ახალ ლიანდაგის გაყვანას შეუდგებიან ამ დღეებში.

— **აღრიცხვა.** თბ. შრომის ბირჟა შეუდგა უმუშევართა აღრიცხვას.

— **ვაკის დაგეგმვა.** კეთილმოწყობის განყოფილებამ გადასწყვიტა ვაკე გააშენოს ქალაქის მსგავსად. გამოცხადებულია კონკურსი ვაკის დაგეგმვის პროექტის შესახებ.

— **აღრიცხვა.** ჯანმრთელობის განყოფილება ამჟამად აწარმოებს საექიმო პერსონალის და აფთიაქების თანამშრომელთა აღრიცხვას.

საბინაო მშენებლობა

— **მუშათ ბინების მშენებლობის** გასაძლიერებლად საქართველოს მიეცა 52.259 მან.

— **ა.-კ. კოოპერატივთა კავშირის** კოოპერატიულ კურსებზე წაკითხული იქნება სპეციალური ლექციები საბინაო კოოპერაციაზე.

ჯანმრთელობის კომისარიატში

— **პროფსნეულების საქმის შესასწავლად** რუსეთში მივლინებული ექიმი მახვილაძე უკვე დაბრუნდა. ახლო ხანში ექიმთა საზოგადოებაში მახვილაძე წაიკითხავს ლექციას, თუ როგორ არის დაყენებული რუსეთში პროფსნეულების შესწავლის საქმე.

— **საფერშლო პუნქტი.** სოფ. შინდისში გაიხსნა საფერშლო პუნქტი.

სას.-სამ. ბანკში

— **დავალიანება.** ა.-კ. სას.-სამ. ბანკის რესპუბლიკანურ ბანკებს ამჟამად მართებს 2,261,079 მან.

— **ობლიგაციები.** დღემდე ა.-კავკასიაში გავრცელებულია საგლეხო სესხის 41,055 ობლიგაცია.

ა.-კ. საგეგმო კომისიაში

— **მელიორაცია.** მიმდინარე საბიუჯეტო წელში ა.-კ. საგეგმო კომისიის გეგმით ა.-კავკასიაში მელიორაციაზე დაიხარჯება 11.050.000 მან.

— **ჩაი.** მთელ ამიერ-კავკასიაში ჩაის კულტურის გასავრცელებლად მიმდინარე საბიუჯეტო წელში გაღებული იქნება 1,411,000 მან.

სხვადასხვა

— **ახალი არტელი.** დამტკიცებულ იქნა დასავლეთ საქართველოს მეაბრეშუმეთა არტელი „პირველი ნაბიჯი“.

— **მარილისის ქარხანა.** მარილისის გრეხილ ავეჯეულობის ქარხნის მოწყობა სავსებით დამთავრდა. ქარხნის საზეიმო გახსნა მოხდება ახლო ხანში.

კრებები და მოხსენებები

— **ფიზიკურ საზ-ბაში.** პარასკევს, 8 ოქტომბერს სად. 7 საათზედ სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარ შენობაში, ფიზიკის ლაბორატორიაში შესდგება ფიზიკურ საზოგადოების კრება, რომელზედაც წაკითხული იქნება მოხსენებანი შემდეგ თემაზედ: „მისაღებ გამოცდების შედეგები ფიზიკაში სახელმწიფო უნივერსიტეტში და პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში“. ფიზიკური საზოგადოების პრეზიდიუმი ამ კრებაზედ იწვევს შრომის სკოლების და ტეხნიკუმების ფიზიკის მასწავლებლებს.

შემთხვევები

— **ცეცხლი.** არსენალის გზატკეცილზე მდებარე სახლის (№ 39) ეზოში ცეცხლი გაუჩნდა მაზუთს და თივას. ცეცხლი ჩააქრო ცეცხლისმქრობელ რაზმმა.

— **გაძარცვა.** სოფ. ტაბახმელის მახლობლად უცნობ პირებმა გაძარცვეს გლეხები ივანე ჯანდაროვი და გრიგოლ გრიგაჩევი.

— **ქურდობა.** 6 ოქტ. 1-ლ სამილიციო რაიონში გაქურდეს გოგია მათიაშვილის ბინა. წაიღეს 180 მ. ნივთები.

— ამავე დღეს შამხონის ქ. № 28 გაქურდეს ალექსანდრე არაქელოვის ბინა.

— ამავე დღეს მთავარ საავადმყოფოს შენობაში გაქურდეს ექიმ სამსონ ფანჯავიძის ბინა.

— **28 სექტემბერს** სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა პორფილე გიორგაძე კოპალეიშვილი. მნახველს სთხოვენ შეატყობინონ გრიბოედოვის ქ., № 23, ჭიაქაძეს.

ხელოვნება

— **ოპერა მუშებისათვის.** წელს მუშათა კლუბებში კვირაში ერთხელ მუშებისათვის გაიმართება საოპერო წარმოდგენა.

— **ბავშვი მუსიკოსი.** შაბათს, 9 ოქტ. კონსერვატორიაში გაიმართება 10 წლის მუსიკოსის ა. ლეშჩინსკის კონცერტი.

— **არლე ტიცის კონცერტები.** 10 და 13 ოქტ. რუსთაველის საკონცერტო დარბაზში გაიმართება მომღერალ არაბ ქალის არლე ტიცის კონცერტები.

— **სანდრო დოლონაძე.** თბილისში ჩამოვიდა ცნობილი ბარიტონი სანდრო დოლონაძე, რომელიც რამდენიმე სეზონის განმავლობაში მღეროდა ლენინგრადში. თბილისში ის ცნობილია თავისი გასტროლებით 1924 წელს სახელმწიფო ოპერაში. მომღერალი შევიდა სახელმწიფო აკადემიურ თეატრის დასში.

— **ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასამ** დასწერა ახალი რომანი, რომელიც დაიბეჭდება ჟურ. „მნათობში“.

— **ახალი ჟურნალი.** განათ. კომისარიატთან არსებულ ხელოვნების განყოფილებას განზრახვა აქვს გამოსცეს სახელოვნო ჟურნალი.

— **„არმაზის მხსვრევა“.** გამოვიდა ვასილ ბარნოვის ახალი რომანი: „არმაზის მხსვრევა“.

— **მუშათა ცენტრალურ კლუბის გადაცემა.** აჭარისტანის მუშათა ცენტრალური კლუბი გადაეცა მეღითონეთა, სურსათ-გემოვნებისა და კომუნალურ მეურნეობის კავშირებს.

კოოპერატიული კურსები

როგორც წარსულ წელში, ისე წრეულს, თბილისში არსდება ერთწლიანი კოოპერატიული კურსები. კურსები არსდება ცეკავშირის, უშუალო ხელმძღვანელობით. მეცადინეობა იწარმოებს ქართულ ენაზე. კოოპერატიულ კურსებზე იწარმოებს კოოპერატივთა გამგეობის წევრების, სარევიზიო კომისიების წევრების, მოანგარიშეთა და გამგეთა გადამზადება.

კურსებზე მეცადინეობა დაიწყება 20 ოქტომბრიდან და გაგრძელდება 1927 წლის 1 ივლისამდე

მსმენელების რიცხვი განსაზღვრულია 120 კაცით. პირველ რიგში კურსებზე მიღებული იქნებიან კოოპერატიულ, პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებიდან მოვლინებული პირები.

კურსებთან მოწყობილია პანსიონი. კურსებზე მეცადინეობა ფასიანია. პანსიონში შესვლის მსურველი იხდის სწავლის ქირას 350 მანეთს. ლიტერატურა და სახელმძღვანელო ნივთები მას მიეცემა უფასოთ.

პანსიონს გარეშე კი იხდიან სწავლის ქირათ 120 მანეთს ნაწილ-ნაწილ.

კურსებზე განცხადებების მიღება იწარმოებს 15 ოქტომბრამდე.

ღვინო

საქართველოს მეღვინეობის ყველა მთავარ რაიონებში (კახეთი, იმერეთი) ღვინის დამზადება და შენახვა სწარმოებს პრიმიტიულ შენობებში (მარანი) და თიხის ქურებში, რაც შეუძლებელს ხდის ღვინოების რამოდენიმე წლით შენახვას. როგორც ეს ხდება ევროპაში.

ამიტომ საქართველოში საგეგმო კომისიამ აუცილებლად სცნო მოწყობილ იქნეს 1926—27 წლის განმავლობაში ორი ღვინის სარდაფი, რომლებიც წლიურად გადაამუშავებენ 50.000 ვედრო ღვინოს.

თვითეული სარდაფის აგება დაჯდება 80.000 მანეთი.

აქციზის დაკლება ნავთზე

ამიერ-კავკასიაში აქციზი ნავთზე დაწესებულია 40 კაპეიკის რაოდენობით ფუთზე, საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში კი— 60 კაპ.

ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა აზრი გამოსთქვა, რომ შემცირებული იქნეს აქციზი ნავთზე. ყველა მოკავშირე რესპუბლიკებში (გარდა ამიერ-კავკასიისა) აქციზი ნავთზე დაწესებული უნდა იქნეს 40 კაპეიკის რაოდენობით ფუთზე, ამიერ-კავკასიაში კი—ერთი მესამედით ნაკლები (27 კაპეიკამდე).

პროფკავშირებში
ა.-კ. პროფსაბჭოს პლენუმი

მეორე სხდომა
შრომის ხელფასი და სატარიფო მუშაობის პერსპექტივები

გუშინ დილის სხდომაზე დამთავრდა კამათი ამხ. იაკუბოვის მოხსენების გარშემო და მოსმენილი იქნა მომხსენებლის საბოლოო სიტყვა.

პლენუმმა დაადგინა ა.-კ. პროფსაბჭოს მუშაობა მოწონებული იქნეს და რეზოლიუციის გამოსამუშავებლად გამოყოფილი იქნეს კომისია.

შემდეგ შრომის ხელფასის მდგომარეობისა და სატარიფო მუშაობის პერსპექტივების შესახებ მოხსენება გააკეთა ა.-კ. პროფსაბჭოს მდივანმა ამხ. შეფტელმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შრომის ხელფასი ამიერ-კავკასიაში სხვადასხვაგვარი და მერყევია და ხაზი გაუსვა იმას, რომ აუცილებელია შრომის ხელფასის პოლიტიკა დაკავშირებული იქნეს არსებულ სამეურნეო პირობებთან.

ამ ჟამად შრომის ხელფასი ვერ არის კარგ მდგომარეობაში. იმ დროს, როდესაც ნომინალური ხელფასი იზრდება, მისი რეალური დონე იკლებს და არ შეეფერება პროდუქციის ზრდას, ბაზრის პირობებს, სიძვირეს და სხვა. ხელფასის ნომინალური ზრდა კი ხშირად წინ უსწრებს შრომის ნაყოფიერების ზრდას, რასაც არ უნდა ჰქონდეს ადგილი.

ამ გამო სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ხელფასის რეალური დონის უზრუნველყოფას და ფასების დაკლებას; ამ უკანასკნელის გარეშე ხელფასის ყოველგვარ ნომინალურ გადიდებას არავითარი მნიშვნელობა არ ექნება.

სატარიფო მუშაობის უახლოესი ამოცანაა ხელფასის გადიდება ჩამორჩენილ წარმოებებში; ამასთანავე მოსპობილი უნდ იქნეს განსხვავება დროებით და ნარდათ მომუშავე მუშების ხელფასს შორის. აქ საჭიროა პროცენტული დარიცხვა დაბალი კატეგორიის დროებით მუშების ხელფასზე.

ადგილობრივი ბიუჯეტით აუცილებლად გადიდებული უნდა იქნეს მასწავლებლების, საექიმო პერსონალის და მილიციის ხელფასი.

საჭირო არ არის დაჩქარებული იქნეს კოლექტიური ხელშეკრულებების დადების კამპანია. გაცილებით უკეთესია დაგვიანებით შერჩეული იქნეს მასალები და სათანადოთ შესწავლილი იქნეს სამეურნეო პირობები.

საჭიროა, რომ მასებმა მონაწილეობა მიიღონ კოლექტიური ხელშეკრულებების ხელახლა დადების სამივე სტადიაში—წამოყენებული მოთხოვნილებების განხილვაში, მოლაპარაკების მსვლელობის გაცნობაში და მიღწეული შედეგების გაშუქებაში.

არსებულ სამეურნეო პირობებში,—ათავებს ამხ. შეფტელი,—ჩვენი მუშაობა გაძნელებულია. ამიტომ საჭიროა მაქსიმალური ენერგია და სიფრთხილე სატარიფო საკითხების გადაწყვეტაში.

მესამე სხდომა

საღამოს სხდომაზე გაიმართა გაცხოველებული კამათი ამხ. შეფტელის მოხსენების გარშემო. ორატორები აღნიშნავდნენ, რომ სატარიფო პრობლემების გადაწყვეტა არსებულ პირობებში ძალიან ძნელია, ამიტომ საჭიროა ამ პირობებში ძალიან ძნელია, ამიტომ საიროა ამ საკითხებისადმი მეტად ფრთხილად მიდგომა.

პროფმოძრაობის ქრონიკა

— **პროფპროპაგანდის გეგმა.** ს. პ. ე. ს. კულტგანყოფილებას მიმდინარე წელში განზრახული აქვს მეტ ნაწილად დაარსოს პროფსკოლები.

— **ქართული კოლექტივი.** ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილებასთან არსებული ქართული კოლექტივი ამჟამათ მოგზაურობს დასავლეთ საქართველოში და მართავს მუშათა კლუბში და თეატრებში თავის გამოსვლებს.

მიწა-ტყის მუშაკთა კავშირში

— **ახალი გამგეობა.** სიღნაღის სამაზრო განყოფილებაში არჩეულ იქნა ახალი გამგეობა.

ხელოვნების მუშაკთა კავშირში

— **სათეატრო მუშაობა.** კავშირის გამგეობამ დაადგინა დაჩქარებულ იქნეს სათეატრო მუშაობის გეგმისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენა 26—27 წლის სეზონისათვის. კავშირმა გადასწყვიტა აგრეთვე მიავლინოს პროვინციაში წარმომადგენელი სათეატრო საქმის გამოსარკვევად.

— **ურთიერთ-დამხმარე სალარო.** კავშირი ახლო მომავალში ჩაატარებს ურთიერთ დამხმარე სალაროების რეორგანიზაციას. განზრახულია დაარსდეს სულ 10 სალარო.

— **სამარკო სისტემაზე გადასვლა.** კავშირი აწარმოებს მოლაპარაკებას საწევრო ანარიცხების შეკრების საქმეში სამარკო სისტემაზე გადასასვლელად.

— **კლუბის სეზონის დახურვა.** ხელოვნების მუშაკთა საზაფხულო კლუბის სეზონი დაიხურა 1 ოქტომბერს. ზამთრისათვის კავშირი აწყობს კულტკუთხეს.

— **სოც. დაზღვევაზე დატოვება.** კავშირი აწარმოებს შესაფერ მოლაპარაკებას საზანდარზე და დუდუკზე დამკვრელთა სოც-დაზღვევაზე დასატოვებლად.

— **შრომის გმირი.** კავშირმა განმეორებით აღძრა შუამდგომლობა, რათა ამხ. კონდრაშოვს, რომელმაც მოაწყო რუსთაველის თეატრის საბრუნავი სცენა და 50 წელი განუწყვეტლივ იმუშავა სცენაზე, დაჯილდოვებულ იქნას შრომის გმირის სახელწოდებით.

სასამართლო

რკინისგზელთა საქმე

მხარეების კამათი

გუშინ დილის სხდომაზე დაიწყო მხარეების კამათი. სხდომა გაიხსნა პროკურორის გაზუშის სიტყვით.

სახელმწიფო ბრალმდებელი აღნიშნავს, რომ ბოროტმოქმედება ამიერ-კავკასიის რკინის-გზაზე ჩადენილია იმ დროს, როდესაც ჩვენი ტრანსპორტი გამოდიოდა ნგრევის პროცესიდან.

სასამართლოში აღნიშნული იყო, რომ ბოროტმოქმედება გამოიწვია იმ არევ-დარევამ და ქაოსმა, რომელიც გამეფებულია ამკრეფ განყოფილებაში. ბოროტმოქმედების ამით გამართლება, რასაკვირველია, არ შეიძლება. შეიძლებოდა თუ არა, რომ მოლარეს, როგორც მოხერხებული და გამოცდილიც არ უნდა ყოფილიყო ის, ჩაედინა ასეთი დიდი ბოროტმოქმედება, თუ მას ზურგი არ ექნებოდა გამაგრებული საშემოსავლო განყოფილებაში. ჩვენ ვაცხადებთ, რომ არა.

საშემოსავლო ნაწილი არ იდგა თავისი დანიშნულების სიმაღლეზე. ვის უნდა მიექცია ამისათვის ყურადღება, თუ არა ნაწილის უფროსს —დეკაპრილევიჩს, იმ დეკაპრილევიჩს, რომელიც საზღვარგარეთაც კი ყოფილა ამ საქმის შესასწავლად.

აი ამ სპეციალისტის განყოფილებაში თავმოყრილი იყო ყოვლად უცოდინარი მუშაკები. მოსამსახურეებს არაფერი არ ესმოდათ იმ საქმის, რომელზედაც ისინი დაყენებული იყვნენ. ისინი ერთმანეთში ვერ არჩევდენ ტალონს და მოწმობას.

რას აკეთებდა ამ დროს დეკაპრილევიჩი? ის თავის კაბინეტიდან არ გამოდიოდა და არავითარ ზომებს არ იღებდა მოსამსახურეების კვალიფიკაციის ასაწევად. ის თუმცა კითხულობდა ლექციებს, მაგრამ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა იმას, რომ ლექციებზე მისი განყოფილებიდან არავინ არ ესწრებოდა.

დეკაპრილევიჩი აქ დახასიათეს პატიოსან და მცოდნე მუშაკათ. მაგრამ არ ვარგა ისეთი უფროსი, რომელიც თავის პატიოსნებას და ცოდნას ვერ გამოიყენებს თავის განყოფილების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

პროკურორი დეკაპრილევიჩის მიმართ მოითხოვს შეფარდებული იქნეს სისხლის სამართლის კოდექსის 113 მუხლი.

მეორე სახელმწიფო ბრალმდებელი—ამხ. ჟღენტი დაწვრილებით ახასიათებს ბრალდებულების მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებას და აღნიშნავს, რომ ბოროტმოქმედების ჩადენის ინიციატივა გამომდინარეობდა საშემოსავლო ნაწილის თანამშრომლებისაგან. მეწინავეები შეუთანხმდენ მოლარეებს, ე. ი. ბოროტმოქმედების ჩადენის საბაბი ამ უკანასკნელებს მისცეს კონტროლო ორგანოს წარმომადგენლებმა.

ამ მხრივ ამ საქმეს განსაკუთრებული ინტერესი აქვს, ამასთანავე მისი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა დიდია. ამ ბოროტმოქმედებამ დიდი ზარალი მიაყენა რკინისგზას. ბრალდებულების კომბინაციები რომ გაგრძელებულიყო, რკინისგზა მთლად ზარალში იქნებოდა.

შემდეგ პროკურორი დაწვრილებით ეხება ცალკეულ ბრალდებულს და მათ მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედების ანალიზს. შემდეგ მოითხოვს მათ მიმართ შეფარდებული იქნეს ის მუხლები, რომლებიც აღნიშნულია საბრალმდებლო დასკვნაში.

საბრალმდებლო ნაწილის წარმომადგენლების სიტყვის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა სამოქალაქო მოსარჩლემ— პ. ბაიათაშვილმა.

მან აღნიშნა, რომ მართალია საქმეში დართულ საბუთების მიხედვით ბრალდებულების მიერ რკინისგზისათვის მიყენებული ზარალი უდრის 15.000 მანეთს, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ საქმეში დართულია შემთხვევით გადარჩენილი მასალები და საბუთების ერთი ნაწილი დაკარგულია, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ზარალი გაცილებით მეტია.

ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს ისიც, რომ ბრალდებულები მოქმედობდენ იმ დროს, როდესაც სახელმწიფო ბონებიდან მტკიცე ვალიუტაზე გადადიოდა, ეს კი ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა ბრალდებულთათვის სხვადასხვა კომბინაციების მოსაწყობად.

ვინაიდან მთელი რეალური ზარალის აღდგენა ეხლა ძნელია, სამოქალაქო მოსარჩლე მოითხოვს, რომ ანაზღაურებული იქნეს ის მინიმალური ზარალი მაინც (15.000 მანეთი), რომელიც დამტკიცებულია კვლევა-ძიებით და ექსპერტების დასკვნით.

მეცნიერება და ტეხნიკა

რადიო-ტელეფონი ტანკებზე

ინგლისის გაზეთები იუწყებიან, რომ ტეხნიკური ჯარების ერთმა ოფიცერმა მოახერხა ისეთი რადიო-ტელეფონის აპარატის მოწყობა, რომელიც საშუალებას მისცემს ტანკებისა და ჯავშნიანი ავტომობილების ხელმძღვანელებს, კავშირი იქონიონ ერთმანეთთან. ახალი რადიო-ტელეფონის საშუალებით შეიძლება კავშირის დაჭერა აგრეთვე ჰაერში მყოფ აეროპლანთან.

ხილის დამწიფების დაჩქარება

მინესოტას შტატის (ამერიკა) სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მოახდინეს მეტად საინტერესო ცდა იმის გამოსარკვევად, თუ რა გავლენას ახდენს ეტილენი ხილისა და ბოსტნეულის დამწიფებაზე. აღმოჩნდა, რომ ამ გაზის მცირე რაოდენობის ზეგავლენით, ხილი უფრო სწრაფად მწიფდება და გაცილებით ტკბილია.

განსაკუთრებით დამაკმაყოფილებელი შედეგები გამოიღო ცდებმა ვაშლის ხეებზე.

ენერგეტიული გამოფენა ვენაში

ავსტრიის ვაჭრობისა და გზათა მიმოსვლის სამინისტრო 1927 წ. ზაფხულში ვენაში აწყობს ენერგეტიულ გამოფენას. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ენერგიის შემდეგი სახეები: ქარისა და წყალის ძალა, ელექტრობა, ქიმიური და სინათლის ენერგია. მოსამზადებელი მუშაობა გამოფენის მოსაწყობათ უკვე დაიწყო.

უდიდესი საბეჭდი მანქანა

ყველაზე უდიდესი საბეჭდი მანქანა არის ქ. აუგსბურგში (გერმანია). ეს მანქანა იწონის 240.000 კილოგრამს, მისი სიგრძე უდრის 42 მეტრს, განი — 4 ნახ. მეტრს.

ხორბალი „გარნეტ“

ოტტავის (კანადა) საცდელი სადგურის აგრონომებმა მოახერხეს ხორბლის ისეთი სპეციალური ჯიშის მიღება, რომელსაც არსებული ჯიშების წინაშე მრავალი უპირატესობება აქვს. ამ ჯიშს ეწოდება „გარნეტ“. იგი ჩქარა მწიფდება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს კანადის ჩრდილოეთ პროვინციებისათვის. დღემდი, ჩქარა დამწიფების მხრივ, ხორბლის საუკეთესო ჯიშათ ითვლებოდა „მარკიზ“, რომელიც 110 დღის განმავლობაში მწიფდებოდა. „გარნეტ“ დასამწიფებლათ მოითხოვს მხოლოდ 100 დღეს. ცდებმა „გარნეტის“ ჯიშის ხორბალზე დაამტკიცეს, რომ იგი ძალიან უძლებს აგრეთვე ყინვებს.

გათხრები ჰოლანდიაში

ქ. მაასტრიხტის ახლოს (ჰოლანდიაში) გათხრების დროს იპოვეს თიხის ჭურჭლები, სამარხები და სხვა ნიშნები. არქეოლოგების აზრით, ეს საგნები ეკუთვნიან ხანას, რომელსაც 6.000 წელიწადი გვაშორებს.

პირველყოფილი ადამიანის გაქვავებული ტვინი

(არქეოლოგ ნიორაძის მოხსენებაზე)

ამ თემაზე გააკეთა გუშინ მოხსენება ქართველ ექიმთა საზოგადოებაში არქეოლოგმა ნიორაძემ.

მან თავის მოხსენებაში განმარტა პრეისტორიულ ანუ ისტორიული ხანის წინა დრო, რომლის შესახებაც მეცნიერებას არა აქვს არავითარი წერილობითი და ზეპირსიტყვაობითი გადმოცემა. სწორედ ამ მოსაზრებით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მეცნიერებაში სოფ. ოდინცოვოში (მოსკოვის ახლოსაა) აღმოჩენილი უძველესი ადამიანის გაქვავებული ტვინი, რომელიც პირველათ უპოვნია ექიმ გრიგოროვიჩს და რომელიც ამჟამად შესასწავლათ აქვს გადაცემული ტიმირიაზევის სახელობის სამეცნიერო ინსტიტუტს.

ეს აღმოჩენა, სხვათა შორის. იმითაცაა შესანიშნავი, რომ იგი პირველი აღმოჩენაა კაცობრიობის ისტორიაში და ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მეცნიერებაში „გაქვავებული ტვინის“ ორიგინალობამ თავი გამოიწვია.

ტვინის შესასწავლათ მუშაობდა გამოჩენილ მეცნიერთა კომისია 15 პროფესორის შემადგენლობით. კომისიამ დაადასტურა, რომ ეს ტვინი არის ნამდვილათ გაქვავებული ორგანიული მატერია, რომელიც შემდეგ გადაქცეულა არა ორგანიულ საგნათ, და მოხდენილი ცდებით გამოირკვა, რომ გაქვავება შეუძლია თანამედროვე კაცის ტვინსაც.

ტვინის სიძველე უდრის 400.000 წელზე მეტს. მასზე გამოკვლევის შემდეგ აღმოჩენილა ნერვების მოშავო მილები და ე. წ. ანატომიური წერტილები.

დანიშნულ სამეცნიერო კომისიის დასკვნით ეს ტვინი ეკუთვნის ალბათ ვინმე მონადირეს, რომელიც ცხოვრობდა მე-2 და მე-3 ყინულოვან პერიოდთა შუა და დაღუპულა ყინულის ნაპრალში გადავარდნის დროს.

ნაპოვნი ტვინის ერთი ასლი მულიაჟათ გაკეთებული გაგზავნილია ევროპაში და მეორე ცალი ჩამოტანილია საქართველოში.

მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია დამსწრე საზოგადოებაში.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის აღმრიცხველ - განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას იძლევა დღეს, 8 ოქტობერს, დილის 9 საათზე აღრ. - განმ. განყოფილებაში ამხ. ჩარკვიანთან გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები:

1. გაბრიელიანი ოჰანესი, 2. გასიევი გრიგოლ ანტონის-ძე.

შაბათს, 9 ოქტომბერს, დილის 10 საათზე შესდგება

საქ. კომ. პარ. (ბ) თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა

სავალდებულოა თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება დაუგვიანებლად.

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ დღეს, პარასკევს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია ქალაქის რაიონის უჯრედების დახურული კრებები შემდეგ ადგილებში.

1. რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში: სამხედრო სტამბის უჯრედი, 1-ლი სტამბის, მე-2 სტამბის, მე-3 სტამბის, მე-4 სტამბის, „ზარია ვასტოკა“-ს სტამბის, პოლიგრაფტრესტის ლიტოგრაფიის, საფაბრ.-საქარხნო სკოლის, ცეკავშირის სტამბის, ც. კ. სტამბის, „რაბოჩაია პრავდა“-ს სტამბის, „კრასნი ვოინ“-ის სტამბის, ლენინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის, რბილი ავეჯის ქარხნის, თემქას ქარხნის, ა.-კ. პოლიტ-სამმართველოს და ა.-კ. კომუნისტური უნივერსიტეტის უჯრედები—მომხსენებელი ბ. ლომინაძე.

2. განათლების მუშაკთა სახლში (კალოუბნის ქ. 3): ა.-კ. პოლიტსამმართველოს მე-8 ათასეულის კოლექტივი, ლენინის სახელობის სახელმწ. პოლიტეხნიკ. ინსტ., სახ. პოლიტ. ინსტ. მუშთაკის, კავშირგაბმულობის ოლქის და სახელმწ. კონსერვატორიის უჯრ.—მომხსენებელი ლისოვსკი.

დანარჩენი უჯრედების კრების დრო ცალკე იქნება გამოცხადებული.

უჯრედების მდივნის წინადადება ეძლევათ შეამოწმონ დამსწრეები სიებს. ქალაქის რაიკომი.

პარასკევს, 8 ოქტომბერს დღის 1 საათზე ს. ქ. კ. პ. (ბ) [illegible] აგიტპროპში მოწვეულია საქ. რადიო-კომისიის სხდომა. დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის.

1. ცხვედაძე, 2. რუხაძე, (ვ. გან.) 3. ძიგრაშვილი. 4. ჭელიძე, 5. კამაროული, 6. ბუდილიევი.

ს. ქ. კ. პ. (ბ) ც. კ. აგიტპროპის მდივანი მამალაძე.

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მე-2 რაიკომი იუწყება, რომ დღეს, 8 ოქტომბერს, რაიონში საუჯრედო კრებები ჩატარდება შემდეგი წესით:

1. მუშათა ცენტრალური კლუბი, საღ. 5 ს. 30 წ. მომხსენებელი ამხ. ასრიბეკოვი. უჯრედები: 26 კომუნარის სახელობის ქარხნისა, სპილენძის ქარხნისა, საბარგო-სარემონტო ქარხნისა, „ზაკავტოპრომტორგისა“, მუშკოოპისა, ტრამვაის მუშკოოპისა, სახმედეპრომისა, სახ. სპირტის სამმართველოსი და რ. ლიუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ქარხნისა.

2. მიასნიკოვის სახელობის სახლების საამშენებლო მუშათა კლუბი, საღ. 5 ს. 30 წ. მომხსენებელი ამხ. ხანოიანი.

უჯრედები: ხელზე მოსამსახურეთა, „სანტრესტისა“, მტვირთველებისა, საამშენებლო მუშებისა, მე-3 საქარხნო კომიტეტისა, „გრუზშვეიპრომისა“ და მკერავთა კოლექტივისა.

მდივანი—ფანცულაია.

თბ. კომ. სამდივნო

საქ. კომპ. (ბ) თბილ. კომიტ. საავ.-საპრ. განყოფილების საპროპაგანდო მეთოდბიუროს სხდომა დანიშნულია შაბათს, 9 ოქტომბერს დილის 9 საათისათვის თბილ. კომ. საავ.-საპრ. განყოფილებაში.

საქ. კომპ. (ბ) თბილისის კომიტ. საავ.-საპრ. განყოფილების საავიტაციო მეთოდბიუროს სხდომა დანიშნულია ორშაბათს, 11 ოქტომბერს. დილის 9 საათისათვის თბილ. კომ. საავ.-საპრ. განყოფილებაში.

საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს კომპარტიის ყველა წევრ და კანდიდატ—მუშფაკელებსა და უმაღლეს სასწავლ. მსმენელებს, რომელნიც დროებით (საზაფხულო არდადეგებზე) იყვნენ მიმაგრებული სამუშაოზე, გამოცხადდენ რაიკომის აღმრიცხველ-განმანაწილებელ განყოფილებაში სათანადო უჯრედებზე მისამაგრებლად.

ქალაქის რაიკომი.

საქართველოს ცენტრ. საკონტროლო კომისია წინადადებას აძლევს ამხ. ონიფინტე სპირიდონის ძე კეჟახიძეს 8, 9 და 11 ოქტომბერს გამოცხადდეს საკონტროლო კომისიაში (რუსთაველ. პრ. 24. მესამე სართ. ოთახი № 9).

საქართვ. ცენტრ. საკონტრ. კომისია წინადადებას აძლევს ამხ. ლადო ხუტულაშვილს 8, 9 და 12 ოქტომბერს გამოცხადდეს საკონტრ. კომისიაში (რუსთავ. პრ. 24, მესამე სართ. ოთახი № 9).

მდივანი ხალარიძე.

აღმოსავლეთ საქართველოს პროკურატურის თანამშრომლები აუწყებენ ნაცნობებს და ამხანაგებს, რომ ა. | წ. 8 ოქტომბერს სრულდება

ამხ. მიშა გახოკიას

ტრაგიკული სიკვდილის 40 დღის თავი. სამოქალაქო პანაშვიდი იქნება ვერის ახალ სასაფლაოზე დღის 4 საათზე.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის კომუჯრედი აუწყებს ნაცნობებს და ამხანაგებს, რომ ა. | წ. 8 ოქტომბერს სრულდება

ამხ. მიშა გახოკიას

ტრაგიკული სიკვდილის 40 დღის თავი. სამოქალაქო პანაშვიდი იქნება ვერის ახალ სასაფლაოზე დღის 4 საათზე.

გამწარებული და-ძმანი: დათიკო გრიგოლის-ძე, ეკატერინე და ნინო გრიგოლის ასულნი და რძალი მაკრინე იოსების ასული ლომჯანიძეები, გამოუთქმელი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს და ნათესავთ მათთვის მარად დაუვიწყარი

გიორგი გრიგოლის-ძის ლომჯანიძის

უდროოდ გარდაცვალებას. ცხედრის გამოსვენება დანიშნულია ცხრა ოქტომბერს, დღით შაბათს, ნაშუადღევის ოთხ საათზე, ქ. ქუთაისში საკუთარი სახლიდან, აკაკი წერეთლის ქუჩა № 126, საფირჩხიის სასაფლაოზე. 97

გულდათუთქულნი და თავზარდაცემულნი; დედა ეკა, მეუღლე პელაგია, შვილები: გიორგი და ნინა, დები: დომნა, პელაგია, ალათი, ბიძები: კიმოთე და სიმონ ყლაჯიშვილები; სიძეები მელიტონ კვანტალიანი და სერგო ტუქერია, დისშვილები: მარიამი, ერმილე, შალვა, ილარიონ, პაშა გალდავები, ალექსანდრე, ნიკოლოზ, ბესარიონ, ვარლამ და ქსენია კვანტალიანები, გრიგოლი, ვალოდია, ლიდა, ალექსანდრა, ნინა და ვასო ტუქერიები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს, ნაცნობებს და ამხანაგებს მათთვის საყვარელი და მუდამ დაუვიწყარი სად. ბათომის სახ. მატ. უფროს კონდუქტორის

ანდრო გლახ უას-ძე ყლაჯიშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალებას, რომლის დასაფლავება დანიშნულია შაბათს, 9 ოქტომბერს, სოფ. ჯაგანში, საკუთარ ოჯახში. 90

აპოლო

არფასტო

სოლეი

მაყურებელთა თხოვნით მეორე კვირაში გაგრძელდება ჩვენება სურათ

„ხანუმა“-სი

(ქეთო და კოტე)

რეჟის.—ა. რ. წუწუნავა. ოპერ.—ხ. პ. ზაზოზლავევი.

მთავარ როლებში: ე. ჩერქეზიშვილი, ტ. აბაშიძე, თ. ბოლქვაძე, ც. წუწუნავა, ი. ნაზარაშვილი, ვ. აბაშიძე, მ. ჭიაურელი, ი. ტრაპაიძე.

სიმფონიური ორკესტრი და საზანდარი. სალარო ღიაა საღამოს 5 საათ. და 30 წ. 1833 0—7.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო

≡ სახელმწიფო ≡

წონა-ზომის პალატა

ამით აცხადებს, რომ დამზადებული და გამოშვებულია

გასასყიდათ დასადგმელი სასწორები 2 და სამი ტონის

მისამართი: სახელმწიფო წონა ზომის ცენტრალური საწყობი და მაღაზია № 1 პლეხანოვის გამზირი № 117. ტელეფონი 20—98.

ნ. 16. გამგეობა.

„ზაჰეს“-ის სამმართველო

ამით აცხადებს, რომ ორშაბათს, 11 ოქტომბერს, 1926 წ. ზაჰესის ხაზი, დიღუბის ქვესადგურიდან ზემო-ავჭალამდე იქნება დაყენებული მაღალ ძაბვის ქვეშ და სადენების შეხება

სასიკვდილოა

ყველა საყრდენობებზე არის გაკრული სათანადო გამაფრთხილებელი წარწერები. სამუშაოთა უფროსი: ინჟინერი შიშინაძე

ნ. 17 3—1.

ექიმი

ლ. ა. სარალიძე

დაბრუნდა და განაახლა შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფების მიღება დილის 9—12 ს. საღამოს 5—7 ს. აბაშთა ქ. (ჩერქეზიშვილისა) № 87 25—

ბალანსი

საქ. ს. მ. უ. ს. ქვა-ნახშირის მრეწველობის და მინერალურ სათბობის სავაჭრო შენაერთის „სახელმწიფო სათბობი“-სა

1925 წლის 1 ოქტომბრისათვის

აქტივი

1. ქონება.		
1. შენობანი და ნაგებობანი	389.330—64	
2. გაწყობილობა და მანქანები	182.833—52	
3. იარაღი	11.219—30	
4. ინვენტარი	33.886—63	
5. ტრანსპორტი	29.611—36	
6. სხვადასხვა ქონება.	24.748—61	671.630—06
მასალა		
1. წარმოებითი		
ა) ძირითადი	31.506—23	
ბ) დამხმარე	3.058—80	
გ) გზაში	2.085—71	36.650—74
2. არა წარმოებითი		65.015—26
3. სათადარიგო გაწყობილობა, იარაღი და მანქანის ნაწილები		103.349—55
საქონელი და დამზადებული ნაკეთობა		
1. საწყობებში და მაღაზიებში	116.436—58	
2. საკომისიოდ გადაცემული	13.785—43	
3. გზაში	24.915—12	155.137—13
ფულადი სახსარი და ფასიანი ქაღალდები		
1. სალარო და მიმდინარე ანგარიშები	17.867—99	
2. ფასიანი ქაღალდები	2.380—00	
3. პაიები და აქციები	10—00	20.257—99
ანგარიშ სავალდებულო თანხები		12.096—17
სამისაღებო ვალდებულებანი და დოკუმენტ.		
1. სამისაღებო თამასუქები	84.623—56	
2. განაღდებული თამასუქები	183.329—44	267.953—00
3. სამისაღებო დოკუმენტები		1.791—80
დებიტორები		
1. ავანსი მუშა-მოსამსახურეთ	3.984—73	
2. ავანსი ნარდათ მომუშავეთ და გამყიდველ-მიმწოდებელთ	7.598—05	
3. მყიდველნი	135.086—75	
4. სხვადასხვა დებიტორები	170.317—40	
5. საეჭვო მოვალენი	10.044—49	327.031—42
დაუმთავრებელი შენობანი		202.317—58
მომავალი წლების ხარჯები		19.039—64
საწესდებო კაპიტალის შემცირება:		
1. ძირითადი კაპიტალი		6.375—81
ბალანსი		1.888.646—15

ბალანს გარეშე მუხლები:

მიწა : 7,610 კვ. საჟ.		78.690—00
წყალი 40 კვ. საჟ.		1.200—00
სულ		79.890—00

პასივი

1. კაპიტალი		
1. საწესდებო		
ა) ძირითადი	678.004—87	
ბ) საბრუნავი	343.007—79	1.021.012—66
2. საამორტიზაციო		103.550—81
3. სარეზერვო (სათადარიგო)		11.204—46
მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებელი ფონდი		16.489 02
ფონდი საეჭვო ვალების ზარალის დაფარვისათვის		10.044—49
ბანკების თამასუქების განაღდებისათვის		183.329—44
კრედიტორები		
1. მუშა-მოსამსახურენი	34.392—16	
2. ნარდათ მომუშავენი და გამყიდველ მიმწოდებელნი	138.261—66	
3. მყიდველთა ავანსები	20.077—16	
4. ფინანსთა სახალხო კომისარიატი:		
ა) აქციზი, გადასახადი და გამოსაღები	20.471—83	
ბ) საშორე და მიწის წილი სასყიდელი	4.638—00	
გ) ანარიცხი ხაზინის სასარგებლოდ	8.010—97	
5. სხვადასხვა კრედიტორი	142.685—04	368.526—82
საწესდებო კაპიტალის გადიდება		
1. საბრუნავი კაპიტალისა		44.215—20
2. მოგება საანგარიშო წლისა		130.273—25
ბალანსი		1.888.646—15

სახელმწიფო სათბობის მმართველი **მ. ლ. ბორქონი**

მთ. ბუხჰალტერი **ი. პ. ზაიცი**

აქტივი **პასივი**

მოგებისა და ზარალის ანგარიში

ზარალი

	%%	
1. სავაჭრო ხარჯები	60,2	325 821 36
2. გამგეობის საერთო ადმინისტრატიული ხარჯები	17,4	94.552 11
3. გადახდილი პროცენტები	1,7	9.408 03
4. ზარალი არასაიმედო ვალების და სარეზერვოდ მოქცეული საეჭვო ვალების ჩამოწერის გამო	9,9	53.996 06
5. გადახდილი ჯარიმა საურავი პირგასამტეხლოს ჯარიმა	0,0	29 40
6. ზარალი მასალისა და საქონლის გადაფასების გამო	0,1	448 48
7. ზარალი საქონლისა, სათბობისა და სხვა ნაკლებობის გამო	5,8	31.262 93
8. დახურულ დაუმლელ საწარმოთა შენახვა	0,0	20 —
9. ზარალი სტიქიურ უბედურების და გასულ ქონების და შემთხვევითი ხარჯების გამო	4,9	25.833 30
სულ	100,0	541 371 67
10. მოგება		130.273 25
ბალანსი		671.644 92

მოგება

	%%	
1. მოგება საქონლისა და ნაკეთობის რეალიზაციისა	86,3	579.559 45
2. მიღებული პროცენტები	2,6	17.803 22
3. გადანამეტი მასალა, საქონელი და სხვა	2,0	13.639 29
4. მოგება საქონლისა და მასალის ზედნართული შეფასების გამო	0,6	3.709 26
5. ზარალი გასული ქონებისა	8,1	54.165 80
6. შემთხვევითი შემოსავალი	0,4	2.767 90
სულ	100,0	671.644 92
ბალანსი		671.644 92

მოგების განაწილება

1. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებელი ფონდი	10,0%	—13.027—32
2. სარეზერვო ფონდი	20,0 „	—26.054—65
3. საშემოსავლო გადასახადი	10,0 „	—13.027—32
4. ანარიცხი ხაზინის სასარგებლოდ	35,0 „	—45,595—63
5. საბრუნავი კაპიტალ. გასაძლიერებლად	25,0 „	—32,568—32
სულ		130.273—25

ეს ბალანსი განხილულია ს.მ.უ.ს. მთავარ ბუხჰალტერიაში, დამტკიცებულია სახელმწიფო სავაჭრო-სამრეწველო საწარმოთა ბალანსების განმხილველ საუწყებათაშორისო კომისიისა და საქართველოს ეკონომიურ საბჭოს მიერ და ნება დართულია გამოსაქვეყნებლად. ნ. 20

საქართველოს ს.მ.უ.ს. მთ. ბუხჰალტერი **ჯანელიძე.**

სახელმწიფო სათბობის მთ. ბუხალტერი **ი. პ. ზაიცი**

გაზ. „კომუნისტი“-ს

ქვემოთ-ჩამოთვლილ ხელის მომწერლებს, რომლებიც გაზეთს ვერ იღებენ მისამართის არა სწორათ აღნიშვნის გამო, სთხოვენ პირადათ მიაწოდონ „კომუნისტი“-ს ექსპედიციას (კამოს ქ. № 68), თავისი სწორი მისამართები.

1. **მაისურაძე**—ალექსანდროვის ქ. № 1.
2. **გოგიძე გიორგი**—ახალშენი მე-4 ქ. სახლი ვარდიდი.
3. **კასრაძე მიხეილ**—მელიქოვის ქ. № 9.
4. **ქურდაშვილი**—ნაზაროვის შესახ. № 7.
5. **მეურქოვი ამბარცუმი**—უნივერსიტეტის ქ. მე-2 ქ. № 29.
6. **ტატიაშვილი ქეთო**—ტატიანის ქ. № 10.
7. **ჩელიძე**—1-ლი თუმანოვის შესახ. № 6.
8. **ებანოიძე ვალიკო**—19 თებერვალის ქ. № 27.
9. **მაისურაძე**—ხევსურეთის ქ. № 6, ჩიხი.
10. **ჭავჭანიძე**—ტერ-გუკასოვის შესახ. № 4.
11. **მე-10 რკინის გზ. ს ლაზარეთი.**
12. **ჭანტურია**—მე-2 პროლეტარის ქ. № 12.
13. **გუგუშვილი ვასილი** პანასევიჩის ქ. № 21.
14. **გიჟიაშვილი**—ფალავანდოვის შესახ. № 4.
15. **კაჟილაშვილი**—კირკის ქ. № 27.
16. **ახალგაზრდა პიონერების ბიურო**—თეატრალური ჩიხი № 4.
17. **კირაკოზაშვილი სერგო**—სურფსარქისის შესახ. № 16.
18. **არსენოვი**—ელისაბედის ქ. № 1.
19. **ნაცვლიშვილი**—ბაიაზეთის ქ. № 16.
20. **ჩიკოვანი**—ვაკე, სახლი ჩხენკელისა.
21. **შარაშენიძე იოსელი**—ყაზბეგის ჩიხი № 6.
22. **ბეჟუაშვილი**—ელისაბედის ქ. № 16.
23. **ცერცვაძე ნინო**—გურიის შესახ. № 4.
24. **გოკიელი**—ბარნოვის შესახ. № 22.
25. **იმნაძე დომნა**—გუნიბის ქ. № 32.
26. **ქეჩაიაშვილი**—ალაგირის ქ. № 13.
27. **ბასილაია ნინა**—ბატარეის ქ. № 16.
28. **ბინის აღმშენებელი ა—ბა**—ანდრეევის ქ. № 87.

„კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

სახელმწიფო აკადემიური საოპერო თეატრი

ამით აცნობებს ყველა ადგილკომებს, ფაქარხკომებსა, სამრეწველო კოლექტებსა, პროფორგანიზაციებსა, დაწესებულებებსა და კერძო პირთ, რომელთაც დღემდე არ მიუღიათ აბონემენტების შეძენის დაწვრილებითი პირობები, რომ ასეთების მიღება შეუძლიათ სახელმწიფო ოპერის სალაროში ყოველდღე დილ. 11—2-დე და საღ. 6—9-დე.

დირექცია.

ბანძის, მარტვილის და სალხინოს მოსამართლების სასამართლოს განაჩენების აღმასრულებელი ბ. გაგუა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 9 ოქტომბერს 1926 წლის დღით შაბათს, დილის 10 საათზე იქნება საჯარო ვაჭრობით გაყიდვა მოძრავი ქონების, კუთვნილი მცხოვრებ სოფ. ნახარებოვის (სენაკის მაზრა) გერასიმე სულავასი, რომელიც შესდგება ერთი ოდა სახლისაგან, სამი ოთახით, ერთი მაგიდა, ორი ტახტი თავისი მოწყობილობით, ერთი ჩამოსაკიდებელი ლამპა, ერთი ეტაჟერკა, კედლის სარკე, კედლის ხალიჩა, მრგვალი სტოლი, ხუთი სელის სკამები, ერთი სასიმინდე, ერთი დუქანი ხის, ერთი სასწორი ორი ტაშტით თავისი გირებით და ოთხი ბოჭკით, ღირებული ყველა 494 მან.

გაყიდვა მოხდება ადგილობრივ სოფ. ნახარებოვში (სენაკ. მაზ.) დასაკმაყოფილებლად თბილისის კომუნალური ბანკისა.

გასაყიდი ქონების დათვალიერება შეიძლება ვაჭრობის დღის და აგრეთვე სხვა დღეებშიაც. 79

დასავლეთ საქართველოს შრომის სესიის აღმასრულებელი ვ. გაბადაძე

ამით აცხადებს, რომ ს. საქორქიოში „სავორდო კანალა № 4“, სენაკის მაზრისა, რიონის მარცხენა ნაპირზე დანიშნულია 16 ოქტომბერს 1926 წ. შუადღის 12 საათზე **საჯარო ვაჭრობა** ალექსანდრე მურმანიძის და ნესტორ მუსასტიკაშვილის ქონებისა, რაც შეიცავს ას სამოცდა ათ საჟენს (170 საჟ.) დახერხილ რცხმელის შეშას დაფასებულს სამი ათას ოთხას მანეთად (3400 მ.) და ოცს (20) საჟენ მაგარი ხის შეშას დაფ. ხუთას მან. (500 მ.).

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებულ თანხიდან და შეშები გაიყიდება სენაკის მაზრის აღმშენებლობითი პროფესიონალური კავშირის მუშების ძიების დასაკმაყოფილებლათ. ნ. 18

ჭიათურის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი ზ. ს. ლაბაძე

ამით აცხადებს, რომ ქალ. ჭიათურაში 1926 წ. 15 ოქტომბერს დილის 10 საათზე ნინოშვილის ქუჩაზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობით** გაყიდვა ერთი შენობის № 23 კუთვნილი მიხეილ კაციას-ძე გამყრელიძის, დასაკმაყოფილებლათ აბრამ მარუფოვის და სხვ. ვალის; ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს შენობის საჯარო ვაჭრობაში, უნდა წარმოადგინოს ცნობები, აღნიშნული სამ. სამ. საპ. კოდ. მე-311 მუხ. და შენობის შეფასების 10 პროც. საწინდარი. ნ. 15

გარე-უბნის სასამართ. აღმასრულ. ქ. ოდიშარია

ამით აცხადებს, რომ ის 11 ოქტომბერს გაყიდის **საჯარო ვაჭრობით** მამედ ალი ნაჯებზადესის მოძრავ ქონებას: 11 საათზე კომუნალურ ჩიხში № 9— რკინის სალაროს, სპილენძეულობას, ფარდაგს და სკივრს; კომუნალურ ქ. № 24—ყურძნის საწურავ და კამფეთის ჩამოსასხმელ მანქანას, სპილენძის დიდ ქვაბს, ტომრებს, სკივრებს და ბოქლომს, ხოლო 12 ნახ. საათზე კომუნალურ ქ. № 9 დარაბა № 4631—ოქროს საათს, სასწორებს, ხის ყუთებს და საბაკალეინო საქონელს: შაქარს, საპონს, ტომატებს, ტკბილეულობას, ყავას, ჩაის, ფქვილს, გამხმარ ხილეულობას და სხვ., შეფასებულს 1179 მან. და 40 კაპ., დასაკმაყოფილებლად თბილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა.

ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. 91

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო

საწოლებით

მიხეილ გედევანიშვილის

სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 54825 —1

ექიმი

ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 12—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.

რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1.

ექიმი მ. ო. ზანდუკელი

დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და ნერვიულ ავადმყოფობის, ელექტრონით და სხივებით მკურნალობ. ავადმყ. მიღება საღ. 6—7 საათამდე ლენინის ქ. (ოლღის) № 49.

3574 ტელეფ. № 4—82

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—9

ექიმი ჯალალოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—7 ნახ. საათ., საღამოს 5-დან—8 საათამდე. ქალების მიღება 12—2 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16

ექიმი ზ. ა. ტარუმოვი

დაბრუნდა და განაახლა **შინაგან და ბავშვთა** სნეულების ავადმყოფთა მიღება საღ. 5—7 საათამდე. ტრიბუნალის ქ. (ყოფ. სასამართლოს) 12 ტელ 22—59, ნ. ღ.

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბონ-მონდი“).

ზოგადი საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების მოხსნის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

13—2

ექიმი

არსენ ვადაჭკორია

დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა ავადმყოფ. და უწევს აგრეთვე [illegible] დახმარებას დილის 9—12 ს. საღამოს 4—6 საათამდე ლენინის ქ. № 36 3824 13—

მზიანი ოთახი

პირველ უბანში

მინდა გადავცვალო

მზიან ოთახზე მეათე უბანში.

მისამართი: მატერიალური ქ. № 3, ბინა 5. ნახვა 5—7 ს. 96

პროფესორი

მ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა თბილისში

და განაგრძობს შინაგან ავადმყოფების მიღებას საღამოს 5 საათიდან 8 ს-მდე კვირა დღის გარდა. კლ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის ქ. № 7).

3755 13—1

ექ. კ. ტუღუშელაშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყ. მიღება (კანის, ვენერიული და სასქ.-საშარდე ორგან. სნეულებანი) მთავარი ფოსტის ახლოს, ბელგიის ქ. № 1 25—1.

დაიკარგა სახელოსნო პატენტი ჰიკირტიჩ იარალოვის სახელზე, ჩ. გ. 85

დაიკარგა სამხედრო საალრიცხვო ფურცელი, გაცემული პატარა ონის რაიონის მაგიდიდან ილია თომას-ძე გიორგობიანის სახელზე, ჩ. გ. 88

დაიკარგა სამხედრო საალრიცხვო ფურცელი გაცემული პატარა ონის რაიონის სამხედრო მაგიდიდან კონდრატი გიორგობიანის სახელზე, ჩ. გ. 89

დაიკარგა სამხედრო საალრიცხვო ბარათი მეორე სამილიციო უბნის სამხედრო მაგიდის გამგისაგან გაცემული და სამხედრო კომისარიატიდან გაცემული მოწმობა ჯარში გაწვევის ვადის გაგრძელების შესახებ დავით დავითის-ძე მაჭავარიანის სახელზე, ჩ. გ. 70

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 1718, გაცემული ვახტანგ გ. წულუკიძის სახელზე, ჩ. გ. 84

დაიკარგა საბინაო დავთარი № 446—ილია გაბრიელის-ძე ჩაჩანიძეს, სახელზე, ჩ. გ. 86

დაიკარგა საანგარიშო წიგნაკი № 7253—ეგნატე ეგნატაშვილის სახელზე, ჩ. გ. 83

დაიკარგა განქორწინების მოწმობა, მიღებული მ.მ.ა. ჩ—იდან № 38969—ლევან მელქისადეგის-ძე მუჩაიძეს სახელზე, ჩ. გ. 89

დაიკარგა მ | წ. სანშრომის კავშირის წიგნაკი № 4220, თამარ ილიასნეს ასული კვერნაძეს სახელზე, ჩ. გ. 93

დაიკარგა სამხედრო ბეგარასთან დაკავშირებულების ბარათი ნიკოლოზ ფილიპეს-ძე ურუშაძის სახელზე, ჩ. გ. 92

დაიკარგა სახელმწიფო ბანკიდან სარეწაო პატენტის ნაცვლად მიღებული ქვითარი № 460433, ჩ. გ. 93

დაიკარგა კოოპერაციის საწევრო წიგნაკი № 5463, ვარლამ კახაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 18

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 3264, ვასო პატარიძეს სახელზე, ჩ. გ. 94

დაიკარგა მოწმობა „B“ № 610875, ა | წ. ცამეტ მაისს მოწმობა ა | კ. რ | ჯ. 1-ლი მსროლელთა რაზმიდან, ალექსანდრე პავლეს-ძე იობიძის სახელზე, ჩ. გ. 95

სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. 68